**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

ფასი 2 ლარი

1134
2021



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
2021
1 (293)

ჯირკვალიშვილი / მამუგია

## „თავაზიანი დიალოგი საკუთარ შეცდომებთან"

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


| | | |
|---|---|---|
| დიალოგი | 1 | პაატა შამუგია - „კულტურა გვთავაზობს თავაზიან დიალოგს საკუთარ შეცდომებთან“<br>*ესაუბრა ოთარ ჯირკვალიშვილი* |
| პროზა | 8 | ალეკო ცქიტიშვილი \| გუდვილიადა |
| | 13 | მინდია არაბული \| თავკომბალების შესახებ |
| პოეზია | 21 | ტარიელ ჭანტურია |
| | 24 | დიანა ანფიმიადი |
| | 26 | ლევან ზარიძე |
| თარგმანი | 30 | სალმან რუშდი \| ზერიკაცი მოედანზე<br>*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |
| | 38 | ამერიკელი პოეტების მცირე ანთოლოგია<br>*ინგლისურიდან თარგმნა ზაალ ჩხეიძემ* |
| პორტრეტი | 44 | მარიო ვარგას ლიოსა \| სტუმრად ბუნიუელთან<br>*თარგმნა დათა ხარაიშვილმა* |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა**

**The Literary Magazine "Arili"**

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**ლექსო დორეული**
**შადიმან შამანაძე**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

**რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.**


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge
AriliMagazine

**გამოდის 1993 წლიდან**



**© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია**



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

ჟურნალი გამოიცემა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მხარდაჭერით

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# პაატა შამუგია - კულტურა გვთავაზობს თავაზიან დიალოგს საკუთარ შეცდომებთან“

## ესაუბრა ოთარ ჯირკვალიშვილი



*ჩემს მეგობარ პაატა შამუგიას მიაჩნია, რომ ნებისმიერი ღირებული ლიტერატურული ტექსტი ბიბლიის გაგრძელებაა... ხოლო ვის შეიძლება დღეს ეწოდოს პოეტი“? ან ჩაითვლებოდა თუ არა ემპედოკლე ჩვენს დროში პოეტად? ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხს ინტერვიუში ნახავთ. გარდა ბევრ საკითხში მოსაზრებათა თანხვედრისა, მე და პაატას ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც გვაერთიანებს, ის აფხაზეთიდან დევნილია, მე - სამაჩაბლოდან. იგი არ წერს მხოლოდ სპონტანური და ირაციონალური აღძვრებით, მის ნაწარმოებებში შეიმჩნევა ღრმა ირონიული რეფლექსია რიგ ფილოსოფიურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე. ზოგჯერ პოეტურ სატირასაც მიმართავს, რითაც რამდენჯერმე შეძლო ჩვენი მთვლემარე საზოგადოების გამოფხიზლება და მწყობრიდან გამოყვანა, რაც, უდავოდ, მის კარგ ალღოზე, დახვეწილ გემოვნებასა და გონივრულ მიზანდასახულობაზე მეტყველებს. მას ექვსი წიგნი აქვს გამოცემული და ექვსიდან ორმა პოეტურმა კრებულმა ლიტერატურული პრემია საბა“ მოუტანა.*

*როდესაც ლიტერატურულმა ჟურნალმა არილმა“ პაატასთან გასაუბრება შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან, როგორც დოსტოევსკი გვეუბნება, ჭკვიან ადამიანთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა“.*

**- პაატა, მოდი საუბარი პოეზიის (პოეტის) სოციალურ როლზე დავიწყოთ. ფრანგი პოეტი ბლეზ სანდრარი დანანებით აღნიშნავდა, რომ პლატონმა პოეტს მოქალაქეობის უფლება არ მიანიჭა, დღეს როგორი მოქალაქეები არიან პოეტები, ღირს მათი ქვეყნიდან გაძევება, როგორც, ვთქვათ, ბროდსკი გააძევეს საბჭოთა კავშირიდან? რა მაგალითს აძლევენ მოქალაქეებს, აქვთ გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თუ ეგ უკვე ჩავლილი ამბავია?**

- დღეს პოეტის გავლენა მხოლოდ სპეციფიკურ სფეროებშია შემორჩენილი. არის ისეთი უცნაური ადგილები, სადაც პოეტი და პოეზია ზემოქმედებს. ახლა ორი ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური ადგილი“ მახსენდება: თეორიუ-

საქართველოს პარლამენტის ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ფიზიკა და ტერორისტული ორგანიზაცია. მიჩიო კაკუს მოსმენა მიყვარს - პოეტური ენით მეტყველებს, მისი ნებისმიერი მაგალითი ძლიერი პოეტური მეტაფორითაა გამყარებული, სამყაროს შესაცნობად პოეტურ მედიუმებს იყენებს და არა სქემატურ სამეცნიერო ენას. მეორე მხრივ, აჰლამ ალ-ნასრი იყო ISIS-ის სუპერვარსკვლავი, რომელიც უშუალოდ ტერორისტებში ღვთაებრივი ავტორიტეტით სარგებლობდა. წიგნიც აქვს დაწერილი, რომელიც რადიკალებში ხელიდან ხელში გადადიოდა. ომონიმურ პოეზიას წერდა (ახლაც წერს), თუმცა არც ისე ნიჭიერად. ზოგადად, აღმოსავლური ტრადიციისთვის პოეზია მხოლოდ ესთეტიკური ფაქტორი არასოდეს ყოფილა, მას მძლავრი სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური მისიაც ჰქონდა. შაჰები რომ წუწკები იყვნენ, ეგეთი უნდა, მაგრამ თავის დროზე შაჰი ფირდოუსის თითო სტროფში თითო ოქროს იხდიდა.

მაგრამ ეს ცალკეული მაგალითები მხოლოდ გამონაკლისებია და საერთო ფონს ვერ გვიმკაფიოებს. იმისთვის, რომ გავიგოთ რა გავლენა აქვს პოეტს, ჯერ უნდა გავერკვეთ, ვინ არის პოეტი. პასუხია: არავინ. ის ოდისევსური არავინ", რომელიც დროის ციკლოპს (კონიუნქტურას ან ბაზრის ტრენდს) უნდა დაუსხლტეს და ცხვრის ფარას (შიშებსა და კომპლექსებს) ამოფარებული უნდა გავიდეს სამშვიდობოს. მაგრამ ოდისევსისგან განსხვავებით, პოეტი ვერასოდეს გაეა სამშვიდობოს, ვერ გადარჩება და ამ ვერგადარჩენაში ვხედავ პოეზიის განწირულ და ლამაზ მისიას. ახლა დავფიქრდი და (სპოილერი!) ჩემს მომავალ კრებულს შეიძლება ამის გამოც ვარქმევ არგადარჩენას".

**- ჩვენ გაგვიმართლა ამ თვალსაზრისით, გვყავს ექსორიაში მყოფი თანამედროვე ქართველი პოეტი ზვიად რატიანი. რაზე მეტყველებს ის, რომ ძვ. წ. IV სკ.-ში გაჩენილ პლატონურ იდეას ჩვენმა სახელმწიფომ 21-ე საუკუნეში შეასხა ხორცი?**

- რატიანის შემთხვევა ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ლაქაა სხვა მრავალ ლაქათა შორის. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ზუსტად შევიგრძენი, რაზე იყო წამსვლელი სისტემა, საკუთარი მოძალადე წევრების გადასარჩენად. ცხადია, ზვიადი არ დაუსჯიათ პოეზიის გამო, მაგრამ ის დასაჯეს სწორედ იმ მოტივით, რა მოტივითაც პლატონს უნდოდა პოეტების გაყრა სახელმწიფოდან - ცუდ მოქალაქედ ყოფნის გამო. სახელმწიფოში, სადაც პოლიცია ქურთუკის ფერის გამო შეურაცხყოფას მოგაყენებს და ბონუსად, ხელბორკილდადებულს გცემს, ყველანი ვალდებულები ვართ ვიყოთ ცუდი მოქალაქეები".

**- შენი აზრით, პაატა ბურჭულაძე, პატრიარქის ხატით ხელში, ისევ დაფრინავს გლდანის თავზე, თუ ამ შენი ლექსის დაწერის შემდეგ შეიცვალა რაღაც არსებითი ქართულ საზოგადოებაში?**

- ახლა სრულად აღმიდგა ეგ კადრი, როგორც მიასეირნებდა მსოფლიოში აღიარებული საოპერო ბასი ხატს ვერტმფრენით. შეუძლებელიც კი იყო, ეს არ გამხდარიყო ჩემი შთაგონების მიზეზი.

რაც უნდა იყოს, მე მჯერა ჩვენი ეროვნული ჰედონიზმის. ჰედონისტისთვის კი თეოკრატია არ არის საუკეთესო მოცემულობა, ამიტომ, თუ ასარჩევად იქნება საქმე, მას დიდი მხარდაჭერა აღარასოდეს ექნება ჩვენს საზოგადოებაში. მეორე მხრივ, ადამიანი სუსტი არსებაა, მას მუდმივად სჭირდება საყრდენი. შრომისგან, დაუსრულებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსისგან ბოლომდე გამოჭმული ადამიანები ეძებენ საყრდენს და ამ საყრდენის ილუზია მათ შესთავაზა ორგანიზებულმა რელიგიამ, კორუმპირებულმა ეპისკოპოსებმა, უბრალოდ, გარკვეული დროის მერე ისინი გაწირეს და მოისროლეს, თვითონ სუპერმდიდრები გახდნენ. აქ დაიწყო შინაგანი კონფლიქტი მრევლსა და სასულიერო პირებს შორის: როგორც ორტეგა ი გასეტი ამბობს, სოციალურ ერთობას ტაბუს ერთგვარობა იწვევს. ამ შემთხვევაში, დაირღვა სიმდიდრის ტაბუ, რომელიც მძიმე ცოდვად მიიჩნევა ქრისტიანულად. ნაპირის ერთ მხარეს დარჩა გაღატაკებული მრევლი და ნაპირის მეორე მხარეს - ძალიან მდიდარი სამღვდელოება. სხვა ტაბუც დაირღვა, მაგალითად, სექსუალური თავშეკავების.

ინტიმური რწმენიდან თუ გამოვალთ და ინსტრუმენტალიზებულ რელიგიას შევხედავთ, აქ უდავო ბოროტებას აღმოვაჩენთ, რომელიც სხვა აზრის მქონე ადამიანებს უბრალოდ აუქმებს. სწორედ ეს ინსტრუმენტალიზებული რელიგიაა ამ ქვეყნის პრობლემა. თუმცა, მაინც დასაწყისს მივუბრუნდები და ვიტყვი, რომ ჰედონიზმი უფრო ძლიერია ჩვენში, ვიდრე მისი საპირისპირო რამეები.

**- შენი პოეტური კრებულის დაუჯდომელი"-ს, წაკითხვის დროს რელიგიური ადამიანი თუ არ დაჯდა, შეიძლება გული წაუვიდეს და წაიქცეს. ეს ხუმრობით, სერიოზულად თუ ვიტყვით, ამ კრებულში აშკარაა რელიგიური კონცეპტების დეკონსტრუქციისაკენ სწრაფვა. შეგიძლია გვითხრა, რა პერსპექტივიდან არის ეს საკითხები შენთვის საინტერესო?**

- რელიგია მაინტერესებს, როგორც დიალექტიკური თამაშის ნაწილი. თანაც, მე ვემხრობი იმ აზრს, რომ ნებისმიერი ლიტერატურული ტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტი ბიბლიის გაგრძელებაა. ამ თვალსაზრისით, მე პოეტური ტრადიციის წრეში ვმოძრაობ. საერთოდაც, ჩემი საყვარელი მხატვრული ნაწარმოები იოანეს სახარებაა, საოცარი პოეტური ენერგიით დაწერილი დიდი ნაწარმოები.

**- პოეტი" - ამ სიტყვის გაგონება დღეს ბევრში ანაქრონისტულ, ირონიულ ასოციაციებს აღძრავს. ზოგი საერთოდ გაურბის ამ სახელდებას და უფრო ნეიტრალური ავტორი" ურჩევნია. ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ უხერხულობას განიცდის, როდესაც პოეტად" მოიხსენიებენ. როგორ ფიქრობ, დღეს რა კონოტაციებით, რა შინაარსით არის დატვირთული ეს სიტყვა? მიგაჩნია, რომ ეს სიტყვა შენ აღგწერს და გამოგხატავს?**

- მგონი, შარშან იყო, ტვიტერზე ნოამ ჩომსკიმ დაწერა ჰოვარდ ზინის ფრაზა: მათ აქვთ იარაღი, ჩვენ გვყავს პოეტები. შესაბამისად, ჩვენ გავიმარჯვებთ". ჩომსკიც და მისგან ციტირებული ზინიც დიდი მოაზროვნეები არიან, მაგრამ პოეზიისათვის ასეთი ფორის მიცემა, მისთვის არგუმენტის ტვირთის აკიდება იმდენად განწირული ჟესტია, ბევრ რამეზე გაფიქრებს ადამიანს, მათ შორის იმაზე, რომ პოეზიის შექმნა ამ ეტაპზე ნიშნავს დასრულებულ რბოლაში მონაწილეობას.

მეორე მხრივ, რაღაც დროით მეც მქონდა ეგ განცდა, რომ, როგორც შენ აღნიშნე, პოეტი ანაქრონისტული განმარტება იყო და მოვითხოვდი, უკიდურეს შემთხვევაში, მწერალი ეწოდებინათ ჩემთვის, მაგრამ ვინც წერს, მას ასეთი ლინგვისტური ნიუანსების არ უნდა შეეშინდეს. პირიქით, რაღაც აზრით, გამოწვევაცაა, რომ ის, რაც ანაქრონიზმად მიიჩნევა, აქციო ცოცხალ აქტად და ამ აქტში ჩართო რაც შეიძლება მეტი ადამიანი.

**- ამჩნევ შენს გავლენას ახალგაზრდა პოეტებზე? მგონი ამისთვის თავადაც საკმაოდ ახალგაზრდა ხარ...**

- დღეს უკვე ახალგაზრდა პოეტის ცნებაც გადაიხედა. არტურ რემბომ 19 წლისამ დაწერა დასაწერი, მერე გალოთდა და არაფერიც აღარ დაუწერია. ახლა ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ თავად პოეზია შეიცვალა. ამ თვისობრივ ცვლილებაზე წერს სწორედ შენგან და ჩემგან ანონიმურად ნახსენები პოეტი (რომელშიც ორივემ ენცესბერგერი ვიგულისხმეთ). რაც შეეხება გავლენას, მგონია, რომ მე პირადად მაქვს ყველა პოეტის გავლენა, ვინც ოდესმე წამიკითხავს, ყველას მოუცია ჩემთვის საკვები, მცირე ნაპერწკალი მაინც აუნთია და ამ ნაპერწკლისგან მიცდია ცეცხლის დანთება. არ ვცდილობ ვიყო ყალბად თავმდაბალი, ძალიან კარგად მესმის, რომ არიან ახალგაზრდები, ვინც ჩემს ესთეტიკურ კოდებს იზიარებენ და იყენებენ კიდეც, თუმცა საბოლოოდ მაინც მოუწევთ მონახონ თავიანთი, სრულიად თავიანთი სათქმელი და ეს უმეტესად, ასეც იქნება.

**- თუ სწორად მახსოვს, ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა დათვალა კიდეც, რომ პოეზიას მთელს მსოფლიოში 1219 მკითხველი ჰყავს. როგორ ფიქრობ, ხომ არ შემცირდა ეს რიცხვი ჩვენს დროში, თუ ეს უნივერსალური რიცხვია და არც იკლებს და არც იმატებს? დღესაც კარგად ასრულებს პოეზია რეალობის ინტერპრეტაციის როლს? როგორი ხალხი კითხულობს დღეს თანამედროვე პოეზიას?**

- იმავე ჭკვიანმა ადამიანმა თქვა, რომ პოეზია მეცნიერების ინსტრუმენტებს შეირევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გაგება მოითხოვს გარკვეული მეთოდიკის დაუფლებას, როგორც ეს მეცნიერებაში ხდება. პოეტი აღარ სჯერდება მგრძნობელობაზე ექსკლუზივს და პედანტი მკვლევრის თვისებებს იძენს, ახლო მომავალში იგივე თვისებები დასჭირდება მკითხველსაც, რათა გაიგოს პოეზია. რაც შეეხება კითხვას, დღევანდელ ლიტმცოდნეობაში სიტყვა თანამედროვეს" ორი მნიშვნელობა აქვს - ქრონოლოგიური და იდეოლოგიური. როცა ლიტერატორი ამბობს თანამედროვეს", ის მეტწილად გულისხმობს იდეოლოგიურ შემადგენელს, ამიტომაც მგონია, რომ შენი კითხვა სწორედ ამ ასპექტს მოიცავს. დღეის პოეზია იდეოლოგიურად მემარცხენეა, მაშინაც კი თუ მას ლიბერტარიანელი წერს.

თანამედროვე პოეზიას ყველაზე აქტიურად კითხულობენ თავად თანამედროვე პოეტები, მკითხველებში არიან, ასევე, ლიტერატურის სპეციალისტები და ყველაზე მცირე ნაწილია ჩვეულებრივი" მკითხველი, რომელიც ავტორობაზე პრეტენზიას არ აცხადებს. თუმცა მე მაინც ეჭვი მაქვს, რომ პოეზიის მკითხველი ვინცაა, ჩუმად მაინც წერს თვითონაც.

**- როგორ შეიძლება დღეს პოეტი ესთეტიკურადაც და სემანტიკურადაც ადეკვატური იყოს დროის მიმართ?**

- თუ ვლაპარაკობთ კაზუისტურ პოეზიაზე, რომელიც კონკრეტულ, მიმდინარე დროში მოცემულ ფაქტს ეხმიანება ხოლმე (Occasional poetry - შემთხვევების პოეზიადაც შეიძლება ითარგმნოს), მაშინ ეს გარდაუვალია. ასეთია ეკა ქევანიშვილის ბევრი ლექსი, ნინო თარხნიშვილის შედარებით ნაკლები ლექსი, გიო ხასაიას ლექსები, მეც მაქვს რამდენიმე ასეთი. ეს მიმდინარეობა თანდათან ფეხს იკიდებს ქართულ რეალობაში (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად ავტორებმაც არ იცოდნენ ეს). ე.წ. კაზუისტური ლექსი, როგორც წესი, კონკრეტულ ფაქტზეა დამიზნებული, შესაბამისად, ცოცხლობს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ეს კონკრეტული ფაქტი იქნება ცოცხალი. ასეთი პოეტიკის შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ესთეტიკური და სემანტიკური ადეკვატურობის გარდაუვალობაზე. ზოგადად კი, რატომ უნდა იყოს პოეტი ადეკვატური? მაგალითად, რუსთველი არ იყო ადეკვატური დროის და ესთეტიკის თვალსაზრისით, მის დროში სხვა რალაცები მიიჩნეოდა ადეკვატურად, ამიტომაც შერისხა ეკლესიამ. არც უიტმენი იყო ადეკვატური, ამიტომაც გაგიჟდა სამწერლო ელიტა, როცა ბალახის ფოთლები“ გამოვიდა და სულაც ჩემს საყვარელ კნუტ ჰამსუნს აწერინა სისულელეები, რომ თითქოს უიტმენმა წერა საერთოდ არ იცოდა. ჯონ აპდაიკის მუტლები“ ადეკვატურობიდან, ნორმირებულობიდან გასვლა იყო, რაკი სხეულებრივი საზღვრები წარმოგვიდგინა, როგორც კულტურული მესიჯი.

თუკი ჩვენ მოვითხოვთ, პოეტი იყოს ადეკვატური რომელიმე იდეის მიმართ, მაშინ მას ვთხოვთ იყოს ჭეშმარიტების მესაყვირე, რაც არ გამოვა არაფრით, ეს მისია არ აქვს პოეტს, არც არასდროს ჰქონია, ყოველთვის ხელოვნურად იყო მიწებებული ეს ტვირთი პოეტის რეპუტაციაზე. როგორც ჩემზე ჭკვიანმა თქვა დიდი ხნის წინ, კულტურა არსებობს იმისთვის, რომ ჭეშმარიტებისგან გვიხსნას. ორგანიზებული რელიგიებისგან და მწყობრი იდეოლოგიებისგან განსხვავებით, კულტურა გვთავაზობს თავაზიან დიალოგს საკუთარ შეცდომებთან და დამარცხებებთან, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანად ყოფნის წინაპირობაა. ამ კულტურის ნაწილი მგონია ლიტერატურაც.

**- დავუბრუნდეთ შენს შემოქმედებას. ფილოლოგი ხარ და ალბათ გეცოდინება, რომ წლების წინ დაიწერა ასეთი დისერტაცია საჩოთირო ადგილები ვეფხისტყაოსანში“. ჰოდა, ისე მოხდა, რომ შენ ამ საჩოთირო“ ადგილებს დიდი ყურადღება დაუთმე პირველ წიგნში ანტიტყაოსანში“. ეგ ამბავი მე, როგორც მკითხველს, ძალიან მომეწონა, მაგრამ იმ დროს, როდესაც წიგნი გამოიცა, მე და ჩემნაირები (მაგ., ნოდარ ნათაძე) უმცირესობაში ვიყავით. საერთოდ, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს იყო ვეფხისტყაოსანზე“ და შესაბამისად ქართველობაზე ალვირახსნილი თავდასხმა. გლანძლავდნენ იმის გამო, რომ ვეფხისტყაოსანს“ დასცინე, მისი პაროდირება სცადე და ა. შ. მხოლოდ იმას მიაქციეს ყურადღება, რომ ასმათი ტარიელისგან ფეხმძიმედ დარჩა. სინამდვილეში, ეს ვეფხისტყაოსანზე“ თავდასხმა იყო თუ მისი აპოლოგია?**

- თანამედროვე ლიტერატურის ამოსავალი კლასიკაა, მასთან დავა, კამათი, უხეში გადაწერა, ირონიული გადათამაშება. ეს, ერთი მხრივ, კლასიკას იხსნის თაროზე დალპობისგან და, მეორე მხრივ, ხსნის გზას წარსულთან დიალოგისთვის და მისი რევიზიისთვის.

**- ბევრმა ჩათვალა, რომ ანტიტყაოსნის“ გამოქვეყნება ეპატაჟური მოვლენა იყო, რომელმაც ცნობადობა მოგიტანა. ვიცით ჩვენს უახლეს ისტორიაში ეპატაჟის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევის შესახებ, ვთქვათ, დავით ბარბაქაძის ტრფობა წამებულთა“, ლაშა ბუღაძის პირველი რუსი“, ერეკლე დეისაძის საიდუმლო სირობა“ და ა. შ. ამ ნაწარმოებებით აღშფოთებულ ადამიანებს, როგორც წესი, ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულება არ აინტერესებდათ, მათ, ძირითადად, ტექსტის თემატიკა აღაშფოთებდათ. აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია ლიტერატურულ ტექსტს რელიგიური ფუნდამენტალისტებისა თუ რადიკალ ნაციონალისტთა ხმაური აღარ გამოუწვევია, არადა ბევრი მცდელობა იყო მათი პროვოცირების. რატომ ველარ ახერხებს ავტორი საზოგადოებრივი ჯგუფების პროვოცირებას, რა სახის იმუნიტეტი გამოიმუშავეს ეპატაჟის მიმართ რადიკალებმა? და ბარემ ისიც გვითხარი, რით განსხვავდება ერთმანეთისგან სოციალური და ესთეტიკური ეპატაჟი?**

- მე არ ვარ მაინც და მაინც წინააღმდეგი, ჩემ გარშემო იყოს ხმაური და მძვინვარება. თუმცა ამ წიგნის გამოცემა მაგ მიზნით არ მიცდია და გაოცებული ვიყავი, ამხელა აჟიოტაჟში რომ ამოვყავი თავი. მშვენიერია, თუკი ამ სრულიად პოლიტიზებულ და კომერციალიზებულ სამყაროში ლიტერატურა ახერხებს პოლიტიკოსებს და როკსტარებს მოჰპაროს ყურადღების ეპიცენტრი, მაგრამ ეს ყოველთვის არ მოხდება. როცა ანტიტყაოსანი“ გამოიცა, თსუ-ს ადმინისტრაციას ნინმსწრებად ატეხილი ხმაურის შეეშინდა და გამიუქმა პრეზენტაცია, მომიწია ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადამეტანა, სადაც რელიგიური ფუნდამენტალისტები მომიცვივდნენ და ცდილობდნენ საღამოს ჩაშლას, რაც არ გამოუვიდათ - ჩემი მკითხველები უფრო გადარეულები გამოდგნენ და თვითონ ეგენი გაყარეს შენობიდან. მღვდლებმა გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში“ დამგმეს, ერთმა გაზეთმა მთლიანი ნომერი ექსკლუზიურად მომიძღვნა და, რატომღაც, გურამ შარაძის მკვლევლობასა და ამ წიგნს შორის გაავლო პარალელი. ფუნდამენტალისტებს ისედაც უჭირთ კონტექსტის აღქმა და ამ შემთხვევაში მთლად პირდაპირ გაიგეს, რადგან თეეების განმავლობაში მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეკავდნენ ვილაცები და პასუხს მთხოვდნენ შარაძის მკვლელობაზე. იყო მკვლელობის მუქარებიც, რაზეც რამდენიმე საქმე აღიძრა კიდეც. მახსოვს, ერთ-ერთ განყოფილებაში გამომძიებელმა როგორ დამაიმედა: მუქარის გამო ვერავის დავიჭერთ, სამაგიეროდ, თუ მოგკლავენ, ზუსტად გვეცოდინება, ვინ ქნაო. ძალიან დავმშვიდდი.

ეს ეპატაჟის ერთი მხარეა, მეორეა ესთეტიკური ნაწილი, რომელიც ხშირად აღქმის მიღმა რჩება. ახლა თუ დავწერდი ასეთ ტექსტს, უკეთ ვიზამდი ამ საქმეს, ცხადია.

მე არ მგონია, რომ საზოგადოებამ გამოიმუშავა იმუნიტეტი და აღარ ჩათვლის რომელიმე წიგნს მისი გრძნობების გამთელავად. სულ ახლახან საბავშვო ავტორებს ფიწლებით დასდევდნენ აღშფოთებული მშობლები, რომლებიც მაყვალა მრევლიშვილის გამხრწნელი ზეგავლენისგან იცავდნენ შვილებს.

**- ხშირად მოგვისმენია, რომ პოეზია ხელოვნების ყველა დარგში უნდა იყოს რაღაცა დოზით, თუ ეთანხმები ამ მოსაზრებას ან თუ წარმოგიდგენია ცხადად, რას ნიშნავს ეს? რა სახით, რა ელემენტით შეიძლება იყოს პოეზია ყველა ტიპის ხელოვნებაში?**

- ყველა დარგში არ ვიცი, თუმცა, სახელოვნებო დარგების უმეტესობა დღეს ისეა გადაზავებული, მიჯნების მონიშვნაც კი ჭირს. წერით პრაქტიკასთან დაკავშირებული სახელოვნებო დარგები, ცხადია, იყენებენ პოეზიას, როგორც ენაში უფრო ღრმად ჩასვლის საშუალებას. კარგი რომანისტი მე ვერ წარმომიდგენია პოეზიის გაფაქიზებული შეგრძნების გარეშე. ეს შეგრძნება უნდა ჩანდეს მაშინაც კი, როცა რომანისტი სრულიად განდევნის პოეზიას რომანიდან.

**- შენს პოეზიაში ბევრი ასპექტის დანახვა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შეიძლება, მაგრამ მე სამ ნიშანს გამოვარჩევდი, ესენია: ინტერტექსტუალურობა, სიტყვებითა და სიტყვით ოსტატური თამაში (კალამბური) და ირონიულობა-პაროდიულობა. ხომ არ ენათესავება ამ თვალსაზრისით შენი ტექსტები ტარიელ ჭანტურიასა და ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებას? აქვე დავამატებ ჩემს აზრს, რომ შენი ლექსები ძალიან განსხვავდება მათი ლექსებისგან, მხოლოდ ამ ნიშნებზე გეკითხდები.**

- რასაკვირველია, ენათესავება, სხვანაირად ვერც იქნებოდა. ორივე ძალიან დიდი პოეტია და ორივე ძალიან თანამედროვეა. ხომ არის ხოლმე, კითხულობ მწერალს, მაგარს, ტალანტიანს, მაგრამ რაღაც ქრონოლოგიური ბარიერი დგას შენსა და ტექსტს შორის, ამ ორ პოეტთან არასდროს მქონია ეგ შეგრძნება. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სწორად აღნიშნე, ჩემი ესთეტიკური ბანაკი, პრაქტიკულად, მათი ბანაკების საპირისპირო მხარესაა დაცემული.

**- არისტოტელე „პოეტიკაში" ჰომეროსისა და ემპედოკლეს შემოქმედებას შორის განსხვავებაზე საუბრობს და ამბობს, რომ „მათ შორის არაფერია საერთო, გარდა ლექსის საზომისა. ამიტომ, სწორი იქნება, რომ პირველს სახელად ვუწოდოთ პოეტი, ხოლო მეორეს - უმალ ბუნებისმეტყველი, ვიდრე პოეტი". დღეს თუა შესაძლებელი ასეთი მკაცრი გამიჯვნა? ჩაითვლებოდა ემპედოკლე პოეტად, თუკი მოისურვებდა, რომ საკუთარი თავისთვის პოეტი ეწოდებინა? ხომ არ მოიშალა ხელოვნების ჟანრების განსაზღვრის კრიტერიუმები?**

- ფაქტობრივად, პასუხიც გაეცი კითხვას ბოლო წინადადებაში. ამის საუკეთესო დასტური იყო თუნდაც ბესიკ ხარანაულის კრებული „დიდი სმა", რომელიც ერთდროულად იყო „ლიტერას" „პროზის" და „საბას" პოეზიის ნომინაციაში. ტრაგედია არაფერია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მაინც არ უნდა მომხდარიყო. კარგ პოეტს შეუძლია ცარიელი ფურცელი გამოსცეს და პოეზიად „დანიშნოს", ისევე, როგორც დიუშანმა დანიშნა პისუარი ხელოვნების ერთ-ერთ საკვანძო არტეფაქტად, და ამ მშვენიერ პროცესს ხელი რატომ უნდა შევუშალოთ? ეს არის ავტორის დიქტატურა, რომლის საპირისპირო იდეაც გაჩნდა 70-იანებში, როცა შემოვიდა როლან ბარტის თეორია ავტორის სიკვდილის შესახებ. ბარტი ავტორის ძალაუფლებისადმი რწმენას ატავისტურ ჟესტად მოიაზრებს, რაც, ჩემი აზრით, მთლად ასე არაა. სინამდვილეში, ეს უდავოდ ლამაზი აზრი პრაქტიკაში სულაც პირიქით განხორციელდა - ავტორი კი არა, მკითხველი მოკვდა და ჩვენ ამ გაუთავებელი კვდომის მოწმეები ვართ ახლა. მთავარი კი ისაა, რომ ბარტი, როგორც ყველა ნესიერი ფილოსოფოსი, სანახევროდ მართალია - ანუ კითხვისას ჩვენ აზრი გამოგვაქვს ნაწერიდან, მაგრამ ამავე დროს აზრი შეგვაქვს ნაწერშიც, მისი ამა თუ იმ კუთხიდან აღქმის გზით. ასი ადამიანი წაიკითხავს კაფკას და ასი ურთიერთსაწინააღმდეგო ემოცია გაჩნდება, მაგრამ, ჩემი გადმოსახედიდან, ეს ასივე ემოცია არის ავტორის მიერ ტექსტში წინასწარ ჩადებული. მე ასე მჯერა და სხვანაირად რომ მჯეროდეს, არც დავწერდი.

დიუშანი რომ ვახსენე, იქვე უნდა მეთქვა, რომ მარტო ხელოვნებად „დანიშვნის" აქტი არ კმარა, მას წინ უნდა უსწრებდეს ავტორის ტიტანური ნება. დიუშანამდეც იყო საყოფაცხოვრებო ნივთის ხელოვნებად დანიშვნის აქტები ჩატარებული და არც ერთი არ დარეგისტრირდა დამთვალიერებლის ცნობიერებაში, როგორც ხელოვნება, რადგან ამ ნივთებს აკლდათ ავტორის ნების სიმძაფრე. თავად ავტორი თუ არ გრძნობს „თავისი" ნივთის გარდაუვალ პოტენციას, იყოს ხელოვნება, მაშინ მისი დანიშვნის ლეგიტიმაციაც სუსტია.

**- დღესაც დავაა ქართულ საზოგადოებაში ამ საკითხზე: კონვენცია თუ თავისუფალი ლექსი? მგონია, რომ შენ ამ თვალსაზრისით ოქროს შუალედს მიაგენი, შენს პოეზიაში ლექსის წერის ეს ორივე მეთოდი ორგანულად და კარგად არის შერწყმული. მიგაჩნია, რომ კონვენციამ თავი ამოწურა და ახალი ფორმებია მოსაძებნი? ან ხომ არ ფიქრობ, რომ თავისუფალმა ლექსმა ბევრ ადამიანს გაუჩინა პოეტობის ცრუ განცდა და ახლა ისინი ცდილობენ უნიჭობა თავისუფალი ლექსით შეფუთონ და შემოგვასაღონ? რას ფიქრობ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- ეს დავა ძალიან ჰგავს რწმენის დატოლებას. მართლმადიდებელს თავისი სარწმუნოება მიაჩნია უპირატესად, მუსლიმს - თავისი, „ბიბლიური თავისუფლების" მღვდელს - ალბათ, თავისი. ვერ დაარწმუნებ რომელიმეს საპირისპიროში. მაგრამ ერთია პირადი მიდგომები და მეორეა სალიტერატურო, პროფესიული სჯა. მას შემდეგ, რაც პოეზიას ჩამოეხსნა მეხსიერების საცავის და მნემონიკური სავარჯიშოს ტვირთი, ამ საკითხზე კამათი ამოწურულია. ილია ჭავჭავაძეს არასოდეს დაუწერია თავისუფალი ლექსი, მაგრამ მშვენივრად ესმოდა ეს საკითხი. „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? პოეზია განსახოვნებაა ცხოვრებისა, ჭეშმარიტებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა". გემახსოვრება, ილია ამას წერდა კოზლოვის „შეშლილის" თარგმანის კრიტიკაში. სხვა ბევრი ავტორიტეტის ციტირებაც შეიძლება, მაგრამ რა საჭიროა? ორივემ ვიცით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონვენციური ავტორები, რომლებიც გადასარევ ლექსებს წერენ და ასევე ორივემ ვიცით ვერლიბრის დიდოსტატები. სხვა საქმეა ის, რომ თანამედროვე პოეზია ექსკლუზიურად თავისუფალ ლექსზეა ორიენტირებული. ბევრი მიზეზია საამისოდ, ის, რომ ფორმები  დაიღალა“, ის, რომ სალექსო საზომები  თვლადია“ და, შესაბამისად, ლიმიტირებულიცაა, მაგრამ მთავარ მიზეზად მაინც მსოფლმხედველობრივი ცვლილებები მიიჩნევა. მაგალითად, თეოდორ ადორნო ამბობს, რომ  ფორმის გათავისუფლება, რომლისკენაც მიისწრაფვის ნებისმიერი ახალი ხელოვნება, არის საზოგადოების გათავისუფლების შიფრი, რადგან ფორმა, მთლიანად ცალკეულის, ერთეულის ესთეტიკური კონტექსტი, წარმოადგენს სოციალურ ურთიერთობებს ხელოვნების ნაწარმოებში". ტიტანური შრომა დასჭირდება პოეტს, რომ ამ დისჰარმონიულ, ქაოსურ სამყაროში შექმნას ჰარმონიული, მწყობრი ლექსი და ოდნავ მაინც ყალბი არ იყოს.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ხომ არ ფუთავს ვერლიბრი უნიჭობას უფრო ეფექტიანად - მე მგონია, რომ კონვენციურ ლექსში გაცილებით იოლია სისუსტეების ისე  ჩამაგრება", თითქოს ეს სისუსტე არც იყოს, აქ ხომ ბევრი სამალავია, ბოლოს და ბოლოს ეფექტიან რითმაში ჩამალავ არც ისე მოქნილ აზრს, ვერლიბრი ამ მხრივ სრულიად ღია და გადახსნილია. და აი, დამატებითი არგუმენტიც ნამოგვენია, თუ რატომ არის ვერლიბრი უფრო მისაღები თანამედროვე ღია საზოგადოებისთვის.

**- გადავიდეთ კრებულზე, რომელიც, რამდენიმე ჭკვიანი ადამიანის მსგავსად, მეც შენი Magnum opus-ი მგონია. ეს არის  შიზოგადოება“, რომელმაც 2015 წელს მეორე  საბა“ მოგიტანა. ჯერჯერობით პოეტებში ერთადერთი ხარ, ვისაც ორჯერ აქვს  საბა“ აღებული პოეზიის ნომინაციაში. წიგნზე საუბრისას პოეტმა შოთა იათაშვილმა აღნიშნა, რომ ეს წიგნი  შეგიძლია გადაშალო ნებისმიერ გვერდზე და შთამბეჭდავი ციტატა მოძებნო. და ციტატა არა უბრალოდ ციტატისთვის, არამედ ციტატა, როგორც ძლიერი სოციალური მესიჯი...“ ჰოდა, ჩავატარე ექსპერიმენტი, გადავშალე და შემთხვევით ასეთ ციტატებს წავაწყდი:  ლიტერატურა გახდა შეუძლებელი, როგორც მრგვალი ოთხკუთხედი." და კიდევ:  მკვდარი ლექსები ჩამოაქვს მდინარეს. დაწერე რამდენიც გინდა, ერთ ლექსში ორჯერ მაინც ვერ შეხვალ“... სათაურში კი არის სათქმელის მიზანიცა და ადრესატიც გამოვლენილი, მაგრამ მაინც გკითხავ, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, შენთვის, როგორც ავტორისთვის, რა არის ამ კრებულის ძირითადი გზავნილი? საერთოდ, რამდენად ხშირად კითხულობ საკუთარ ტექსტებს?**

- საქმე ისაა, რომ მთლად კარგად აღარ მახსოვს ეს კრებული. რამდენიმე წელია, გამოიცა და არ მივბრუნებივარ. კონკრეტული ლექსები მახსოვს, ცხადია, მაგრამ არ მახსოვს მთლიანი სტრუქტურა, რომელსაც გარკვეული განწყობის მიხედვით ვალაგებ ხოლმე. ძალიან იშვიათად ვკითხულობ საკუთარ ნაწერებს მას შემდეგ, რაც გამოიცემა. დაბეჭდვის მერე ჩემი იმდენადაა ეგ წიგნი, რამდენადაც ნებისმიერი მკითხველის (აქ, მგონი, ცოტათი ვეთანხმები ბარტს). ამიტომ გამიჭირდება იმის თქმა, რა გზავნილი აქვს ამ კრებულს ან ჰქონდა მაშინ, როცა გამოიცა. საერთოდაც, მაქვს ასეთი რწმენა, რომ ლიტერატურა არ აჩენს პასუხებს, ლიტერატურა აჩენს კითხვებს. პასუხი შეიძლება მკითხველში იყოს, რომელიც ლექსისგან გაჩენილ კითხვის ნიშნებს რაიმე ემოციას შეუყუდებს. აი, ახლაც ცოტათი დავეთანხმე ბარტს.

**- ვიცი, რომ რომანს წერ. პროზის წერას თავისი სპეციფიკა აქვს, პოეზიისგან განსხვავებული სირთულეები ახლავს. როგორ მიდის წერის პროცესი? რა გამოწვევის (გამოწვევების) წინაშე დგახარ? უკვე იცი როგორ განვითარდება და დასრულდება სიუჟეტი, თუ ტექსტი თავად გკარნახობს მიმართულებას? დაბოლოს, მუშაობის ამ ეტაპზე რისი თქმა შეგიძლია რომანზე?**

- გაზვიადებული გამონათქვამი, რომ რომანი მთელი ცხოვრება უნდა იწერებოდეს, მგონი, პირდაპირ გავიგე. 2012 წელს დავიწყე წერა და ჯერაც არ დამიმთავრებია. სინამდვილეში, მხოლოდ ორი თვე ვწერდი, ას გვერდამდე ავედი და ამის მერე, უბრალოდ, გავჩერდი. მივხვდი, რომ დიდი შემოქმედებითი მოცალეობა მჭირდება რომანის დასაწერად, სხვა შემთხვევაში ხალტურა გამოვა, რაც არ მინდა -  პერფექციონისტი ვარ. ზუსტად ვიცი, როგორ იწყება, როგორ მთავრდება, შუაში რა ხდება, პერსონაჟების ხასიათები, ამ ხასიათების განვითარება და.ა.შ. მაგრამ რომანში ეს ხომ არაა მთავარი, მთავარია, მხატვრული სისტემა, რომელზეც აიგება მთელი ტექსტი და ენერგეტიკული ინვესტიცია, რომელიც მასში უნდა ჩაიდოს. პოეზიაში ეს სხვანაირად ხდება - აქ გაცილებით მოკლე დროში გაცილებით მეტის თქმას ახერხებ, რომანს კი სივრცე სჭირდება, ქრონოლოგიური დიაპაზონი, რის საშუალებაც ჯერ არ მაქვს, ჩემი ენერგია მიაქვს ყოველდღიურ პრობლემებს, უამრავ უსაგნო რამეს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს დროებითია. მე ხომ აღვირახსნილად ოპტიმისტი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალეკო ცქიტიშვილი

# გუდვილიადა



უფალი შეგვიწყალებს ჩვენ, ჰიპერმარკეტ გუდვილსა შინა წვნიანის ნაკრების რიგში მდგომებს - ზამთრის სუსხიდან შემოსულებს, გაქუცულპალტოიანებს, თმაშეუღებავებს, წვერგაბურძგნულებს, დაწერტილებს, დამღიერებულებს, პირმსივან-ჩარაღოვნებს, რამეთუ სიდუხჭირემ მოგვყარა აქ - ჯიპებზე ამხედრებულთა, კარაკულისქურქიანთა, ფრანგულსუნამოიანთა, ფანჩარდავარცხნილთა, A კლასის ოფისების მდგმურთა მექაში, საცა არა არს გარჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, აზნაურთა და უაზნოთა, მდიდართა და ბოგანოთა, საცა ყველანი ლოცვას აღუვლენენ გუდვილს - მუცელთა ღმერთს, რამდენიმე ჰექტარზე განრთხმულს, დილიდან საღამომდე მქშინავს, პირღიას, ხორცეულ-თევზეულით, ტკბილეულ-მწარეულით, შემწვარ/მოხრაკულით, ცოცხალ/გაყინულით, იმპორტულ/სამამულო პროდუქტებით ამოყორილს - რომელი ხარ ჰიპერმარკეტსა შინა, წმინდა იყავ სახელი შენი, იყავენ ნება შენი, ვითარცა საკვებ პროდუქტთა შინა, ეგრეცა გალანტერეასა ზედა, ფართლეულსა ზედა, რკინეულსა და სათამაშოებსა ზედა, იფქლი 1-ის, ბეზეკის, ლიტვური საცხობის, ჯი.მარტის, კოლხის, შპს სამებას, საპატრიარქოს და ტბილი სახლის მამაოს პური მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტევენ და მოაყოლე თან: მითანას ძეხვი, ნიკორას ლორი, ტულიპის პაშტეტი, ეკო-ფუდის ნუგბარ-ხაჭო, შპროტი, კოდას, პატარძეულის, ნოსტეს კვერცხები, სანტეს იოგურტი, ტყიბულის ჩაი, მზესუმზირის ზეთი მზიური (რაფინირებული), მარნეულის ტყემალი, კალვეს მაიონეზი (სამარხვო) და კეტჩუპი (მწარე), ბარამბოს კარამელი, ჯი&ჯი-ს კონფიტიური (ჟოლო), იაკობს გოლდი, აჰმად ჩაი - ინგლიშ ბრექფესტი, მაკკოფე ორიგინალი და სხვანი და სხვანი - სანოვაგე ულევი ჩვენთა უძირო სტომაქთათვის, რამეთუ ოდეს ვძლევთ სიყმილსა ჩვენსა, ეგრეცა მოვუკითხავთ თანამდევთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ პოპულისაგან, ამინ!

ეს მე ვარ - გუდვილის პოეტი. ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე აქ, ძვლების რიგში შემომალამდა! გამოელია რითმებს და ტროპებს ცნობილ ბრენდებთან ჭიდილის ძალა. ჰიპერმარკეტი უკვე თვითონ ჰიპერბოლაა! გალანტერეას რომ გავცდები თვალის ცეცებით, ტრიოლეტივით დავყიალობ გაღმა-გამოღმა. ვაკელ აშოღლანს აქვაფრეშის სლოგანი მოსწონს: „აღწევს უფრო ღრმად, წმენდს უფრო უკეთ". ხორცის სექციას ეტმასნება ქალი ავხორცი და უძვლო ხორცის დიდ ნაჭერს ითხოვს (რაზეც ჰკიდია საქართველოს დარდი და ბოლმა). მე კითხვა - ვინ ვის ოხერ გულში ლახვრად მაჩნია - *გუდვილი VS პოპული?*

გუდვილის კარი თვითონ იღება, პოპულისა უნდა გააღო!

პოპული ყველგანაა, როგორც ღმერთი, გუდვილი - ორგან.

გუდვილი ბიპოლარულია, პოპული - პოპულარული.

პოპულიში ვირთხები მომრავლდნენ, გუდვილში - კონსულტანტები!

გუდვილს დიდი ტრაკი აქვს, ცელულიტიანი, პოპულის - პატარა და კოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოპულიში იხვის ტოლმაა, გუდვილში - ბუს კვერცხები.

გუდვილია თევზის სექცია თავიდან ყარს, პოპულისა - უკანალიდან.

პოპული ფუდმარტმა შეჭამა, გუდვილს კარფური შეჭამს.

გუდვილში ნვნიანის ნაკრებია, პოპულიში - ეირის თავ-ფეხი!

***ნვნიანის ნაკრები*** *- ძვლების გროვა გუდვილის ხორცის სექციაში, დახლ-მაცივრის უკიდურეს ნაპირას მიყრილი - ძროხის, ხბოსი და ღორისა. ცალკერძ განირჩევა: 1) საწვნე ძვლები - ყველაზე იაფი, ორმოცდაათთეთრიანი, საქონლის არტალისა, ყოვლად უხორცო, სპილოს ეშვთა მსგავსად გაპრიალებული, რომელსაცა ოდენ ბორშის ქომაგნი ეტანებიან; 2) ღორის ძვლები - რომელთაცა ალაგ ხორცი აქვს შერჩენილი, ესეცა იაფი - 50 თ. ვინაითგან მაწყინარია ბავშვთათვის, წნევიანთათვის და მავანთათვის, ვისაცა ღორის ხორცზედა ალერგია აქვს. 3) ხბოს არტალა - საუკეთესო რამ ბავშვიან ოჯახთათვის, რომელნიცა არიან ღარიბნი და ხელფასითა თვისითა ხბოს ახალ ხორცს ვერღარა სწვდებიან. ამასა კი მოხარშვენ, მწვანილეულით შეანელებენ და პაწია მუცლებს ცხელი წვნიანით დააამებენ. ფასი - 1ლ. 4) წვნიანის ნაკრები - საქონლის ძვლები, ნეტარ ხორციანნი, რომელთაცა გამოსდის წვენი მარგებელი და ქვაბსა მას შინა სამზარეულოსა ასდის ოხშივარი საამო, ვითარცა ქართლის ხეობებს ნისლნი, პოეტთათვის სანატრნი.*

**აქვე ამბავი:** ერთხელაც, იატაკქვეშა გუდვილში, საცა მზადდება წვნიანის ნაკრები ღარიბთათვის და ძაღლთათვის, ხორცის დამხარისხებელმა მოხელემ ძვლების შუაგულში უმაღლესი ხარისხის საქონლის უძვლო ხორცი შემალა, მერმე ცელოფანში შეჰხვია და ზედნადებთან ერთად სპეცლიფტით ამოანოდა თანამომმეს - დუქნისა მფლობელს, რომელიცა ამისგან ამზადებს ხარჩოს და ჰყიდის, მაგრამ კართან, თავისით რომ ილება, დაცვის ბიჭებმა სტაცეს ხელი დუქნისა ამა მფლობელს და გაჩხრიკეს და მიჰგვარეს დირექტორს! სავარაუდოდ, ნვნიანის ნაკრების დამამზადებელ მოხელესა მტრობდა და ასმენდა სხვაი მოხელე იქვე, ანუ მოყვასი, რომელსაცა შურდა და სურდა, განეგდოთ იგი იატაკქვეშა გუდვილიდგან და მის ნაცვლად მოეყვანათ ახლობელი თვისი - მსუყე ხელფასზედ! და ასეც მოხდა - ხორცის დამჭრელ-დამხარისხებელსა ჰკრეს პანღური და განაგდეს სამსახურითგან დიდძალი ჯარიმით - ორიათასთერთმეტსა წელსა, ვარდობისთვესა, ოდეს თბილისში რუსთაველზედ და კოსტავაზედ იყო მიტინგები და აღიარა მან არტალა და შეერთო უკმაყოფილოთა მათ, რომელნიცა იძახდნენ: **მიშა, ნადი!"**

ჩემს კუჭს ახსოვს საბჭოთა კავშირი, როცა მაშინდელ გასტრონომებს ცეკა მართავდა (ცენტრალური კომიტეტი კომპარტიისა). საბჭოური დახლ-მაცივრები ღმუოდნენ, როგორც სტომატოლოგის პაციენტები. მაინც რა იყო კომპარტიის გასტრონომია - იაფფასიანი ძეხვების გროვა, შეფუთქებული თევზეული, პურის, კარაქის, შაქრის, ხორცის გაქუცული ტალონები, სასურსათო დეფიციტის აღმოსაფხვრელად, თუ ნაწამებ დისიდენტთა ტყავის მუჟუჟი, გამოუთქმელი აზრების ხაჭო, იქთიოფაუნად გადაქცეული [illegible]გები, რომელთაც პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული! ვაშლის ხილფაფის მომცრო ქილას ეხატა ზღარბი, რომელსაც ზურგით ვაშლი მიჰქონდა. ყველგან ეს ზღარბი მიცუხცუხებდა. ნინიბურა და ჰერკულესი ეყარა ოხრად და კიდევ ბრინჯი - ბევრი ბრინჯი მაო ძე დუნის სამშობლოდან, როგორც საშველი. კომუნისტებს სექსი არ ჰქონდათ, მაგრამ ჰქონდათ გასტრონომები. კომბოსტოებში ნაპოვნ თაობას ახსოვს ომები - ცივი... ნელთბილი... ცხელი ზმორებით ძლივს ჩაიარა ხანამ ავრეხმა!.. კილკა თევზის და რიგის შპროტის მფარველმა ღმერთმა ულვთოდ წაჰგვარა ამ თაობას ცრუ კომუნიზმი: გადაფრენა ლენინგრადზე და უკან - 37 მანეთად, რს 134-ით, ბოთლი ჭაჭა ინტურისტის ბანძურ ნომერში - სექსამდე და სექსის შემდეგ, ახოტნიჩი ძეხვი, გულძმარვა, მეორე დღის ნაბახუსევი, მანანწალა მეძავის ძუძუ!

გუდვილის პოეტს დამჭირდება პერსონაჟებიც!

თუნდაც - ქვისლი, ჩემი ძმა ავყოფილი, აბანოელი, კონფლიქტის ზონიდან, ბნელი, მძვინვარე - ამბავი როცა რუსებს ეხება, აასარსალებს ენას ზიზღისას. ჰიპერმარკეტში არ იყიდის ჩერნიგოვსკოეს და ინტერნეტში არ მოძებნის ოდნოკლასნიკებს. ხანდახან უბნობს უცხო არაკებს, ხანაც - მაირობს!..

და რამაზი - სლოუფუდელი, ჭურის მეღვინე ნახშირღელედან, სოლიკოური, ცოლიკოურის, ციცქას ვენახით, რომელსაც ალაგ ურევია (ვეჭვობ) დონდლლაბი! უყვარს ბუხარში კეცზე შემწვარი მოუპეპლავი ვარიის ხორცი, ტელეფას ცხვარი, გუდის ყველი, ხმელი კალტი და მესკალი მატლით.

*ჰოდა, იმღერა ქვისლმა ეს ოდა:*

პროტეინით გაძეძგილო ინდაურის მამხო!

ემულგატორებიანო სნიკერსო და მარსო!

სისტემურად შენამლულო თვალწარმტაცო ხილო

-

მხოლოდ ერთგან, მხოლოდ ოდნავ ჭიით გახვრეტილო!

ათი წლის წინ გაყინულო სკუმბრიავ და ხეკო!

გენმოდიფიცირებული მზესუმზურის ზეთო!

ენზიმებით გაწებილო ცრუ კახურო ღვინოვ,

აღარა ვარ შენი მსმელი, ღმერთმა დამიბლვიროს!

ღვინის სექციის კონსულტანტმა გვანცამ არ იცის, რამ გააწყალა ღვინოები ლეგენდარული. საუბრობს ენით პირსინგიანით: ეს კახური ღვინის ნიმუში, ოქროს მედლით, სერტიფიკატით, შეხედეთ, ფერზე ჩაისფერია. პირველ ცხვირზე კვალად იგრძნობთ ბზის სურნელებას, ჩახარშულ კომშს, ნიგოზს, ანანასს. შემდეგ ჯერზე, თვით მანგომაც შეიძლება, ამოყოს თავი. დეკანტირების შემდეგ ღრმაა. აქვს ხანგრძლივი დაბოლოება. დაბალანსებულს, სხეულიანს, ტანინებიანს, შეეფერება ეპითეტი - ხავერდოვანი. ჩამოსხმულია შეზღუდული რაოდენობით. კარგი იქნება, თუ მიაყოლებთ ჩაქაფულს, ჩანახს. გასინჯეთ, გირჩევთ, აჯობებს ნანახს".

*და ჰრქუა რამაზმა:* ვენახზე რომ სისტემურ პრეპარატს მიუშვებ, იგი აღწევს ყურძნის რბილობში და იქიდან - ჩვენს ჭიქებში. მერე ვყლაპავთ რიდონეტს, ფუნგიციდებს, პესტიციდებს და ვაწკლაპუნებთ ტუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩებს, ვეძებთ ტროპიკული ხილის არომატს, ვიპურქვებით და ამაშიც ფულს ვიხდით!.. ეს კიდევ რაა! ჩინეთში და არგენტინაში ძროხის გენებში ჩაუშვეს, თურმე, ადამიანის გენები და იძახიან ქალის რძეს ინვლის და დახლებზე მალე გამოეიტანთო. არგენტინაში ასეთი მეწველი ძროხისთვის პრეზიდენტის სახელი - კრისტინა უნდა დაერქმიათ... საინტერესოა, ცური როგორი აქვს იმ ძროხას?!

და მე ვიხილე ძროხა იგი, კრისტინა ფერნანდესის ძუძუებით, ოდეს მოედო სუპერმარკეტებს მისი რძის ბუმი, ვითარცა მკალი და ადამის ძენი ილტვოდნენ მისკენ, როგორც კირჩხიბნი და უძლეველი ცდუნება ჰქონდათ რძესა მას ზედა, ხოლო დედანი დაუტევებდნენ ჩვილებს საზრდელად სხვათა და სხვათა, რომელნიცა ასუმიდნენ მათ რძესა ამას, ვითარცა ბალღამს.

წვნიანის ნაკრების რიგში ვდგავარ, როგორც სალოსი - სამსახურიდან ორი თვის წინ გაძევებული. მსურს, შევიძინო ძვლები ჩემი შვილებისათვის.

კარგია ძვლების ცხელი ბორშჩი!

ხელს ხშირად ვავლებ სასნაულებრივ მოჩხრეკილ გროშებს.

ჯიბეში მიდევს, ასევე, აბი ვალერიანის.

ჩემ წინ ქალი დგას, ძველმოდურ ქურქით, უკან კი კაცი - პუმას სპორტულით.

ქალს ხელები აქვს დაკოჟრილი და დაღარული. ღარებში - ჭუჭყი. ის ჰყვება, როგორ ამოთხარა სკოლის ეზოში გაუქმებული ელსადენები, გაატყავა, ამოიღო მისგან სპილენძი, რომელიც მერე ფერად ლითონთა ჩამბარებელ კაცებს მიჰყიდა და მოიპოვა ფული ამა წვნიანისა ნაკრებისათვის.

კაცი გასაღებს ატრიალებს მერსედესისას. მეკითხება: შენ რამდენი გყავს?" სამი" - ვპასუხობ. ჯიში?" (ძაღლისთვის უნდა ძვლები ამ ძაღლთაპირ კაცს!)... იხტიბარს არ ვტეხ - ნაგაზები, მეცხვარულები". მერედა ყოფნით მხოლოდ ძვლები?" კი. აბა, როგორ?!" ჩემები ძვლებით თამაშობენ... ხორცით კი ვკვებავ". ყველას გვეყოფა დღეს ქალაქში ხორცი დაკლული, ყველას გვეყოფა სანოვაგე ახალი, დილით", - ვეპასუხები კოლაუს ენით, თავის ძაღლს - ემირს რომ მიმართავდა, ის კი, ბებერი, ბრუციანი, მტრის გასახარად, სისხლიან თვალით მოფერებას ევედრებოდა. რაღა თქმა უნდა, სპორტულიანმა კაცმა არ იცის არც კოლაუ და არც პაოლო, მითუმეტეს, არც - ვალერიანი. ბენცის გასაღებს ატრიალებს, თვალს აბრიალებს და იხედება მიწისქვეშა გუდვილის ბჭისკენ, საიდანაც ლიფტი ამოდის.

სპილენძების შემგროვებელი ქალიც წრიალებს. მალიმალ გმინავს.

ის ხომ არ არის, ამასწინათ მსოფლიო რომ ალაპარაკა?!

ასე გადმოსცეს მასზე მაშინ ინფორმაცია: ხუთი საათის განმავლობაში მთელი ქვეყანა ინტერნეტის გარეშე დარჩა, მას შემდეგ, რაც 75 წლის ქალბატონმა, რომელიც სპილენძის ძიებისას მიწას თხრიდა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი დააზიანა".

უფრო ერცლად ამბავს წერდა ტომი - გარდიანის" კორესპონდენტი: საქართველოს ხანშიშესულმა მოქალაქემ, რომელიც სპილენძის ძიებისას მიწას თხრიდა იმ იმედით, რომ მას ჯართში ჩააბარებდა, შემთხვევით მიწაში გაყვანილი კაბელი დააზიანა, რითაც გამოც მეზობელ სომხეთს ინტერნეტის მიწოდება შეუწყდა. ფაქტი 2011 წლის 28 მარტს მოხდა: 75 წლის ქალბატონი ქვეყნის დედაქალაქის (თბილისი) შემოგარენში ლითონს ეძებდა, როდესაც მისმა ნიჩაბმა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გაჭრა. ვინაიდან სომხეთის ინტერნეტთან ხელმისაწვდომობას 90%-ით საქართველო უზრუნველყოფს, უნებლიე საბოტაჟს, რომელიც მოხუცმა განახორციელა, კატასტროფული შედეგები მოჰყვა. იმ ქვეყნის ინტერნეტ მომხმარებლებს, რომლის მოსახლეობაც 3,2 მილიონს შეადგენს, ხუთი საათის განმავლობაში ქსელთან ხელი არ მიუწვდებოდათ, ვიდრე ძირითადი ნაციონალური პროვაიდერები ArmenTel, FiberNet Communication და GNC-Alfa ჩვეულ რეჟიმში მუშაობას ვერ ახერხებდნენ. ტელევიზიით აჩვენებდნენ რეპორტიორებს ერევნის ახალი ამბების სააგენტოდან, რომლებიც დაღვრემილები უყურებდნენ მონიტორების ცარიელ ეკრანებს. ინტერნეტკავშირი დაზიანდა ასევე საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილსა და აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში. ეს 75 წლის ხანშიშესული ქალბატონის გამო მოხდა, რომელიც მიწაში სპილენძს ეძებდა, რომელსაც შემდეგ ჯართის სახით გაყიდდა", - განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა. ქალის ვინაობა არ სახელდება. ადგილობრივმა პრესამ მას ნიჩბიანი ჰაკერი" შეარქვა და ახლა ქონებისთვის ზიანის განზრახ მიყენების ბრალდებით გამოძიება მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას სამ წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივნის თქმით, ქალბატონი ჯერჯერობით გათავისუფლეს მისი საპატიო ასაკის გათვალისწინებით", მაგრამ დამატებით ჩვენების მისაცემად შეიძლება გამოიძახონ. დაზიანება დააფიქსირა სისტემამ, რომელიც აკონტროლებს დასავლეთ ევროპიდან მომავალ ოპტიკურ-ბოჭკოვან არხს და უშიშროების სამსახურის ბრიგადა უმალ გავიდა შემთხვევის ადგილზე, სადაც ქალბატონი დააკავეს კიდეც. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მას თანამზრახველები არ ჰყავდა. მიწიდან გამოუყენებელი სპილენძის კაბელების ამოღება და ჯართში ჩაბარება საბჭოთა კავშირში ფულის გაკეთების პოპულარული საშუალება იყო. ზოგიერთი მეწარმე ტრაქტორებსაც კი იყენებდა ასობით მეტრის სიღრმეში გამავალი კაბელის ამოსაღებად ბირთვულ პოლიგონზე ყაზახეთის სემიპალატინსკის რაიონში".

ჰეი, გუდვილო, გუდვილიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგნოლია?!

მითხარ - პოეტზე ხომ არა დარდობ? გყავდა და თითქოს არა გყოლია.

თევზის სექციის აკვარიუმთან თეთრი მხეფები წყალი გგონია?

სინამდვილეში განბილებული მომხმარებლების ცრემლის ბროლია.

წვნიანის ნაკრების მსურველების რიგი დაგრძელდა. შემოგვემატა ცქნაფა გოგო, Dirol Mega Mystery-ს ღეჭვით!

მის საიდუმლოს სირაქლემები დარაჯობენ!

ეს ის ნამია, როდესაც ფიქრობ: თავის ქალა რომ ავხადოთ იმ კრეატიულ რედაქტორებს, რომლებიც სადღაც ოთახში სხედან და რეკლამების კონცეფცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს იგონებენ, ტვინი დაგვხვდება?!

მათ მოიფიქრეს ეს სლოგანი: **გამოიცანი, რისი გემო აქვს ახალ Dirol Mega Mystery-ს!"** ჩათვალეს, რომ საღეჭი რეზინის არომატი იმდენად უნიკალურია, რომ ვერავინ გამოიცნობს! თუკი ვინმე მაინც მოახერხებს გამოცნობას, მაშინ საიდუმლოდ უნდა შეინახოს და არავის გაუმხილოს, რადგან ამ საიდუმლოს გამჟღავნების საშუალებას სირაქლემები არავის მისცემენ. თამაში იმდენად სახალისო და აზარტული აღმოჩნდა, რომ თვით კომპანიის თანამშრომლებიც ბჟობენ, რა ჯანდაბის არომატი აქვს ახალ საღეჭ რეზინს. ამიტომაც Dirol Mega Mystery-ს სარეკლამო კამპანიის კონცეფციაც აგებულია არომატის საიდუმლოდ შენახვაზე. ვინც ცდის ამ საიდუმლოს გამჟღავნებას, მას სირაქლემები დასჯიან"!

ე.ი. ერთხელაც ჰიპერმარკეტ გუდვილის კარიბჭე განიხვნება (თავისით) და სირაქლემებზე შემოსკუპებული მხედრები მოგცვივდებიან ზედ საღეჭი რეზინის დახლთან, სადაც ეს წუთია აღმოაჩინე, რომ Dirol Mega Mystery-ს ერთდროულად აქვს სირისა და აქლემის გემო. ამ დროს არ უნდა გაამხილო ამ გემოს საიდუმლო, თორემ ეს შეჩვენებული სირაქლემები ისე დაგაპამლურებენ, პატრონი ვერ გიცნობს!..

ცქნაფა გოგო სხვა რამეს ფიქრობს.

ცქნაფა გოგოს ბებო ჰყავს ავად. მან მოინატრა ძვლების წვენი, ცხელი, ქაფქაფა, გაყინულ ძვლების გაალღობად, მოსაცოცხლებლად.

ცქნაფა გოგო სტუდენტია, უსამსახუროდ.

უახლოვდება კნაჭა გოგო, ეპილაციის სახელოსნოს სარეკლამო ფლაერით ხელში. აწვდის, როგორც თანაზიარს ერთი სვე-ბედის. ჩვენც გვიზიარებს.

და მე ვარქვი მას: ო, ლაზერული ეპილაციის სარეკლამო მენეჯერო, პრიალა ფლაერებით ხელში, რომელიცა ხარ, ასე, ოც წლამდე, გასათხოვარი, უმაღლესი განათლებით, ინგლისური ენის მცოდნე, კნაჭა, ღიმილით, ნულარ გამგზავნი რუსთაველის ფილიალში, მე აქვე მინდა ეგ ღრმა ბიკინი და წვივი + ტუჩი საჩუქრად, მთლიანი ხელი და იღლია + ზედა ტუჩი საჩუქრად, მთლიანი ფეხი და ზედა ტუჩი + იღლია საჩუქრად, მთლიანი სახე და მთლიანი ხელი + იღლია საჩუქრად. აქვე მინდა და ფასებზეც კაბულსა ვარ: ზედა ტუჩი - 15 ლარი, ბაკები - 39 ლარი, იღლია - 49 ლარი, ნინამხარი - 30 ლარი, საზარდული - 49 ლარი, წვივები - 59 ლარი, მთლიანი ხელები - 59 ლარი, მთლიანი ფეხები - 190 ლარი, მთლიანი სახე - 109 ლარი, ღრმა ბიკინი - 119 ლარი!

მერმე და მერმე, კვლავ ჰიპერმარკეტისა მიმართ ვილოცოთ!..

- აუ, ეს შაბათ-კვირა რა!.. ყველაზე მეტად შაბათ-კვირას შია ხალხს! - ამბობს ეს ხორცის გამყიდველი, კურდღლისკბილება და მაცივარში ჩაყრილ ხორცებს ხელებით ტკეპნის.

რიგში ჩამდგარა ქალი ბავშვით.

პატარა გოგო ხელით ქაჩავს კაბაზე დედას: დე, ახლში მინდა!"

და რომელ სახლში?!

სახლი ახლა ისე ბევრია და ისე ყველგან, სადმე უთუოდ თავს მიიდრეკ მიუსაფარი (ვითარცა მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი):



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სახლი, შენი სახლი, ყველას სახლი,
დედის სახლი, მამის სახლი, შვილის სახლი,
ყველის სახლი, გველის სახლი (ანუ - სორო),
ისლის სახლი, ისლის სახლი! ქარი! ქარი!..
ქარის სახლი,
სუფთა სახლი,
ჭუჭყის სახლი,
ღვინის სახლი, ჭაჭის სახლი, ვისკის სახლი,
თაფლის სახლი,
ბავშვთა სახლი, ბერთა სახლი,
წიგნის სახლი...
ადამიანის უფლებათა სახლი,
იუსტიციის სახლი,
შინმოუსვლელთა სახლი,
ოფიცერთა სახლი,
კაფელის სახლი,
ტკბილი სახლი,
შაურმის სახლი,
ჯიგრის ყაურმის სახლი,
ხსოვნის სახლი (მკვდართა სახლი),
ოცნებების სასაფლაოს, ესე იგი - გ. ხაინდრავას
სახლი,
ლუდის სახლი, ჩაის სახლი, ხინკლის სახლი,
ხელმოკლეთა სახლი,
მხარგრძელთა სახლი,
ორი თავი ვისაც აქვს, მათი სახლი,
შპალერის სახლი,
აზარიანცის სახლი,
თავადაზნაურთა სახლი,
გლეხუჭების სახლი,
მაიმუნი-ვირიშვილების სახლი,
ლიდერთა სახლი,
ფოლადის სახლი,
ფალოსის სახლი,
კავკასიური სახლი,
მიწის სახლი, წყლის სახლი, ჰაერის სახლი, ცეცხლის
სახლი,
მუსიკის სახლი,
სილამაზის სახლი,
მეუდრო სახლი,
უფლის სახლი...

აქ ცხოვრობს დინამო!
აქ ცხოვრობს დომინო (საოცარი შენობა,
როგორ მოვანდომინო)!
აქ ცხოვრობს ჯალათი!
აქ ცხოვრობს ზარიგა!
აქ ცხოვრობს ქართველი ვაჟკაცი!
აქ ცხოვრობს მეამბოხე!
აქ ცხოვრობს ქვეშაჯვია!
აქ ცხოვრობს ამ ქვეყნის მთავარი ფაროსანა!
აქ ცხოვრობს ზარმაცა!
აქ ცხოვრობს კუნგ-ფუ კოალა!
აქ ცხოვრობს მზეთუნახავი (ვერ ხედავს მზეს)!
აქ ცხოვრობს ბოზი მამიდა!
აქ ცხოვრობს კარლსონი!
აქ ცხოვრობს ბიძინა (აცვია კარლსონი)!
აქ ცხოვრობს არავინ!

მერმე და მერმე, ამ დროს თქვა ქეისლმა სწორედ
შაირი:

***აკაკი და ილია, თქვენი გადახდილია!***
ის მოდიოდა ავტობუსით გუდვილისაკენ,
ხელში ეჭირა „რეზონანსი"...
და კითხულობდა:

„ხალხი, რომელიც სადილის მოსამზადებლად ძაღლისთვის განკუთვნილი ძვლების საყიდლად საათობით დგას რიგში, არ იტყვის, რომ ხელისუფლება კარგად მუშაობს", - ასე ეხმაურება პოლიტოლოგი სოს[o] ცინცაძე IRI-ის კვლევის შედეგებს, - ხელისუფლებას ძალიან რთული პასიანსი ელის და ძალზე მყიფე ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა. კვლევის შედეგს, ძირითადად, სოციალური ფონი განსაზღვრავს. ამიტომ ნდობა-უნდობლობის საკითხი მეორე მხარეს გადადის. ხალხი დღითი დღე სულ უფრო და უფრო უარესად ცხოვრობს. პირადი მაგალითიდან გეტყვით: წლების განმავლობაში ვცხოვრობდი ყაზბეგის გამზირზე, კვირაში ორ-სამჯერ შევდიოდი იქვე არსებულ დიდ ჰიპერმარკეტში, სადაც ძაღლისთვის ძვლებს ვყიდულობდი - კაპიკები ღირდა და ნებისმიერ დროს იყო ხელმისაწვდომი მისვლა და ყიდვა. რამდენიმე ხნის წინ მივედი და დავაპირე ძვლების ყიდვა. გამყიდველები სიცილით მოკვდნენ - როგორც ჩანს, დიდი ხანია, არ ყოფილხართო. ძვლები დილით გამოგვაქვს, ხალხი დილის 08:00 საათიდან რიგში დგას და ნახევარ საათში გასაყიდი ძვლები აღარ გვაქვსო. ნებისმიერს შეუძლია, შეამოწმოს. ადამიანები ქუჩაში, სანაგვეებში იქექებიან, ძაღლისთვის განკუთვნილ ძვლებს ყიდულობენ და იმისგან სადილს აკეთებენ - ასე ცხოვრობს ხალხი დღეს. აქედან გამომდინარე, ისინი, ვინც ძაღლის ძვლებისთვის საათობით დგანან რიგში, არ იტყვიან ხელისუფლებაზე, რომ კარგად მუშაობს, ეფექტურია და ცხოვრება გაუმჯობესდა. გადით და დაუსვით ხალხს კითხვა - 5 წლის წინ უფრო კარგად ცხოვრობდა თუ დღეს. ასიდან მხოლოდ ერთი გეტყვის, რომ „დღეს" და ისიც ჩინოვნიკი იქნება. მე ძალიან მიკვირს, რატომ ამბობს გამოკითხულთა 70% და არა 80%, რომ ქვეყანა არასწორად ვითარდება. ქსენია დეიდა ასახლისმა არ იცის, რა არის სწორი გზა. სამაგიეროდ, მან კარგად იცის, მისი მაცივარი 5 წლის წინ უფრო სავსე იყო თუ დღეს უფრო სავსეა. მან იცის, რომ 20 ლარით ნაკლები პენსია, რომელსაც მაშინ იღებდა, უფრო მეტ რამეს ყიდულობდა და უფრო დიდი ხანი ყოფნიდა, ვიდრე ახლა ყოფნის. მას მიკრო და მაკროეკონომიკა არ აინტერესებს. არ აინტერესებს, რატომ ცდილობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შეინარჩუნოს ინფლაცია და ასე შემდეგ..."

**ეს ეპილოგი,** როგორც პილოტი
დაბლა დაშვებით, ასრულებს ამ ტექსტს.
თუ გაგაცინათ, ვით იპოლიტე
ხვიჩიამ, კარგად გაერთეთ, ამდენს
თუ არ ელოდით, როგორც პილატეს,
დამიბანია ხელები აქ მეც!

ქეისლი ჩავიდა ავტობუსიდან.
წაიღიღინა სულ ბოლოს ესე:
იდილიაა,
ო, ილია და
ეს ილიადა -
გუდვილიადა
ნამდვილია და
ადვილია და
ოდელია და
ჰეე!

**2009-2021 წწ.**

პროზა
ელექტრონული ბიბლიოთეკა

## მინდია არაბული

# თავკომბალების შესახებ



როცა ბეჟანი თავისი ფოცხის დასაბრუნებლად ჯამბულ მეტყევესთან მიდიოდა, მდინარის პირას ჯერ-ჯერობით არც არაფერი იყო. ორი თვის წინ ათხოვა ფოცხი და მას მერე დროდადრო ახსენებდა. ჯამბულიც დროდადრო იხსენებდა და მალევე ივიწყებდა. ახლა კი გადაწყვიტა ბეჟანმა, რომ უფოცხოდ უკან არც დაბრუნდებოდა, რაც გინდა მომხდარიყო!

არ აღმოჩნდა ამოდენა შემართება საჭირო, ათიოდე წუთი იქექებოდა ჯამბული ფარეხში, ჯერ სხვა მეზობლისგან ნათხოვები ფოცხი გამოუტანა - უკეთესი.

ეგ ჩემი არაა, ჩემსას კბილი აკლია აიაქ" - უთხრა ბეჟანმა და გონებაში კი გაიფიქრა, რომ აგე ახეთი სამართლიანი რომ არ ყოფილიყო, ახლა ეგება გამგეობაშიც ემუშავა. დახედა ჯამბულ მეტყევემ ფოცხს, აწია წარბები, შებრუნდა ფარეხში, ისევ რამდენიმე წუთი ახრიგინებდა რკინებს და იქიდან უკვე ბეჟანის ფოცხით გამოვიდა.

ან ეგება მთავრობაშიც" - დაამთავრა ფიქრი ბეჟანმა და წამოვიდა სახლისკენ.

როცა მობრუნებული ბეჟანი მდინარეს მიუახლოვდა, მიხვდა, რომ რაღაც არ იყო ისე. ჯერ რომ ალღო შეამჩნევს და მერე თვალი. მდინარის პირას ეგდო რაღაც ან იდო. თუმცა უფრო ეგდო. ასე თუ ისე, არ ჩანდა - რა.

სავარაუდოდ, მდინარემ ჩამოიტანა და ქვებს გამოედო ან ტოტებს. რაც უფრო უახლოვდებოდა ბეჟანი, მით უფრო ხვდებოდა, რომ თევზი არ იყო. როცა ათი ნაბიჯი აშორებდა, ის გაიფიქრა, რომ რვაფეხაა. როცა ერთ ნაბიჯში იდგა, უკვე იცოდა, რომ არც რვაფეხა იყო.

ფოცხი მიადო ფრთხილად, გადმოტრიალება უნდოდა. აწრიალდა სხეული, სადაც რკინა შეეხო, ფეთქვა დაიწყეს იასამნისფერმა ვენებმა კანისქვეშიდან.

უკან გადახტა ბეჟანი, გადააგდო ფოცხი.

მიმოიხედა ირგვლივ, არავინ ჩანდა. ისევ სხეულზე დააბრუნა მზერა.

ეს რა ეშმაკებია" - თქვა ან გაიფიქრა. ალბათ უფრო გაიფიქრა.

ახლა უკვე სოფლის უმეტესი კაცობა იდგა მდინარესთან. ქალებიც და ბავშვებიც კი იყვნენ, მაგრამ როცა მოგვიანებით იხსენებდნენ ამ დღეს, ამბობდნენ: კაცები შეიკრიბნენო. პირველი გაკვირვებები ჩაწყნარდა, მაგრამ ქელეხის ფუსფუსი მაინც შემორჩა. ყველაზე ხშირად ეს ჟღეროდა: იქნება თევზია მაინც, კაცო, რა იცი". მარტო თაევდაგირიძეს ჰქონდა ვერსია, რომ რაღაცა უცნაური სოკო ხო არ არის".

გამგებელი ტელეფონს ათამაშებდა ხელში, ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა, დაერეკა თუ არა. რომ დაერეკა, რა მოხდებოდა? მოვიდოდნენ რაიონიდან ან პირდაპირ თბილისიდან. დაათვალიერებდნენ, შეიძლება წაეყვანათ კიდეც. ეგრე იყო საჭირო ნეტა? ეგრე უნდა ექნა?

ეს ფიქრები უტრიალებდნენ თავში, ხელში კი - ტელეფონი.

გამო ბალღო აქეთ, გეუბნები შენ! - დაუძახა ელისომ შვილიშვილს, რომელიც იმდენად ახლოსაც არ მისულა, ასე რომ გაბრაზებულიყო ბებიამისი. და მითუმეტეს ასე უხეშად მოექაჩა ხელზე. და უფრო მითუმეტეს, თავზე წამოერტყა ბეჭდიანი ხელი. მაგრამ რეზიკო ზედმეტად გაოცებული იყო, რომ ეტირა. მოგვიანებით მაინც იტირა, ახლა კი უბრალოდ მოისრისა თხემი და ჰკითხა ბებოს:

ეს, ბებო, ეს რა არი? ხბოა?

არსება ხბოს საერთოდ არაფრით ჰგავდა, თუმცა რეზიკოს თვალწინ ერთხელ ძროხამ იმშობიარა - ქიპლარში, მომყოლის წვენებსა და სისხლ-ძარღვებში გახვეული ხბო დაეტყეპა მიწას და ინვა ასე უძრავად რამდენიმე ხანი.

რა არი და ოხრობა და ჯანდაბა, რა არი - გაბრაზებული იყო ელისო რაღაცაზე. სავარაუდოდ იმაზე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა ვერაფერს.

რას აკეთებს? - მიატრიალა თავი რეზიკომ ისევ.

სხეული დროდადრო ამოძრავებდა იმას, რაც ადამიანური თვალისთვის კუდად ჩანდა, თუმცა შეიძლება არც ყოფილიყო, ხსნიდა იმას, რაც ადამიანური თვალისთვის პირად ჩანდა, თუმცა შეიძლება არც ყოფილიყო და ირგვლივ ატრიალებდა იმას, რაც ადამიანური თვალისთვის თვალად ჩანდა და, სავარაუდოდ, იყო კიდეც.

წამო აქედან, წამო, მეც რამ მომიყვანა რა! - ელისო კვლავაც გაბრაზებული იყო, უჭერდა ბრაზიან ხელს შვილიშვილს და ბრაზიანი ნაბიჯებითვე სცილდებოდა ხალხის გროვას. ცოტა შორს რომ გავიდა, მიატრიალა თავი და მიაძახა:

რას დადექით, გადააგდეთ წყალში, რო შეიკრიბეთ და დგეხართ, ჰიჰ! და განაგრძო სვლა პასუხის დაულოდებლად.

ბებიკო, რა არი ეგა? - გაიმეორა რეზიკომ კითხვა, რომელზეც პასუხად ოხრობა და ჯანდაბა" არ ეყო, როგორც ჩანს.

რა არი და ეგაა, აი დედაშენს რო არ უჯერებ, მე რო არ მიჯერებ, ეგაა რო ღამე ფანჯარაში შემოძვრება და ჩიტოს მოგაჭამს - თქვა ელისომ.

უკვე შორს იყვნენ. მიიხედა რეზიკომ უკან. არსება არ ჩანდა, მხოლოდ ხალხი. და ხალხიც ისე იყო შეკრებილი, ისე უყურებდნენ მიწაზე ერთადერთ რაღაცას, რომ რეზიკოს ახლა გაცილებით შეეშინდა, ვიდრე როცა თავადაც ხედავდა.

თხემში წამორტყმულიც ახლა გაახსენდა. თან მძიმე ბეჭდიანი ხელით. ჩიტოს გარეშე ყოფნაც წარმოიდგინა და ამოაწვა ტირილი. მაგრამ მაინც არ უტირია.

იტირა ღამე, საწოლში, ჩუმად.

მანამდე კი არსებამ ხმა ამოუშვა. უკვე შეჩვეული ჰქონდათ თვალი სოფლის კაცებს (ასევე ქა-ლებსა და ბავშვებს), ერთი ორი ხუმრობაც კი ით-ქვა ( ეს რო შეწვა, კი იქნება გემრიელი, ისეთს ჰგავს, ჰა" და ბესო, ბესო-მეთქი, რას დადექი მან-და, ხოჭოებს ითვლი?" (აღსანიშნავია, რომ პირვე-ლი არსებასთან კავშირში იყო, მეორე კი არა)).

როცა არსებამ ხმა ამოუშვა, საბოლოოდ გახდ-გასაგები, რომ მის წარმოშობაზე არც არავისი ვა-რაუდი არ იყო სწორი.

ხმა ჰგავდა მუშის ბოთლების ერთმანეთზე წკა-რუნს, ძალიან მაღალი სიხშირის, საგრძნობი ვი-რაციით და ძალიან დაწმენდილი. როგორც მოგვი-ანებით თავდაგირიძემ უთხრა ჟურნალისტებს:

... ესე ვართ და უცებ რაღაცა ხმა არ მესმის! აი, ბოთლები რო აჭახუნო, ოღონდ ძაან ჩქარა ეგე-თი რაღაცა. მე კიდე სოკო მეგონა".

როცა ჟურნალისტები წავიდნენ, თავდაგირი-ძემ იფიქრა, რომ ბარემ დელფინისთვის შემედა-რებინაო. და მერე იფიქრა, რომ მაინც არ იქნებო-და სწორი შედარება.

მართალიც იყო.

მაინც დარეკა გამგებელმა. დარეკა რაიონში, ბატონ ალექსანდრე კალახმელიძესთან, რომელ-საც თავად გრძელვადიანი ნაცნობობის გამო საშ-კას ეძახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რაიო-ნულ კრებაზე ხედავდა.

საშკა, როგორაა საქმეები - დაიწყო ასე, თით-ქოს რიგით მეოთხე საკითხად აპირებდა არსების ხსენებას და ისიც, თუ არ დაავიწყდებოდა. ტელე-ფონიდან გაურკვეველი ზუზუნის ხმა გაისმა. ჩვენ-თვის გაურკვეველი, თორემ იმას ყურზე ჰქონდა მიდებული.

ჰო, ჰო მეც ეგრე. ბიჭო, მომისმინე, რაღაც ისაა რა, ცხოველი თუ რაღაცა. თევზი. არ ვიცი... არა, არა, არ ვიცით რა არი რა, დღეს იპოვა აქ ერ-თმა, რა არი, ვერ გავიგეთ, კაია, ცუდია - ისევ ზუ-ზუნი იყო პასუხად. გამგებელი ცდილობდა უდარ-დელი და თავდაჯერებული ხმის შენარჩუნებას - ჰოდა, რა ვიცი, რამე არ იყოს და გამოგზავნე, ერ-თი, შენი ხალხი, დახედონ. ან ექსპერტები, რა ვი-ცი.... (ზუზუნი) ვიცი, რო არ გყავს ექსპერტები, კაცო, ვინმე გამოგზავნე, იქნებ ახალი სახეობაა, რამე სახელს გაიკეთებ, მეც რამე შემხვდება... (ზუ-ზუნი) - არა რას გეკაიფები, კაცო, არ მიცნობ? (ზუზუნი) მოკლედ, მე გითხარი და... არა და თბი-ლისში დავრეკავ პირდაპირ, კაცო, განა მეშინია (უფრო გრძელი და სხვადასხვა სიხშირის ზუზუნი) - კაი კა.. კაი, ჰო, კაი! გადაწყვიტე თავად, მოკ-ლედ...

ბატონი ალექსანდრე კალახმელიძის ამდენი ზუ-ზუნის მიზეზი იყო ის, რომ შარშან დაახლოებით მსგავსი ამბავი მოხდა ზესტაფონის მუნიციპალი-ტეტში. შემოვიდა ზარი, რომ სოფელ ერწოყანაში კლდის ჩამოშლის მერე აღმოაჩინეს პრეისტორიუ-ლი არსების გაქვავებული კვერცხები. ყველა აღელ-და, აფორიაქდა და რაიმის გადაუმოწმებლად მერი პირადად ჩავიდა აღმოჩენის ადგილას. თუმცა მა-ლე თავად აღმოაჩინა, რომ სოფლის მაცხოვრებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებმა ასე უბრალოდ შეიტყუეს წყალწალებული ხიდის აღდგენის სამუშაოების გაჭიანურებაზე სალაპარაკოდ.

და კვერცხები სადაა? - იკითხა მერმა.

შევწვით - დაუძახა ვილაცამ და ატყდა სიცილი.

გაბრაზდა მერი, ჩაჯდა მანქანაში და გაბრუნდა. მთელი გზა იგინებოდა და შიგადაშიგ გეგონება, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არა მქონდეს რა, მატაკიმასხარავებენ აქ" - ამას უმატებდა. სიცილითვე შეეგებნენ მერიაში. ვილაცამ გადარეკა და მოყვა. გაგრძელდა ეს სიცილი დიდი ხანი, გაიგეს სხვა მუნიციპალიტეტის მერებმა და კიდევ რამდენიმე თვე ატაკიმასხარავეს. მაგალითად, საერთო სადილებზე, ფურშეტებზე შემწვარ კვერცხებს გადმოუდებდნენ ხოლმე თეფშზე, მოგეწონებაო. წყრებოდა მერი, წყრებოდა უსაშველოდ.

ერთხელ კი, დაინგრეს ზეცა და, თავად მინისტრმაც გაიხუმრა, როცა ქალაქის დღეზე სიტყვით გამოდიოდა: მინდა აღვნიშნო, ძვირფასო ზესტაფონელებო, რომ ამ ადამიანს დევის წილი კი არა... დინოზავრის ნილი აქვს შეტანილი მუნიციპალიტეტის აღმშენებლობაში.

იყო ფხუკუნი და სიცილი.

ასევე იყო მერის მიოკარდიული ინფარქტი 3 დღის მერე.

ახალმა მერმა პირველ საქმედ ერწოყანელებს ხიდი აუშენა.

ბატონ ალექსადნრე კალახმელიძეს სულაც არ უნდოდა ზესტაფონის მერის ბედის გაზიარება, მითუმეტეს, რომ თავადაც უთქვამს ორიოდე ხუმრობა. ამიტომაც ჭოჭმანობდა და ზუზუნებდა. ამასთან ერთად, სკამში წრიალებდა კიდეც, თუმცა ტელეფონით ეს არ ჩანდა.

არსებამ კიდევ ერთხელ ამოუშვა ხმა - იმავნაირი და ერთ-ერთი კიდური ნამოწია. ვაიმე, მემგონი.. მე მგონი, კვდება თუ რაღაცა" - თქვა თამარა ალურიძე-გედევანიშვილისამ. მუსიკას ასწავლიდა სკოლაში, კარგად სხვათა შორის. მერე პიანინო გაუფუჭდათ და საგანიც გააუქმეს.

რაღაც ისეთი ხმაა, თითქოს შველას ითხოვს, არა?

რა შველა, ქალო, რა შველა, იცი საერთოდ რა არის? - უთხრა თამაზ გედევანიშვილმა, ქმარმა მისმა. სხვა არავინ მიმართავდა ქალო"-თი.

წყალი მივასხათ, აბა, იქნებ ხმება - თქვა ვილაცამ.

რამე რო მოხდეს?

რა უნდა მოხდეს?

რა ვიცი, რამე, გაცოცხლდეს, დაგვერიოს?

რატო დაგვერევა, კაცო, ჩვენ არ გადაგვარჩინეთ?

მდინარემ გადმოაგდო, რა გადავარჩინეთ.

რა იცი, რო მდინარემ, იქნებ და ზემოდან ჩამოვარდა?

მერე, გინდა ეგრე იყოს, ჩვენ გადავარჩინეთ??

სანამ ეს საუბრები მიდიოდა, თავდაგირიძეს უკვე წყალი მოჰქონდა. როცა მოიტანა და შორიდან შეასხა, ისინი უკვე პოლიტიკაზე კამათობდნენ.

არაფერი მომხდარა. თითქოს მოძრაობებიც კი შეანელა.

აჰა. არაფერს უშვრება.

თუ არაფერს უშვრება - თქვა თამაზ გედევანიშვილმა - გადავაგდოთ მდინარეში და ნაილოს, გრილათკარელებს გამოურიყოს, იმათ იფიქრონ.

გამგებელი ისევ ტელეფონზე ლაპარაკობდა. ამჯერად არც მისი ხმა ისმოდა, შორს იყო გასული.

რატო, კაცო, რატო გადავაგდოთ - თქვა თავდაგირიძემ, რომელიც მაინც ბოლომდე ვერ დარწმუნდა, რომ არსება სოკო არაა.

რა ვიცი, იქნება ჯადოა რამე.

ამხელა ჯადო?

ო, ამხელა არა ამხელა, რა განსხვავებაა, მომაშორეთ მეთქი! - ხმამაღლა წამოიძახა თამაზ გედევანიშვილმა, და ხალხის უმეტესობა მისი აზრის გამზიარებელი რომ არ ყოფილიყო, კი დაუძახებდა ვინმე: მოგაშოროთ რა, შენ ბოსტანში ხო არაა. მაგრამ არ დაუძახეს. წამოავლო ბეჟანის ფოცხს გედევანიშვილმა ხელი და, რაკი სულ რამდენიმე წუთით ჯგუფის უფროსის ადგილას იყო, გვერდზე მდგომს გადასცა.

მიდი, გადააგორე.

გამოართვა გვერდზე მდგომმა, გახედა თავდაგირიძეს და ანიშნა: წამო მომეხმარეო. მიუახლოვდნენ არსებას, მიშინებდა უკვე. გვერდზე მდგომმა, რომელსაც ამ დროს აღარც დაეძახებოდა გვერდზე მდგომი, თავდაგირიძეს მიაწოდა ფოცხი, ერთი დამიჭირე აბაო. მერე კი რატომღაც მინა მოსინჯა.

რა იყო? - უჩურჩულა თავდაგირიძემ.

რაღაც... - თქვა გვერდზე მდგომმა და კიდე დაადო მინას ხელი - არაფერი, არაფერი, ვნახავ კარგად და მიდი შენ.

დააქნია თავდაგირიძემ თავი და მივიდა ყველაზე ახლოს, რაც ვინმე მისულა. წამოწია არსებამ ის, რაც დიდი ალბათობით თვალი იყო. კიდევ სამიოთხი ასეთი გამონაზარდი ემჩნეოდა სხეულზე. ისე მოძრაობდა, როგორც ლოკოკინა, რომელიც საფრთხის გადასვლის მერე ნიჟარიდან გამოდის.

მოუჭირა ხელი ფოცხს თავდაგირიძემ და იფიქრა, რომ საერთოდ არ უნდოდა არსების მდინარეში გადაგდება. მოსჭრა თვალი რაღაცამ. დააკვირდა და შეამჩნია, რომ სხეული მთლიანად რბილი მასა კი არ იყო, აქა-იქ პატარა ბრჭყვიალა კრისტალებიც ერია.

ერიჰა... დახედე, ერთი... - ჩაილაპარაკა.

მიდი, კაცო, რაღას ელოდები - დაუძახა გვერდზე მდგომმა, რომელიც ამ დროს ისევ მინას უფათურებდა ხელს, უკვე აშკარად უმიზეზოდ.

რაღაც ისინი აქვს... ხრუსტალივით - მოუტრიალდა ხალხს თავდაგირიძე.

მერე რა, კაცო? მიდი, თუ მიდიხარ! - უპასუხა გედევანიშვილმა.

სხვანაირი ხმა ამოუშვა არსებამ. ისევ მინის წკარუნი, ოღონდ ამჯერად მარტო თავდაგირიძემ გაიგო. განსხვავებაც ეგ იყო.

ისე გრძნობდა თავდაგირიძე თავს, როგორც მაშინ, როცა ბავშვობაში მამამ ქათამი დააკვლევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. უცნაური, მურტალი გრძნობა იყო, მუცლიდან მოდიოდა - თითქოს სამი დღე საპნის გარდა არაფერი ეჭამოს.

მიიტანა ფოცხი ახლოს და...

რაშვები, კაცო, გამო აქეთ! - გაისმა.

გამგებელი მოდიოდა მყარი ნაბიჯებით. დაასრულა ტელეფონზე ლაპარაკი.

არ დაუშავდეს, კაცო, რამე, რას აკეთებთ!

აბა... - თქვა გედევანიშვილმა, ველარ გააგრძელა.

დაიმალეთ, დაიმალეთ - თქვა გამგებელმა. - მოვა ხალხი და წაიყვანს.

ვინ ხალხი? - იკითხა თამარა მასწავლებელმა.

ვინც საჭიროა.

სად წაიყვანენ?

სადაც საჭიროა. მანამდე უნდა სადმე შევინახოთ, გადავიტანოთ ფრთხილად, რო არ დაუზიანდეს რამე, გამიგეთ?

მოიცა და... - თქვა გედევანიშვილმა. ისევ უფროსის ხმა ჰქონდა. მაგრამ გამგებელს უფრო.

აღარანაირი მოიცა, დაიმალეთ, სამი-ოთხი კაცი დარჩეს მარტო.

სად შევინახოთ, კაცო? სახლში ხო არ შევიტანთ?

მართლაც, სად შეიძლებოდა შეენახათ. მიმოიხედა გამგებელმა.

მოვიფიქრებთ რამეს. ვინმემ რამე ის მოიტანეთ, ტაჩკა. რბილები ჩააფინეთ. შენ, შენ, დათო, შენ და ბეჟან. დარჩით თქვენ. დანარჩენები სახლებში.

დაიწყეს დაშლა აქეთ-იქით. თავდაგირიძე დარჩა. ბეჟანიც დარჩა. გვერდზე მდგომი ხალხს გაჰყვა, ოღონდ ისე, თითქოს აპირებდა დარჩენას, მაგრამ მერე ხალხის ნაკადმა გაიყოლა. გზადაგზა ხელს ისუფთავებდა უკმაყოფილოდ. თითქოს მიწა არ მოეწონა.

მამა ანდრიამ ეკლესიის წინ აგური იპოვა. წრე დაარტყა შენობას, კედელს ათვალიერებდა, საიდანმე ხომ არ გადმოვარდა. ვერ იპოვა, ყველა კედელი სრული და სალი იყო.

- საიდან გაჩნდა ნეტა" - ფიქრობდა მამა ანდრია. არც გზა იყო სიახლოვეში, ვინმეს რომ ესროლა. არც სოფლიდან იზამდა ვინმე, რატომ უნდა ექნათ. ან რომც ჰქონოდა მიზეზი ვინმეს, ერთი აგური რა იყო?

თან არც კი ეგდო, იდო ასე უბრალოდ. ეკლესიის წინ ყვავილები ჰქონდა დარგული მამა ანდრიას, ნარცისები და გეორგინები, ქვების ნატეხებისგან პატარა გალავანი ჰქონდათ შემოშენებული. იქ მიიტანა, სცადა და ვერ მოარგო. მერე ეზოში ამოსასვლელ კიბეს მიაზომა. არ მოუვიდა. მერე კარის გასაჩერებლად დადო. დაიკეტა კარი. არსად ჯდებოდა აგური, არაფერს უხდებოდა. ნაძვის ბუჩქები ერტყა ეკლესიას ირგვლივ. ერთ-ერთის ძირას დადო. არც იქაურობაში ეწერებოდა, მაგრამ მიანება თავი. საქმეები ჰქონდა. კიბეზე ავიდა, ეკლესიაში უნდა შესულიყო, რომ ხალხი დაინახა შორიდან. ეკლესიისკენ მოდიოდნენ, ურიკას მოაგორებდნენ.

ჩამოვიდა მამა ანდრია კიბიდან და ჭიშკარი გახსნა.

მამაო, როგორ ხარ? - გამგებელი შემოვიდა პირველი. ურიკას ლურჯი ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული.

კარგად, ივანე, ღვთის წყალობით. შენ როგორ...

მეც, მეც..

დააქნია თავი გამგებელმა. მოავლო თვალი ყვავილებს და ბუჩქებს. ბეჟანმა ურიკა შემოაგორა ეზოში. პირველ რამდენიმე ცდაზე კარში ვერ შემოატია, მერე სწორი კუთხე აიღო.

მამაო, აი ეს დაიტოვე რა. დღეს საღამომდე. ქალაქიდან მოვა ხალხი და წაიყვანს.

ახლა, როცა ურიკა გაუნძრევლად იდგა, ბრეზენტის ძალიან ფრთხილი მოძრაობა უფრო შესამჩნევი იყო.

რა მოგიტანიათ ეს... ცხოველია? - უყურებდა ურიკას მამა ანდრია.

არა - თქვა გამგებელმა და აცალა, თავად რომ ენახა.

მივიდა მამა ანდრია ურიკასთან. ბრეზენტი მოძრაობდა. მოკიდა ხელი ბრეზენტს, წამოსწია. გამგებელი გვერდიდან უყურებდა, ელოდა. მაგრამ არ გადამხტარა უკან მამა ანდრია, არც გულზე უტაცია ხელი. წარბები შეჭმუხნა უბრალოდ და ბრეზენტი ბოლომდე გადასწია.

აი, ეგ ვიპოვეთ დღეს მდინარესთან. გინახავს ეგეთი რამე?

ათვალიერებდა მამა ანდრია არსებას. ის, რაც, სავარაუდოდ, არსების თვალი იყო, აღარ ჩანდა. დიდ ფაშვს ჰგავდა ახლა. უბრალოდ ეს ფაშვიც აქამდე უცნობი ცხოველისა უნდა ყოფილიყო.

ეს რა... იცით რა არის?

აბა, საიდან, მამაო. ეგება შენ იცოდე? - თქვა ბეჟანმა. - იქნებ ბიბლიაში წერია რამე რო... რა ვიცი. წინასწარმეტყველება... - ერიდებოდა პირდაპირ თქმას ბეჟანი, მერე კი გაბედა.: რამე ეშმაკი ხო არაა, მაგას ვამბობ რა.

ეს იქნება სხვა პლანეტიდან, აი, ვამბობ მე - თქვა თავდაგირიძემ.

მოკლედ, მამაო ქალაქიდან უნდა მოვიდეს ხალხი, შეიძლება ამერიკელებიც იყვნენ, არ ვიცი, მეცნიერები ან კიდე ვინმე. მოკლედ, მანამდე იქ ხო არ დაეტოვებდით, უნდა შევინახოთ, არ მოუვიდეს რამე და დავტოვებთ შენთან, ხო?

გვიან მიდიოდა ნათქვამი მამა ანდრიამდე, რამე ნაცნობის დანახვას ცდილობდა მოკლე საცეცების მოძრაობაში.

მოიცა, მოიცა, ჩემთან რატო? - აწია თავი. დანარჩენები უკვე კარში იყვნენ, კეტავდნენ.

აბა, სახლში ხო არ შევიტან - გაიცინა გამგებელმა - აბა, ჰე, მამაო, საღამოს შემოგივლი კიდე.

უნდა ეპასუხა მამა ანდრიას რაღაც. მაგალითად: ასე არ შეიძლება, ივანე" ან მე რა შუაში ვარ", ან რო გაილვიძოს, რა ვქნა", მაგრამ სანამ იტყოდა, არსებამ ხმა ამოუშვა, წკრიჭინი რომ სიტყვა იყოს, აი ისეთი. ახლა უკვე შეშინდა მამა ანდრია. უკან გადახტა, კედელს აეკრო და ეგონა, რომ სამჯერ გადაიწერა პირჯვარი, სინამდვილეში კი ათ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ მაინც.

მოსაღამოვებამდე წვიმა წამოვიდა. ეკლესიაში იდგა მამა ანდრია, ფანჯრიდან უყურებდა ურიკას. უკვე გადაიკითხა იოანეს გამოცხადება, წმინდა მამათა წერილებს გადაავლო თვალი, სწავლებათა ახსნებსაც და არსად არ იყო მინიშნება, რომ ძლივს მოძრავი ლოკოკინა-ფაშვის გამოჩენა ან ანტიქრისტეს მოასწავებდა, ან სხვა ნებისმიერ რამეს. ბოლოს მივიდა დაშვებამდე, რომ ღმერთმა პირადად მას გამოუგზავნა ეს უცნაური რამ, რათა რწმენაში გამოეცადა, რათა ეჭვი შეეტანა ყოველი ცხოველის არსებობის ღვთიურ მიზეზში, რამეთუ ურიკაში უსაშველოდ უმწეო და უსაშველოდ მახინჯი ჩვილივით ჩაფენილი წვეთი სამოთხის ბაღის სურათში არანაირად არ ეწერებოდა. ვერც ნოეს კიდობნამდე მიაღწევდა თავისით, სიმართლე რომ ითქვას; იქამდეც, რა თქმა უნდა, ურიკით თუ არ მიიყვანეს. ეს არ ესმოდა მამა ანდრიას, რატომ გამოუგზავნა ღმერთმა ახლა და არა წლების წინ, როცა მის ახალგაზრდა გულში ეკუმენიზმის ეკალი იფურჩქნებოდა. როცა ბუდისტების და გნოსტიკოსების სწავლებებს დარცხვენილი პატივით შესცქეროდა, და რომ არა არქიმანდრიტი საველის მკაცრი, მაგრამ ღვთისნიერი  დაისჯები, ანდრო, იცოდე, ღმერთი იცი როგორია? იცი რაები უქნია? ბუდა დაგიცავს მერე?", ეგება თავიც წარეწყმიდა.

ან იქნებ უბრალოდ გზაენილმა ჩამოაღწია გვიან, ვინ იცის. ასე თუ ისე, ახლა არსება ეკლესიის ეზოში, უკვე ეშხში შესული, წვიმის ქვეშ ტოკავდა.

მეჩვენა ცხოველი უმიზეზო" - ასეთი ფრაზა მოიფიქრა მამა ანდრიამ თავისი ქადაგებებისთვის, როცა უკვე გაიაზრებდა ღვთიურ გაკვეთილს და სხვებისთვისაც მოინდომებდა გადაცემას. ფანჯრიდან უყურებდა. უფრო მშვიდად და თამამად. ახლა უკვე წვიმა მთელი ძალით უკაკუნებდა ზემოდან და ბრეზენტის ნებისმიერი მოძრაობის მიზეზად ჩანდა. წვიმა კარგი იყო, განმწმენდი, ნაცნობი.

მამა ანდრიას ცოდვების სია არ ყოფილა ძალიან გრძელი. მის სინდისზე იყო ერთი ქურდობა, თუმცა სრულიად უნებლიე, როცა ავტობუსიდან სხვისი ჩანთა ჩაიყოლა შემთხვევით. შეცდომა სახლში აღმოაჩინა, ჩანთიდან ამოლაგებულ უცხო წიგნებთან ერთად. ერთ-ერთი წიგნის სახელი იყო  გნოსისი და გამოლევიძება ნეტარი არჩილ გეწაძისა" - ავტორი არჩილ გეწაძე. გადაწყვიტა, პირველი ორი გვერდისთვის გადაევლო თვალი, თუმცა შემოეკითხა ბოლომდე. ისიც კი ითქვას, რომ სულ ოთხმოცი გვერდი იყო წიგნში, ოთხმოცი თხელი, უხარისხო გვერდი. თითო გვერდზე ათიოდე ხაზი დიდი დაშორებებით. დაშორებებს შორის კი დამატებითი ახსნები, ჩაშლები, ოღონდ უკვე კალმით, რაც აშკარას ხდიდა, რომ წიგნი მამა ანდრიას თავად ნეტარი არჩილ გეწაძისგან მოეპარა.

აჰა, ღამე ძევს ჩემს წინ, დროის სვლით იმსჭვალება და იმსხვრევა ჩემს ქსოვილთა უჯრედები, თითქო რადიაციის ტალღით.

მხარშავს სამყარო თავის კუჭის წვენში, რო მელსაც რომ ჩემი ბედისწერა ჰქვია.

არ მაქვს ნება ბრძოლის, არ მაქვს ნება ბრძო ლის, რამეთუ დიდი ხარ, შენ, ღმერთო. და როგორ გნებოს, მაინც ისე გადამატრიალებ შენი საღვთ ჩანგლით შენს საღვთო თეფშზე.

ვგდავარ ცივ სამზარეულოში, გაბრუებულ თამბაქოსა და ნივრისგან, სტომაქი ჩემი არ მეკუთ ვნის მე, სააღდგომო სუფრის გადამუშავებას ცდ ლობს იგი, მიბრუნებს ბოლოკის ნატეხებს, კბილ ბით რომ დავღეჭო უკეთ.

თვალები ჩემი მძიმეა, ფილტვები ჩემი კუპრით ამოლესილი, გული ჩემი ქონმოცული, ყველა ას ჩემი სხეულის გადარჩენას ცდილობს, მის გამო ლევჯას დროისგან.

მე კი ვდგავარ სამზარეულოში და განვიცდ სამყაროს მხოლოდ სულით, რამეთუ ხორცი ჩემ ზედმეტადაა დაკავებული მონელებით, არ ვზრუ ნავ მის სიკეთეზე, არ ვზრუნავ მის სილამაზეზე.

და რანამს გადაწყვეტს იგი, რომ ჩემს გაძლო მით გამძორებულ ტვინს მეტი სიცხადე მიანიჭო გადავასხავ მამლის ბულიონს სამჯერ გათენებამ დე, რათა არც ძილი მომეცეს, არც თვითკმაყოფი ლება.

ესე არს ასკეზა ნეტარი არჩილ გეწაძისა და გა მოხდა სულისა სხეულისგან, როგორც დამჭკნარ ვამლებისგან ჭაჭის."

დახე, ერთი"-ს წამოიძახებდა ხოლმე მამა ან დრია, ნყრომად გულისხმობდა. მაგრამ არ გამო დიოდა - ეხალისებოდა კითხვა. მერე კი თავის ქნე ვით გადადო წიგნი. გვიანი იყო, ილოცა და მიიძინა.

არ კი იცოდა, რომ მის ნათხემში, სადაც წმინდა ლოცვები არ კადრულობდნენ დაბანაკებას, ნეტარი არჩილ გეწაძის სწავლებამ მოახერხა დალექვა.

და ეს იყო მამა ანდრიას მეორე დიდი ცოდვა.

თუმცა, როგორც ვახსენეთ, არქიმანდრიტი საველის მტკიცე ხელმა დროზე იხსნა იგი ერესის წყვდიადისგან.

მაგრამ კიდევ იყო რაღაც. ცოდვა არ ყოფილა არც ერთ საღვთო წიგნში არ ეწერა ცოდვად, მიუხედავად ამისა, მაინც იყო და აწვალებდა მამა ანდრიას.

13 წლის როცა იყო, ირაკლი როცა ერქვა და ბაბუამ სიგარეტის მოსატანად გაგზავნა სოფლის მაღაზიაში, გუბურის პირას შეჩერდა. ლელქაშებს წაანკიპა თავები წკეპლით, ჭინჭრები გაროზგა, ქვაზე ახტა, კენჭი ისროლა წყალში.

გუბურის ირგვლივ ისხდნენ ბაყაყები და მუც ლით მეზღაპრეებივით პირის გაუღებლად ბერავ დნენ ყიყინის ბუშტებს. ირაკლი ჩაიმუხლა ქვაზე

და მწვანე, ხავსმოდებულ წყალში საკუთარ ანარეკლს თვალი ამოსთხარა. დაინახა - მოცოცავდა მისკენ რაღაც. ბაყაყი იყო, ოღონც ჯერ კიდე თავკომბალობის კუდი ბოლომდე არ მოუშორებია. ფეხებიც განუვითარებელი ჰქონდა. ჯერ ერთს აკრობდა ქვას, მერე მეორეს, მერე მესამეს, მერე მეოთხეს. მერე ისვენებდა. უაზრო იყო და საცოდავი. ირაკლიმაც აიღო და ჯოხი დაარტყა წინა ფეხში. ბაყაყი აფორიაქდა, აჩქარდა, მაგრამ დაზიანებულმა ფეხმა უმტყუნა და წყალში გადავარდა. გამეშებული ჩაიძირა, მუცლით ზემოთ.

ბევრს ფიქრობდა მერე ირაკლი. მამა ანდრიაც ბევრს ფიქრობდა. ვერც ერთი ვერ მივიდა პასუხამდე, რატომ მოიქცა მაშინ ასე.

მოგვიანებით, როცა სული ფსალმუნებით ამოივსო, ყველაფერს მოეფინა ქრისტეს ნათელი და მშვიდობა. მხოლოდ უაზრო მახინჯი კუდმობმული ბაყაყი დარჩა ჩრდილში, რამეთუ ნათხემში იმალებოდა, ნათხემში კი, როგორც უკვე ვახსენეთ, ფსალმუნები ვერ აღწევდნენ.

და როცა რამდენიმე წლის წინ სხვაგან მსახურობდა, მრევლს ერთი კაცი გამოეყო ყბაშეხვეული ბავშვით. სთხოვა ცალკე საუბარი. უთხრა, რომ მის შვილს კისერზე, ყელზე და ყბაზე გამონაზარდები უჩნდება. უთხრა, რომ ექიმთან შეამოწმა, ლიმფური ანთება დაუდგინეს და გამოუშვეს - მეტის ფული არ ჰქონდა. შეხსნა ყბიდან სახვევი, გამოუჩინა. ნაოჭიანი კოპები გამოსდიოდა ბავშვს კისრიდან, შეწითლებული, ანთებული.

აესენი აქვს, მამაო, და არ ვიცი, ვინმე ბერი ხომ არიცი რო" - ამბობდა კაცი და აგრძელებდა რაღაცებს.

მამა ანდრია კი უყურებდა ბავშვს და გრძნობდა, როგორ ილვიძებდა კუდიანი ბაყაყი მის კეფაში. საცოდავი, უსუსური, ლორწოიანი. ისევ სინათლეზე ცდილობდა ამოძრომას და მამა ანდრიასაც ისევ უჩნდებოდა სურვილი, ამჯერად ყველა ფეხი მიეჭყლიტა მისთვის და ბნელ წყალში ჩაებრუნებინა სამუდამოდ, სადაც იყო მისი ადგილი.

რაღაც უპასუხა ბავშვის მამას, მანუგეშებელი. რკინის ჯვარი აჰია მკერდიდან, ამთხვია ორივე. მერე კი ყელზე მიადო ბავშვს. ცოტა შეკრთა ის ჯვრის სიცივისგან. არაფერია, არაფერი. ჯვარია, ის ხო არა" - შეამხნევა მამამისმა. წმინდა პანტელეიმონის ლოცვას ამბობდა მამა ანდრია და თავადაც რომ ვერ ხვდებოდა, ისე აჭერდა რკინის ჯვარს შესიებებზე. ბავშვი წრიალებდა, მაგრამ ითმენდა. სნორი, ცივი რკინა იყო ჯვარი, ვერცხლისფერი, წმინდა. სტაფილოსფერ-ყვითელი იყო გამონაზარდი, ავი ხის სოკო. ხელი აჭერდა, ხელს უნდოდა გასრესა, მამა ანდრიას - არა. მამა ანდრია ლოცვას ამბობდა. მერე კი მოაშორა და დალოცა ორივე.

ბრეზენტის ერთ ჯიბეში ბევრი წვიმა დაგროვდა, დაამძიმა და გადაძერა. არსება ნახევრად უკვე წყალში იდო. მთლიანადაც იქნებოდა, ურიკა გახვრეტილი რომ არ ყოფილიყო.

მამა ანდრია გამოვიდა ეკლესიიდან. წვიმა თითქმის მიღლია, წვრილ-წვრილ წვეთებსღა ყრიდა ხეებიდან და კრამიტებიდან. ურიკის ჟანგიანი ბზარიდან იცლებოდა წყალი.

უცნაურად იქცეოდა არსების კანი. მცირე ფორები ეხსნებოდა სხეულზე და ისევ ეკეტებოდა - ბუშტები ამოდულებულ ფაფაში. არც ჩანდა შორიდან. როცა მამა ანდრია მიუახლოვდა, შეამჩნია, რომ იქ იწყებდა სხეული ასეთ ქცევას, საიდანაც წყალი შორდებოდა. შეიძლება სუნთქვას ცდილობდა. შეიძლება არც. მაგრამ მამა ანდრიამ იფიქრა, რომ სუნთქვას ცდილობდა.

გამგებელმა თქვა, რომ საღამოს მოვიდოდა ხალხი ნასაღებად. საღამო ახლოს არ ყოფილა, ღრუბლებს კი თავიდან განვიმება-არგანწვიმების ჭოჭმანი ეტყობოდათ. მოკიდა მამა ანდრიამ ურიკას ხელი და ფანჩატურისკენ წაიღო.

ფანჩატური ააშენეს სამი წლის წინ, როცა არქიმანდრიტი საველი ახალგარემონტებულ ეკლესიას ეწვია. ორი ზამთარი გამოიარა ფანჩატურმა, მაგრამ ცისფერი, გალაქული სალებავი ისევე წმინდად ედო. კიევის ლავრაში იყო საველი ნამსახურები და ღვთისნიერ სიბრძნეებთან ერთად იქაური ჩაის სმის სიამეზეც უყვებოდა ანდრიას, ჯერ კიდევ სემინარიის წლებში.

ფინჯანში კი არა, იქ ესეთ დაბალ ფიალაში ისხამ ჩაის, კოვზით მურაბა გიკავია, წირვა მისრულებულია, მზე კი ჩადის." - არქიმანდრიტის ნოსტალგია ანდრიაზეც გადმოდიოდა, ამიტომაც ააშენებინა ფანჩატური. თავადაც უნდოდა ასე.

ალუბლების ხეები ერტყა ირგვლივ ფანჩატურს და როცა გაზაფხულზე ყვავილობა იწყებოდა, მამა ანდრია, ღმერთმა აპატიოს და, წირვებსაც ვერ უდებდა გულს ბოლომდე.

საველის ჩამოსვლისას დიდ ხანს ვერ გაჩერდნენ, სალებავის სუნი ტრიალებდა ჯერაც. მას მერე კიდევ რამდენჯერმე მოიწვია მამა ანდრიამ არქიმანდრიტი, მაგრამ იმას არ ეცალა.

მიაგორა ურიკა, მიაყენა შესასვლელთან და როგორც კი კარის საკეტი მოხსნა, გულში გაიფიქრა:

არა, არა, არ ივარგებს ასე". ჯერ გაიფიქრა და მერე მიხვდა, რას გულისხმობდა.

არ ივარგებს ასე, არ სჭირდება ეს სიბინძურე ფანჩატურში. არ სჭირდება არც ეკლესიაში. წლებია თავს ევლება ყოველ ბუჩქს და ყოველ კუთხეს, ღამლამობით რჩება ხოლმე, რომ მორეცხოს იატაკი, სასანთლეები დაწმინდოს, არ ივარგებს ასე, არაა ღმერთის სახლი ასეთი საძაგლობებისთვის, შეურაცხყოფაა ამ უბედურის არსებობა, მდაბიო ნაგლეჯია ხორცის, საიდან მოაგნო, რატომ ხსნის თავის ფორებს, რატომ ცდილობს ჰაერის ჩაყლაპვას, რატომ მიიჩნევს თავს ღირსად თავისი უწმინდური, უსუსური სახებით სამყარო დაამძიმოს, ამას ფიქრობს მამა ანდრია და უნდა ახლა, რომ ჰქონდეს მის სიტყვას ღვთაებრივი ძალა, ლელვის ხის გამხმობი, სოდომის შემმუსრველი, უნდა, რომ უთხრას მას: განიქმენ" და ეს უაზრო არსებაც შეიჭმუხნოს მარილმიყრილი ლოქორასავით, დაიწვას ან დადნეს, უნდა, რომ ჰქონდეს ასეთი ძალა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ არ აქვს, სამაგიეროდ ბალის სეკატორი აქვს, რომლითაც კედრის ბუჩქებს ავ ტოტებს აჭრის, ვარდის ყვავილებს სარეველებს აცლის, მაშ, იყოს ბალის სეკატორი მისი რისხვისა და წმინდა ნების იარაღი და აი იღებს მამა ანდრია ფანჩატურის სკამიდან მას და აი მიდის ურიკისკენ სადაც ელის ის, უფრო უმწეო, ვიდრე მდინარის ტალღებზე კალათით მონაოსნე ჩვილი მოსე, ულმერთო სამყაროს მუცელმოშლილი ნაყოფი, თავკომბალა.

თამარა ალურიძე-გედევანიშვილისა უკეთეს ქორწინებაში რომ ყოფილიყო, ალბათ ახლა ქმართან ერთად ამ უჩვეულო სტუმარზე ილაპარაკებდა. როცა ორ დღეში სოფელში ჟურნალისტები ჩამოვიდნენ, ასე უნდოდა არსების მოხსენიება - ჩვენი უჩვეულო სტუმარი", თუმცა ინტერვიუ მხოლოდ გამგებელსა და თავდაგირიძეს ჩამოართვეს.

თამარა ალურიძე-გედევანიშვილისა ტრომბონისტ ზაქარიას რომ გაჰყოლოდა, ალბათ ახლა იმ უცნაური ხმების რხევებზე ილაპარაკებდნენ, რასაც არსება გამოსცემდა. თუმცა, ტრომბონისტი ზაქარია ნახევრად ქურთი იყო და თამარას მშობლებმა იმდენად არ მოუწონეს შვილს არჩევანი, რომ კონსერვატორია დაატოვებინეს და მამისეულ სოფელში მუსიკის მასწავლებლად დააბრუნეს.

თამარა ალურიძე-გედევანიშვილისთვის ეს სახლი არა მუდმივი საცხოვრებელი, არამედ ზაფხულის გასატარებელი და ბავშვობის მოგონებების გასაცოცხლებელი ადგილი იქნებოდა. შვილს თავის ძველ წიგნებს გადმოულაგებდა, დაშნა და ბრინჯაოს ფრინველი, აი ეს წაიკითხე, მოგეწონება" - ეტყოდა, მერე კი აივანზე გავიდოდა, სადაც თავის ტრომბონისტ ზაქარიას ნახავდა მზესუმზირის გროვის გვერდით.

იცი" - იტყოდა თამარა ალურიძე-გედევანიშვილისა. იცი, მთელი დღე ვფიქრობდი იმაზე..."

მეც" - იტყოდა ზაქარია.

მგონი, ყოველ ჯერზე, როცა ხმა ამოიღო..."

რეგისტრი ეცემოდა, ხო? მეც მაგაზე ვიფიქრე!"

კი, ძალიან, ძალიან ნელა, თითქოს იცლებაო..."

გგონია, რომ..." - იტყოდა ზაქარია.

მგონი, კვდებოდა" - უპასუხებდა თამარა ალურიძე-გედევანიშვილისა, უკეთეს ქორწინებაში რომ ყოფილიყო. მაგრამ რაკი არ იყო, უბრალოდ სარეცხი გაკიდა.

მგონი, კვდება" - იფიქრა მამა ანდრიამ, სანამ არსებას სეკატორს შეახებდა. არავითარი ხმა აღარ ყოფილა. რომც ყოფილიყო, მამა ანდრიას მუსიკალური სმენა არც ჰქონდა, მაგაზე რომ შეეტყო. მაგრამ მაინც იფიქრა. ასევე იფიქრა, რომ ყოველ არსებას, რომელიც სიკვდილის პირასაა, აქვს ერთი დიდი საერთო რამ: აღარ ჰგავს ცოცხალს. ზუსტად ისევე, როგორც აღარ ჰგავდა ცოცხალს არქიმანდრიტი საველი, როცა მამა ანდრიამ შარშან იხილა - დასვენებული საპანაშვიდო ნირვის გულში, ცვილისფერი ხელებითა და ჩაცვენილი თვალებით. მაგრამ ცვილისფერი ხელები საველის მუდამ ჰქონდა. ჩაცვენილი თვალებიც მუდამ ჰქონდა. უბრალოდ, როცა ცოცხალი იყო, ეკუთვნოდა ისინი.

კიდე ბევრი რამ იფიქრა მამა ანდრიამ ერთბაშად. იმდენად ერთბაშად, რომ ერთ დიდ ცოდნად შეუდედდა ტვინში, რომ ეს რაღაც აქამდე ცოცხალი იყო, რომ მისი გასიებული უფორმო გვამი ცოტა ხნის წინ სიცოცხლეს შეიცავდა. სიცოცხლე ხსნიდა მცირე ფორებს, სიცოცხლე ამოძრავებდა საცეცებს, სიცოცხლე აწკრიალებდა ბროლის მივებს. ახლა კი, როცა ამ ძალისგან დაცარიელდა, მამა ანდრიას აღარ ჰქონდა სურვილი მისი დაზიანების, აღარც ეზიზღებოდა, თითქოს უცნაურობა და სიუცხოვე სიცოცხლესთან ერთად გაქრა. ახლა უკვე იცოდა მამა ანდრიამ, რა იყო არსება - იყო მკვდარი.

სველ კიბეზე ჩამოჯდა. მხრებზე ფანჩატურის სახურავიდან წვეთები ეცემოდა. ეზოში გამგებელი გამოჩნდა. სხვა ტანსაცმელი ეცვა უკვე, უფრო გაუთოებული.

აგვიანებენ, მამაო, ისინი, მანქანა გაუფუჭდათ, თუ რაცაა, არ ვიცი. როდის აპირებ შენ სახლში წასვლას?

ჯერ არა, ივანე.

მოკლედ, მერე ვიფიქრე, რო ესე შემოგიხრიგინეთ პირდაპირ, ეგება გადიოდი ან რამე, მოკლედ, თავდაგირიძემ ბოსელი გამოითავისუფლა და იქ დავიტოვებო, შენ რო აღარ შეგაწუხოთ რა. რას შვრება ისე? ჩუმადაა?

ურიკას მოკიდა გამგებელმა ხელი.

არაა საჭირო - თქვა მამა ანდრიამ - დავიტოვებ მე.

ხო მარა შეგაწუხებენ, მამაო, იქნებ კამერებიც იყოს.

არა უშავს.

მიმოიხედა გამგებელმა, რაღაცის თქმას ცდილობდა.

კაი, გეტყვი პირდაპირ რა, შეიძლება ტელევიზია ჩამოიყვანონ და ესე ვიფიქრე, ეკლესიაში რო გადაიღონ, ვინმეს რამე ის არ ეგონოს რა, ხო ხვდები.

არ ეგონებათ, ვეტყვი.

ცოტა ხანი იჭოჭმანა გამგებელმა კიდე, ორიოდე ფოთოლი მოწყვიტა ალუბლის ხიდან.

კაი, მოკლედ, თუ რაცაა არი.

თქვა და გაბრუნდა. ჭიშკრის ხმა გაიგო მამა ანდრიამ. არ ჩანდა გამგებელი, მერე შორს გზაზე გამოჩნდა და მერე ისევ დაიკარგა.

წამოდგა, მოკიდა ხელი ურიკას და მიაგორა ეკლესიასთან.

იფიქრა, რომ არქიმანდრიტი საველი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასეთ რამეს ეტყოდა ალბათ: არა, შვილო, ხომ არ გადაირიე. რა იცი შენ, სულიერია, არაა სულიერი. ციყვი რომ ნახო მკვდარი, აუგებ წესს? ნუ შეურაცხყოფ ღმერთის წესებს, შვილო, ეგ არაა ჩვენი, ეგ აგე ინდუსების რჯულია".

ასეთ რამეს იტყოდა, ალბათ მეტი მაგალითით. მაგრამ არქიმანდრიტი საველი ცოცხალი არ იყო, მამა ანდრია კი იყო.

ააგორა კიბეზე ურიკა, შეიტანა ეკლესიაში და მიკეტა კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარიელ ჭანტურია



## მე...

ხან ცივი ციმბირი ვარ და
ხანაც ცხელი საჰარა!
რა თქმა უნდა, რახანია,
მე ის თამრო აღარა ვარ!
ხან რომ ცივი ზამთარი ვარ,
ხან - აგვისტოს თაკარა ვარ!
თითქმის ჭაბუკობიდანვე
სანახევროდ ჭაღარა ვარ!
ხან რომ მ. ლებანიძე ვარ,
ხანაც - გურამ სალარა ვარ!
ხან გიტარა, ხან ჩონგური,
ხან - მყიეანა ნაღარა ვარ!
დასკვნა მაინც ეს ერთია:
ხან - ვარ...
ხანაც - აღარა ვარ...



## * * *

თუმცა უკვე აღარ წვიმს,
თუმცა გამოიდარა -
გამოდარებიდანაც
არა გამოვიდა რა...
ვერ ვიყიდე! - რა გახდა
ერთი გლახა გიტარა!
ხომ გვაქვს წუთი -
ცრემლების
მეტი არა გინდა რა...
ველარც დოლმა მიდოლა
და ვერც თარმა მითარა -
რით ვერ შევინარჩუნე
ის საბრალო გიტარა...
მოკვლით მოგკლეს... - ტირილით
არავინ არ გიტირა...
შვილის გაჩუქებული -
გენატრება გიტარა...
...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ლექსებით ვთვრებოდი -
ღვინით და არყით არა...
რის დამკვრელი ვიყავი -
მაინც მქონდა გიტარა.
ჩაიარა ცხოვრებამ -
მოკლედ, ყოფა გეტირა,
გიტარაც კი არ შეგრჩა -
საცოდავი გიტარა...

* * *

ჯერ საჭიროა ბრძოლა და
მერე წერტილის დასმა!
ეს ვერ გაიგო მწერალთა
სახელოვანმა დასმა!
შე კაცო, მთელი ცხოვრება,
სულ რომ წერდი და წერდი,
არ გახსოვს? რით ამთავრებდი
და როდის სვამდი წერტილს!
მწერალმა - ერთმა კი არა,
ათმა კი არა - ასმა
გაიგოს უნდა, თუ როდის
უნდა იმ წერტილს დასმა...

* * *

განაბის გენებით
განაბის გონებით
განაბის გინებით
თავადაც განაბი
ოსტატი ჯიბის და
ოსტატი ჯუბის და
ოსტატი არყის და
ოსტატი კანაფის.
განაბის მემკვიდრე
გონებით განაბი
პატრონი განაბის
ნაშოვარ ქონების
რად გინდა - შენ ნაღდად
არ მოგეწონება!
რად გინდა! - არც იმას
არ მოეწონები!

* * *

როგორ მოხდა, ეს არ ვიცი! -
საუკუნე მექცა წუთად!
როგორა ვარ? როგორ ვარ და,
ზოგჯერ - კარგად!
ზოგჯერ - ცუდად!
კრიტიკა პუბლიცისტიკა
იქცა ტყუილების გუდად!
...მინა ველარ გვაქვს ქალამნად
და ვერც ცა გვახურავს ქუდად!
- კარგად, ჩემო გივი, კარგად!
- ცუდად, ჩემო ძმაო, ცუდად!
ამას რას წარმოვიდგენდი -
საუკუნე მექცა წუთად!
- როგორა ვარ? კარგად! კარგად!
- როგორა ვარ? ცუდად! ცუ-დად!
მინა ქალამნად აღარ მაქვს,
ვერც ცა დავიხურე ქუდად!
როგორა ვარ? კარგად! კარგად!
როგორა ვარ? ცუდად! ცუდად!



პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ,
შუაღამისას ლექსი ამიდგა!
მსგავსი რამ არსად და არასოდეს
არც მიფიქრია, ჰოდა არც მითქვამს...
მიკვირს ძალიან - შუაღამისას
მოულოდნელად ლექსი ამიდგა!
რას მერჩის მე ეს ბუნება, ანდა
რა უნდა ჩემგან შუაღამის ქარს...
მოულოდნელად და გასაკვირად -
შუაღამისას ლექსი ამიდგა!

* * *

მიდი! იკითხე ეს წიგნები!
მიდი! იკითხე! -
უფრო იოლად ნახვალ, ძმაო,
ბოლოს იქითკენ!

* * *

არა, ვერა, გენაცვალე,
მკითხველს გულს ვერ დავწყვეტ!
შენთან წოლას მირჩევნია,
მთაწმინდაზე დავწვე!

* * *

...დავიძინებ და მეღვიძება! -
რატომღაც მალე მეღვიძება!
დაიძინეო, მირჩევს ცოლი!
ვიძინებ! - მალე მეღვიძება!
ძილი ჯობს ვითომ? - სიკვდილისკენ
სწორედ ძილი არ მიგვიძღვება?
მე თუ მკითხავენ, დაძინებას
მილიონჯერ სჯობს გაღვიძება!
კარგია? ჩვენს მიცვალებულს რომ
არ შეუძლია გაღვიძება!
დავიძინებთ და - სიკვდილისკენ
სწორედ ის ძილი გაგვიძღვება!
მე თუ მკითხავენ, დაძინებას
სულ მირჩევნია გაღვიძება.

* * *

ღმერთი? ღმერთი ისე მიყვარს,
ისე ძლიერ მიყვარს -
არ ვარ ღირსი? - სამოთხეში
მაინც გადამიყვანს...

* * *

ვის უყვარს და ვის არ უყვარს!
ჰო, არსებობს სმა და არსმა!
შემაწუხა, დამაფიქრა,
თავად ალკოჰოლის არსმა!
...იმ დღეს სუფრას ვუსხედით და
არ დავლიეთ - არც მე, არც მან!
...ჰო, არსებობს ჯვარზე ცმა და
ის, მეორეც - ჯვარზე არ-ცმა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიანა ანფიმიადი



## ძილი, სიკვდილი

ძილში მესმოდა, შენ იყავი? ან იქნებ არც შენ,
იქნებ მთელი დღის მოსმენილი ჩიტების ნარჩენ
ხმებს მანვეთებდა ძილის ღმერთი - ნამით მკვებავდა.

ძილში მესმოდა, სიკვდილის ღმერთს, ლამაზ თანატოსს
თითქმის შენნაირს, შენს სიმაღლეს და შენს თანატოლს
როგორ ღიმილით მიჰყვებოდი, როგორ თამამად.

ძილში მესმოდა, როგორც ფოთოლს, მორჩენილს, შემხმარს,
როგორ ელოდა მარიმურით გათელილ შენს ხმას,
შენ დასცინოდი, ულიმოდი, სულ არ ფრთხილობდი.

მას  მიჰყვებოდი ბედნიერი და სახეცვლილი,
ძილს ვერ წავართვი თავი, თითქოს ხსნა იყო ძილი
და როგორ შევძლებ, სიკვდილს შენი თავი წავართვა...

## ელეგია



მკვდართან სეირნობა ვის უნდა გაუკვირდეს?
ხელი გავუყარე, ლოყით მხრის ძვალზე მივეკარი,
ღმერთო, როგორ მიყვარს!
მივდივართ, გაზაფხულის მშვიდი საღამოა,
ქალაქის საათები მწუხრისას რეკავენ,
მივდივართ, კაბის კალთა, გულიც მიფრიალებს,
და თმით აკაციის ყვავილებს დავატარებ,
ვუყურებ, შუბლი ისეთი მაღალი აქვს
და კოხტა თავის ქალა, კეფასთან ჩამტვრეული
შემდეგ პაემანზე  კეპით დაიფარავს.
ხელში ვარდების ჩამიხმა თაიგული,
იმდენი ხანია თითებმა დაიგულეს
ეს ბასრი ეკლები,
თითქმის შეიხორცეს, თითქმის შეიჩვიეს,
ისეთი ვინმეა, საშინლად საყვარელი,
 მსუბუქად ეჭვიანი...
როგორი საღამოა, როგორი გაზაფხული,
თითქოს ერთ სუნთქვაში, ერთ წვეთში,
ერთ სკამზე და ატმის ყვავილის ზუტკოში ვეტევით
ჩავყურებ თვალების ძვირფას ფოსოებში,

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ხელს ჩამოვაცურებ დრეკად ხერხემალზე
და გამქრალ ტუჩებში ვკოცნი გამეტებით.
მკვდართან სეირნობა ვის უნდა გაუკვირდეს?



## ცოტა უკეთ რომ

ცოტა უკეთ რომ წერდე
ცოტა უკეთ რომ ახერხებდე სიტყვების პოენას
ცოტა უკეთ რომ აშიშვლებდე სხეულს და თვალებს
ძვალი უკეთ რომ ანათებდეს
ცოტა უკეთ რომ ხასხასებდეს სისხლი ასფალტზე
თვალსაჩინოდ ფეთქავდეს გული,
და ცოტა უკეთ რომ ტიროდე, უფრო გაბმულად
ცოტა უკეთ რომ გიყვარდეს, უკეთ კვნესოდე,
ცოტა უკეთ რომ ეფერებოდე,
ცოტა უკეთ რომ ამბობდე, რასაც არ ფიქრობ,
ცოტა უკეთ რომ გტკიოდეს,
ცოტა უკეთ რომ წერდე
ამბავს მასზე, ვინც ყოველ ჯერზე
ერთი წუთით გაასწრო ღმერთის
შობას, წყალზე სვლას და აღდგომას,
ამბავს მასზე, ვინც ყოველ ჯერზე
ერთი წუთით დაასწრო სიკვდილს
ძილს, სიყვარულს და მარტოობას.
ცოტა უკეთ რომ წერდე,
უკეთ ყვებოდე,
ღმერთი რომ ბჭობდა
და კაცი იცინოდა
დიდხანს იცინოდა
იმდენს იცინოდა
კვდებოდა სიცილით
და მესამე დღეს აღვიძებდა
მოკვდავი ღმერთი.

## გადამალვა

შემჩნეულია საკუთარი გვამის გადამალვაში -
ჩემზეა ეს განცხადება,
რომლითაც ააჭრელეს ქალაქის ფასადები
ცაში არეკლილი ფერადი ბილბორდები,
ავტობუსები და მეტროს ვაგონები.
ნეტავ თვალი ვინ მომადევნა, ვინ დამინახა?
შეუსაბამოდ ვიგინები,
არადა, ხავერდის ფეხსაცმელი, საღამოს სამოსი,
ვიღაცას ფილოლოგის დისერტაციიდან
(უფრო ციტირების ან სქოლიოს ნაწილი)
გადმოწერილი ვეგონები.
შემჩნეულია საკუთარი გვამის გადამალვაში -
ვკითხულობ განცხადებებს,
ქალაქი - ძველი საბეჭდი მანქანა,
ღამეს მისრესილი პეპლების შელანი -
მოკვდა პოეზია და გვამი გადავმალე,
კარგად გადავმალე და მაინც ვღელავ.
სად აღარ შევჩურთე - წიგნებში, კაბებში,
ვარდების კორომში, ქართულის გაკვეთილში,
(ჩუმად! სიტყვამ ისევ შიში მოიყოლა -
როგორ მოვიტყუო, გვამი თუ გაკვეთეს?)
აი, ამ ლექსშიც, ცოტათი გამოჩნდა



სულ ოდნავ - ფეხის ფრჩხილი ანდა თმის ნაწნავი,
ვერაფერს დამაბრალებ, ადვილად მოკვდა,
საერთოდ არ ვაწვალე.
წარწერა- გადავმალე, ფურცელი - გადავხიე
და სახეც გავაქრე ქალაქის ფონიდან...
შემჩნეული ვარ ჩემი გვამის გადამალვაში,
შემრჩება მგონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევან ზარიძე



* * *

იყო სადგური ზღვასთან,
თანმიმდევრულად მშვიდი,
ვიდექი წითელ სკამთან,
ცოლით და ორი შვილით.

ცამ ჩაგვყლაპა თუ მიწამ,
მდევარმაც ვერ მოგვაგნო,
მივყავდით ნომერ პირველ
შვეიცარიულ ვაგონს.

* * *

ცრემლი - ორგანული შუშა,
თვალში ოვალური ხვრელი,
ასო კი არა და სიტყვა
არის აღარაფრის მთქმელი.
ზოგჯერ მესიზმრები სამჯერ,
ნისლი სულზე წმინდა არის,
მცირე სინანულის დროა,
როცა ინელება წამი.
ყრია მიწის პირზე ქვიშა,
ღიმილს ვერ იშორებს მინა,
მოკვდე არასოდეს ნიშნავს
იწვე.

## თბილისი 2040“

არავითარი ვითარ,
ცა - სიშორეზე სწორი,
გზა - გამზირებზე გრძელი
(გაზეთს კითხულობს თოვლი).
თვალში სინათლის ბოლო,
ფრენას ვისწავლი მალე,
დარი, დური და დარი
და გაბზარული დოლი.
არ მეჩვენები, გნახე,
(გამადიდებელ შუშით)
ხე მოჭრილივით იდგა,
გვითავდებოდა შეშა.
ამ სიცივეზე ცოტა,
იმ სიცივეზე ბევრი,
იყო ქუჩებში ჩიტი,
(უთავშესაფრო მრევლი).
არავითარი ვითარ,
ცა - სიშორეზე სწორი,
ბალახს ყიდიდა ქალი
და მოდიოდა თოვლი.

* * *

ოქტომბრის ცივი დილა,
ფოთლებს მიაფსა ძაღლმა,
ქარმა წაიღო წუხელ
მათი ფერი და ძალა.
აღარც ნიავი არის,
არც მეეზოვე წამლად,
ერთდროულია ჩვენში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენის და კვდომის სწავლა.
ცვლიან წამები წამებს,
მკვდარი ფოთლები მწვანეს,
სიახლოვეთი ხდება
განშორებები მწარე.
დრო გასულია რადგან
საღამოების გარეთ,
ნამომყევი და თეთრი
ის წამიც მოიპარე.
ოქტომბრის ცივი დილა,
ფოთლებს მიაფსა ძაღლმა,
ქარმა წაიღო წუხელ
მათი ფერიც და ძალაც.

* * *

ყველა მოგონება შავ-თეთრია,
ფიქრებს იმეორებ გადახვევით,
ვიცი ამოჭრილი სიზმრებიდან
მზისთვის მისაცემი განახლება.
როგორ უცნაური გართობაა:
წარსულს აკატავებ სხვისი ფულით,
ვის გაქვთ გასაბერი მარტოობა?
(დაკარგული).

* * *

ჩრდილი (გახეეული გაზეთში)
სულში დარჩენილი ჰაერის,
თვალთან მიტანილი თითები,
თითებთან ნამყოფი თვალები.
რამდენი სიზმარი ვერ ნახე,
რომელმა სიშორემ ვერ გნახა,
შენ უკრავ აწყვეტილ ღილებზე,
ვერა ხარ.

* * *

ყველგან ერთნაირი ომია,
(სიკვდილში სიჩუმეც ეტევა)
დაკეტილ კარებზე ნულები,
ნულებთან ქოლგები (მეტყველი).
მიწაში ნამყოფი ჰაერი
ელექტრო კიბეზე ცოცხლდება,
ფერი აქვს ყველა ცა მოვლილი,
ყველაზე უბრალო ოცნების.
დრო მიდის და ფერფლის მანქანა
უტევს უსასრულო საცობებს,
ყველგან ერთნაირი ომია,
შენ მხოლოდ წასვლისას მაკოცე.

* * *

მომავლის ცოდნის ნაცნობი ბოლო,
ნაზი ბურუსი სინათლის ზემოთ,
მე მომეწონა მზისა და სიზმრის
(გემო).

დათვლილი ფიფქი თითებზე ცოტა,
თბილი შეხვედრა ჩრდილის და წამის,
იჯდა ბუდეში მოცლილი ჩიტი,
ფოთოლზე მწვანე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გაჩერებული სიზმრების დროით,
შენი ცალმხრივი სხივების გავლით,
ცა - ერთნაირად ცივიც და შორიც
კადრიდან გაეა.
იყო ხილული (როგორც ამბობენ)
სიშორის გვერდით ფიქრების ზოლი,
ჩვენ ვარსებობდით და სინათლესთან
გავთანასწორდით.

* * *

გაფუჭებული ტელეფონები
და მოციმციმე შენი თვალები,
გაფუჭებული შენი თვალები,
ცის ერთდროული კეტვა - გაღებით.
თეთრი სანთლები ლურჯი ზოლებით,
(გაფუჭებული კელაპტარები)
არარსებული სამოთხეები,
შესაბამისად - შენი თვალებიც.
ცრემლზე მაღალი ბედის განედი,
ღია კარების არითმიები,
ჩემი სიზმრები - უბრალოები,
ან ღამე სივრცეს როგორ მიება.
ჩვენი შეხვედრის დასასრულები,
არარსებული სიშორის გამო,
შესაბამისად შენი თვალებით
მოდის საღამო.
გაფუჭებული ტელეფონები
და მოციმციმე შენი თვალები,
გაფუჭებული შენი თვალები,
ცის ერთდროული კეტვა - გაღებით.

* * *

რაც არ ეტევა ჩარჩოში,
თვალებში რაც არ ეტევა,
ეს შიშის გეოგრაფია,
და სიხარული წყვეტილი.
მზესთან მისული სინათლე,
დასახლებული ნახევრად,
მსუბუქი, როგორც ტკივილი,
რომ არაფერი არ ხდება.
ბედის მაღალი ხარისხი,
გაცხადებულად აურევს,
ცაზე ფერადი ხაზები,
განულებული ხმაურით.
რაც არ ეტევა ჩარჩოში,
თვალებში რაც არ ეტევა,
ეს შიშის გეოგრაფია
და სიხარული წყვეტილი.

* * *

როდესაც სიჩუმე არ არის
და როცა ხმაური არის,
სამყაროს მამალი ალვიძებს,
მამალი ბავშვივით ღნავის.

თეთრ სიზმარს, ბედივით საოცარს,
მზის გვერდით დადებულ მთვარეს,
როდესაც ხმაური არ არის,
როდესაც სიჩუმე არის.

სიგრძეზე გავლებულ მდინარეს,
წყალსავსე გუბეს, თუ თვალებს,
როდესაც სამყარო არ არის
და მაინც ხმაური არის.

* * *

სიზმრების ასლი - ფერადი,
უნიკალური მიგნება,
თვალებით აშენებული,
სინათლე რომ დაინგრევა.

ცრემლში სამყაროს ნაწილი,
გადატეხილი პრიზმებად,
და დიდ ეკრანზე თავიდან
საჩვენებელი სიზმარი.

მზემ იცის როგორ ანათოს
და მერე როგორ ჩავიდეს,
მარტივი, როგორც საწყისის
და დასასრულის არჩევა.

...და როცა გარემოებას
ლანდები გადაფარავენ,
შენთან იქნება სინათლე,
მაგრამ სიზმარში - არავინ.

სიზმრების ასლი - ფერადი,
უნიკალური მიგნება,
თვალებით აშენებული,
სინათლე, როგორ ინგრევა.

* * *

ანათებ თვალებს, სხვანაირს,
უცნაურია სამყარო,
ღრუბლების შორისდებული
და ხელნაკეთი საყურე.
ანათოს ცხრავე სინაზემ,
შენი ამბები მაცნობონ,
მიმოწერა გვაქვს სინათლით,
ყველგან და არსად არ ცხოვრობ.
ოცნება გვაპირისპირებს,
(რას ვიტყვი ახლა წესიერს)
მარადიული ბილეთი
და ფრენის შენი წესები.
ანათებ თვალებს, სხვანაირს,
უცნაურია სამყარო,
ღრუბლების შორისდებული
და ხელნაკეთი საყურე.

* * *

ხე შემომხედავს ფოთლის თვალებით,
მაღალი წვიმის გამოტირებით,
რომ მზის გარშემო იყოს ნათელი
და არაფერი - მუდამ პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... და ამ სიზმრების დროში გადასვლით,
ცისფერი ორთქლის გადაცრებით,
შენ ჩადიოდი სველი თვალებით,
და გაცილებდი.

* * *

შენს თვალებს - სარკეში ნამყოფებს,
ღია თუ გახელილ ბარათებს,
არყოფნით რა უნდა გამეგო
(მაგათზე).

რა უნდა მომსვლოდა, ვიცოდი,
სად უნდა გამევლო, ამიხსნეს,
რომ ფერი უნდა წამსვლოდა
(არც ისე).

არ არის იმედი საჭირო,
მზე უფრო ადვილად მოგძებნის,
ბილეთზე მოხეულ სინათლით
შევდივარ დაწყებულ კონცერტზე.

შენს თვალებს - სარკეში ნამყოფებს,
ღია თუ გახელილ ბარათებს,
არმოსვლით რა უნდა გამეგო
(მაგათზე).

* * *

ამ ხეებს შორის მათივე ლანდი,
ამ ლანდებს იქით ტყეების ჩონჩხი,
ჩიტის თვალებით რაც გეფინდა ნათელს,
ზღაპრულად მორჩა.

რაც უფრო მეტი სიჩუმე იტყვის,
რომ უფრო მეტი სიჩუმე არის ,
ამ ხეებს შორის საკუთარ ლანდით,
სინათლე დადის.

* * *

სიზმარი, როგორც პირადი აზრის
გაუმართავი მოწყობილობა,
რკინის ჩიტების შიგნით თვალები,
თავისუფლად მოწყენილები.

ფეხზე დადგომის საპირისპიროდ,
არის გაფრენა სავალდებულო,
ბარტყი ბუდიდან გადმოახედეს,
ცასთან და შიშთან შორისდებული.

* * *

ის იდგა ნახევრად ჩასული,
სხივებზე არცერთი ბორკილი,
სიბნელე - კარებზე გაკრული,
ნარჩერით: მიმოსვლა ორმხრივი.
... და თვალი, ბნელის და კარების
გაღება, ორმხრივი მიმოსვლით,
ის ჩადის, მიდის და გადადის,
ყოველთვის სხვა სანაპიროთი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სალმან რუშდი

# ბერიკაცი მოედანზე

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე*



ყოველდღე, ნაშუადღევის დაახლოებით ოთხ საათზე, როდესაც სიცხე იკლებს, მოედანზე ბერიკაცი გამოდის. ნელა დადის და მტვრიან ყავისფერ მოკასინებს დააფრატუნებს. ჩვეულებრივ, მუქი ლურჯი, ყველა ღილზე შეკრული ქურთუკი აცვია. ამავე ფერის, წელზე ზონრით დამაგრებული შარვალი აცვია. ჭაღარა თავზე ბერეტი ახურავს. მოედნის ერთადერთ კაფეში შედის, რომელსაც „შადრევნის კაფე“ ჰქვია, ხის მაგიდასთან მდგარ ხის სკამზე ჯდება და უკვეთავს ცოტაოდენ მაგარ ყავას, საღამოს 6 საათზე კი - ლუდსა და სენდვიჩს. საღამოს 8 საათზე დგება, ტუჩებს იწმენდს და სადღაც - ალბათ, შინ - მიდის. არ გვჭირდება იმის ცოდნა, თუ სად ცხოვრობს - მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა უშუალოდ აქ, ამ პატარა მოედანზე ხდება.

ბერიკაცი თავის ადგილს იკავებს. ის მაყურებელია, ერთადერთი მაყურებელი. საცაა, სანახაობა დაიწყება.

მოედანზე შვიდი ვიწრო ქუჩა გამოდის, ყოველ კუთხეში - თითო ქუჩა და კიდევ თითო-თითო - მოედნის სამ მხარეს. მხოლოდ იქ, სადაც ეკლესია დგას, არ გამოდის ქვაფენილიანი ქუჩა. ეს პროვინციული მოედანი წყნარი, თითქოს მთვლემარე ადგილი უნდა იყოს, მაგრამ ასე არაა. ყოველი კვირის ექვსი დღის განმავლობაში აქ აყალმაყალის ხმა გაისმის. ამგვარ დღეებში მოე-დანზე თავმოყრილი ხალხის რაოდენობა ქალა-ქის მცხოვრებთა რაოდენობას აჭარბებს. ადამი-ანები ამ წყნარი ქალაქის წყნარ მოედანზე თით-ქოს იმისთვის მოდიან, რომ იჩხუბონ. თხუთმეტ კილომეტრით დაშორებული დიდი ქალაქიდან მო-დიან, რათა თავიანთი ღვარძლი გადმოანთხიონ. ხმას უმაღლებენ; მარჯვენა მომუშტულ ხელს მარცხენა ხელისგულს უბრაგუნებენ; ფეხებს აბა-კუნებენ (სულ ერთია, რომელ ფეხს - ორივეს ერ-თნაირად აბაკუნებენ). თუ მოტოციკლებზე სხე-დან, სიბრაზისგან (ან იმისთვის, რომ მტრების ხმები ჩაახშონ) ასიგნალებენ. თუკი ღიაფანჯრე-ბიან მანქანებში სხედან, მოტოციკლისტებივით ასიგნალებენ და მანქანებს ადგილზე ჯარასავით ატრიალებენ.

მათ კინკლაობას ბოლო არ უჩანს. კამათობენ იმაზე, მოსალოდნელია თუ არა ქარიშხალი, ყვი-რიან, რომ საზაფხულო ოლიმპიური თამაშების-თვის პოლარული წრის მიღმა განლაგებული ქა-ლაქი უსამართლოდ, მაქინაციების შედეგად იქ-ნა შერჩეული, რომ სიყვარული არ არსებობს, რომ პოლიტიკური საქმიანობა უშედეგოა, რომ ცნო-ბილ კათოლიკე სასულიერო პირები ფარულად, უკანონოდ, სასიყვარულო თავგადასავლებით იქ-ცევენ თავს. მათი კამათის თემებია, ასევე, დე-დამიწის ბრტყელი ფორმა, წითელას, ყბაყურას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წითურას საწინააღმდეგო ვაქცინების ეფექტიანობა. ისინი დაობენ იმის შესახებ, თუ რომელი ნაყინია საუკეთესო და ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებს გამოთქვამენ კინომსახიობ ქალთა სილამაზის შესახებ. რაც შეეხება ლიტერატურას, ისინი გაბედულად იცავენ ამა თუ იმ ავტორს და მათ თვალსაზრისს ვერ შეაცვლევინებ. როგორც ჩანს, ჩვენს ადამიანებს არაფერი აერთიანებს, გარდა თვით ჩხუბისადმი სიყვარულისა, ჩხუბი კი სხვა არაფერია, თუ არა ეროვნული ხელოვნების ფორმა, ჩვენი კულტურის არსი. შებინდებისას ამაზრზენი ხმაური ძლიერდება და გვიან ღამემდე გრძელდება. შუაღამისას ყველა საკმაოდ მთვრალია და ამის გამო ჩოჩქოლი მოედანზე უფრო მძაფრდება, ხშირად ცემა-ტყეპაც იმართება. ბერიკაცი კაფე შადრევანში" ზის და ყველაფერი ესმის, მაგრამ რადგანაც ის საღამოს 8 საათზე ტოვებს კაფეს, ამიტომ ველარ ესწრება კინკლაობის გვიანდელ ფაზას, როდესაც ალკოჰოლის ზეგავლენით მოედანზე მუშტი-კრივი იმართება.

კვირადღეს მოედანზე სიწყნარეა, რადგან ამ დღეს ყველანი შინ რჩებიან და ჭამენ, ან ეკლესიაში მიდიან და შენდობას ითხოვენ, შემდგე კი შინ ბრუნდებიან და ჭამენ.

კვირადღეეებში ბერიკაცი მოედანზე არ გამოდის.

ასეთი ვითარება სუფევს მოედანზე მას შემდეგ, რაც დამთავრდა ეგრეთ წოდებული დიახ"-ის დრო. ის უსიამოვნო პერიოდი დაახლოებით ორმოცი წლის წინ დაიწყო. ხუთი წლის განმავლობაში კამათი გვეკრძალებოდა. ყოველთვის და ყველაფერზე - ნებისმიერ თვალსაზრისზე, რაოდენ სულელურიც უნდა ყოფილიყო ის - უნდა დავთანხმებულიყავით: რომ პური და ღვინო შეიძლებოდა გარდაქმნილიყო სისხლად და ხორცად, რომ იმიგრანტები ღამღამობით დუჟმორეულ სექსუალურ ურჩხულებად გადაიქცევიან ხოლმე, რომ მომგებიანია ღარიბებზე დაკისრებული გადასახადების გაზრდა, რომ შესაძლებელია სულის გადასახლება ერთი სხეულიდან მეორეში, რომ ომი აუცილებელია - და საპირისპირო თვალსაზრისის გამოთქმა არ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იმიგრანტები ფლობდნენ საუკეთესო საცხობს ქალაქში და, აგრეთვე, ჩვენს საყვარელ ღვინის მაღაზიას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბი იყო, რომ არავის ახსოვდა, წინა ცხოვრებაში კუ, უცხოტომელი ან გველთევზა ყოფილიყო. ამის გამო მხოლოდ ჩვენი მცირე ნაწილი დრტვინავდა. ყოველთვის ყველაფერზე უნდა დავთანხმებულიყავით.

ჩვენი ენაც კი შეიცვალა - ენა, რომელზე დაწერილია დიდებული პოეტური ქმნილებები! მას ეკრძალებოდა, ეთქვა სიტყვა არა!". გამოიყენებოდა მხოლოდ ისეთი სიტყვები, როგორებიცა დიახ" და მისი ვარიანტები: რა თქმა უნდა", უეჭველად", უდავოდ", უცილობლად", ნამდვილად", მართლაც", რასაკვირველია", თანახმა ვარ". თუკი რომელიმე წინდაუხედავი რადიკალი გაიხსენებდა სიტყვა არას", ეს უმძიმეს ცოდვად მიიჩნეოდა. არა" იყო არქაული, გაუფასურებული სიტყვა, ძველი, გარდასული დროის კუთვნილება. ის იმ ღმერთის სადიდებლად აგებული ტაძრის ნამუსრევს ჰგავდა, რომლისა არავის სწამდა ათასობით წლების განმავლობაში. არას" ღმერთი... ალბათ, სასეირო ვინმე იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ჩვენგანი სწორედ ასე ფიქრობდა.

მაგრამ ჩვენი ენა უგუნებოდ იყო. მოედნის კუთხეში მარტო ჯდებოდა და ხშირად ნაღვლიანად აქნევდა თავს აქეთ-იქით. ქვეითად დადიოდა. გვითხრა, რომ ახლა არავითარი სურვილი არ ჰქონდა, თვითმფრინავით, ან თუნდაც მატარებლით, მოტოციკლით ან ავტობუსით ემოგზაურა. ასე მგონია, ტყვიასავით დავმძიმდიო, ალიარა. ამიტომ ამჯობინებდა, წყნარად მჯდარიყო და ეფიქრა იმ საკითხებზე, რომლებზეც ფიქრობენ ენები, როდესაც მარტონი არიან და გრძნობენ, რომ მათ ჯაბნიან. გვითხრა, თუკი სხვაგან გადასახლება დამჭირდა, როგორმე წავლასლასდებიო. მისი მდგომარეობა არასახარბიელო იყო. გარდა ამისა, ეტყობოდა, რომ ეხამუშებოდა ვიწრო ტანისამოსი (რომელიც მოძრაობაში ხელს უშლიდა) და ულაზათო მაშიები. მას აღარ ვეკარებოდით.

ჩვენი ენა კაფე შადრევანში" ბერიკაცისგან მოშორებით, მარტო იჯდა ხოლმე თავის კუთხეში. ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ.

საყოველთაო დიახ"-ის პერიოდში მოედანზე სიწყნარე იყო. ჭიკჭიკებდნენ მგალობელი ჩიტები და ტოროლები - მონადირეებს ჯერ კიდევ არ დაეხოცათ ისინი. მოედნის ცენტრში არის პატარა შადრევანი, რომლის გამოც კაფეს ეს სახელწოდება დაარქვეს. უწინ მოედანზე გამეფებულ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმოდა წყლის საამო ჩუხჩუხი. იმხანად ბერიკაცი უფრო ახალგაზრდა იყო და გული ხშირად სტკიოდა იმის გამო, რომ ქალები - რომელთაც სხვადასხვა ფერის თმა ჰქონდათ - გამუდმებით უარყოფდნენ მის მიერ გულწრფელად გამოხატულ გრძნობებს.

იმ დღეებშიც კი, როდესაც სიტყვა არა" აკრძალული იყო, ეს ქალები ეუბნებოდნენ კაცს, რომ მის გრძნობებს არ იზიარებდნენ. გმადლობთ, - ამბობდნენ ისინი, - მაგრამ ამ საღამოს ჩემი შავი /წითური / წაბლისფერი/ ოქროსფერი თმის ვარცხნილობა უნდა შევიცვალო". სხვა დროს შევხვდეთო, სთავაზობდა კაცი გაუბედავად, მაგრამ ქალები პასუხობდნენ, რომ ყოველ საღამოს სადალაქოში შავ / წითურ/ წაბლისფერ/ ოქროსფერ თმას იწესრიგებდნენ, გარდა კვირადღისა, როდესაც შინ რჩებოდნენ და ჭამდნენ ან, ზოგჯერ, თავდაპირველად ეკლესიაში მიდიოდნენ და შენდობას ითხოვდნენ, შემდეგ კი შინ ბრუნდებოდნენ და ჭამდნენ.

გარკვეული ხნის შემდეგ კაცი უკვე აღარაფერს ითხოვდა. სადილის შემდეგ კვლავ მოდიოდა, ჯდებოდა თავის ხის სკამზე კაფე „შადრევანში" და წყლის რაკრაკს უსმენდა. ნაადრევად დაბერდა, გამოიფიტა, ჩამოხმა (ისე, როგორც ხმება ხოლმე ნაყალბევი, ვითომდა ძველებური ავეჯი) იმის აღმოჩენის გამო, რომ თვით „დიახ"-ის პერიოდი უთქმელ „არას" შეიცავდა. თმა გაუჭაღარავდა. და იჯდა თავის ხის სკამზე და უყურებდა მის თვალწინ გადაშლილ სამყაროს.

გავიდა ხუთი წელი. საბოლოოდ, სწორედ ჩვენი ენა ამბოხდა „დიახ"-ის წინააღმდეგ. ის წამოდგა მოედნის კუთხიდან (სადაც მდუმარედ იჯდა და ფიქრობდა ხუთი წლის განმავლობაში) და დაიკივლა. მისმა ხმამ ჩვენი ყურები სტილეტივით განგმირა. უსიტყვო კივილი იყო. მაგრამ როგორც კი გაისმა, ჩვენი ყველა სიტყვა უეცრად გამოთავისუფლდა. მათ ველარაფერი შეაკავებდა. ადამიანები გრძნობდნენ, რომ სიტყვების უზარმაზარი ბურთულები ყელიდან ამოსდიოდათ და კბილებს ეხეთქებოდნენ. ყველაზე ფრთხილები მაგრად კუმავდნენ ტუჩებს, რომ სიტყვებს არ გამოეღწიათ, მაგრამ საბოლოოდ სიტყვების ნაკადებმა ჩვენი ტუჩები გააპეს და ყიჟინით გარეთ გამოცვივდნენ, თითქოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები იყვნენ ხანგრძლივი და მკაცრი სემესტრის ბოლოს. სიტყვები ისე კოტრიალობდნენ მოედანზე, როგორც კოტრიალობენ ხოლმე ერთმანეთს მონატრებული, შეყვარებული გოგონები და ბიჭები შეხვედრისას. ისეთი სანახაობა იყო, რომლის ხილვა მართლაც ღირდა.

ეს პირველი გამოთქმები ტლანქი, უხეში იყო. მაგალითად, „რა სისულელეა" ან „თავიდან მომწყდი!" ან უფრო გაბედული - „აქედან აუდე!". ეს მდაბიური, ტლანქი გამოთქმები არც ისე მოსაწონი, მაგრამ ძალზე ქმედითი იყო. ხელკეტებივით ან დინამიტივით მძლავრი იყო და მათ სწრაფად მოუღეს ბოლო „დიახ"-ის ძალაუფლებას. „დიახ" და მისი თანამგზავრები (ზემოხსენებული: „რა თქმა უნდა", „უეჭველად", „უდავოდ", „უცილობლად", „ნამდვილად", „მართლაც", „რასაკვირველია", „თანახმა ვარ") მოედანზე, ხორცისთვის განკუთვნილ კაუჭებზე დაკიდეს. და ყველაფერი დამთავრდა.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც კამათის, დავის, შეხლა-შემოხლის ეპოქა დაიწყო. „მაგრამ!", „რა ნაგავია" „საზიზღრობაა!", „უაზრობაა!", „ყეყეჩო!", „მატყუარა!", „იდიოტო!", „არ გაბედო!", „რაებს ბოდავ!", „აქედან მოუსვი!". ვინ იფიქრებდა, რომ ახლა ესოდენ დაფასებული იქნებოდა ეს უგვანი სიტყვები და არა ჩვენი მშვენიერი და სახელგანთქმული პოეზიის ენა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ? დაჩაგრული, იმედგაცრუებული ოდები და სონეტები, ლირიკა და ეპიკური პოეზია უმწეოდ ასავსავებდნენ ხელებს.

ჩვენი ენა კვლავ მოედანზე, თავის კუთხეში იჯდა და მოვლენებს აკვირდებოდა, მაგრამ ვიწრო კორსეტი და ულაზათო მაშიები აღარ ეცვა. გრძელი თმა და ქვედატანი თავისუფლად უფრიალებდა. ქვედატანი მინას სწვდებოდა, ამიტომ ვერ ვხედავდით მის ფეხსაცმლებს, თუმცა ვგრძნობდით, რომ ის მუსიკის ტაქტზე აბაკუნებდა ფეხებს.

ბერიკაცმაც იგრძნო იმ სიტყვების ძალა, რომლებიც ყელში ებჯინებოდა. ცდილობდა შეეკავებინა ისინი, რადგან არ იცოდა, როგორები იყვნენ ეს სიტყვები, რა ზემოქმედების უნარი ჰქონდათ, რას გამოიწვევდნენ ან გაანადგურებდნენ, მაგრამ ისინი ნარწყევივით გადმოსკდა მისი პირიდან. ბერიკაცი ძლივსღა სცნობდა ამ სიტყვებს - მრისხანეს, დამცინავს, ბრალმდებელს... საბედნიეროდ, დანარჩენებიც ამასვე (ოღონდ სხვადასხვანაირად) განიცდიდნენ. ამიტომ ბერიკაცს ყურადღებას არავინ აქცევდა და მასაც მალე დაავიწყდა, როგორი იყო ეს პირველი სიტყვები. ის კვლავ იჯდა ხოლმე თავის ხის სკამზე და თვალს ადევნებდა იმას, რაც მოედანზე ხდებოდა.

როდესაც „დიახ"-ს ეპოქა დასრულდა, ჩხუბის, აყალმაყალის გამო აღარ ისმოდა ტოროლების ჭიკჭიკი და შადრევნის საამო ხმა, შადრევნისა, რომელიც არად დაგიდევდათ საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს და კვლავ უდარდელად ჩუხჩუხებდა. ბერიკაცი, რომელიც ნაღველმა, სევდამ დააბერა, აღარ მიმართავდა ქალებს შეკითხვებით, რომელთა პასუხები უკვე იცოდა. ეს პასუხები ახლა შეიძლებოდა უშუალოდ მოესმინა, უაზრო მიკიბვ-მოკიბვისა და სადალაქოში სტუმრობის მომიზეზების გარეშე.

თავდაპირველად მას ენატრებოდა „დიახ"-ის ხუთწლიანი პერიოდი, რადგან ამხნევებდა გამუდმებული მტკიცებითი კილო, უარყოფითი გამოთქმების უგულებელყოფა, ხაზგასმული თანხმობა. ერთგვარი თავდაჭერილობა იყო საჭირო, რომ თავი შეეკავებინა დავისგან, მიუხედავად ძლიერი ცდუნებისა. უსაზღვროდ სიამოვნებდა, რომ საჭირო აღარ იყო კამათი, კრიტიკა და თვით პროტესტის გამოთქმაც კი, თუმცა, ამისთვის ინტელექტის, ცნობიერების ერთგვარი გარდაქმნა მოუხდა - მოუხდა, შეეკავებინა კამათისადმი ბუნებრივი მიდრეკილება, არ წარმოეთქვა: „მეორე მხრივ...", ან „მაგრამ, ხომ სიმართლეა, რომ...", ან „როგორ შეგიძლიათ, რომ...". „სუნთქვა შეიკავეთ" - ასეთი იყო იმ ეპოქის დევიზი. „უგვანი სიტყვები თქვენთვის შეინახეთ". დროთა განმავლობაში ბერიკაცს უკვე სიამოვნებას ანიჭებდა დათანხმება, „დიახ"-ის თქმა, „არას" ფარული დათრგუნვა.

ყოველივე ეს საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა. დღეს ბერიკაცი, რომელიც ასაკმა და სევდამ დააბერა, კვლავ „შადრევნის კაფეში" ზის, მაგრამ თავს მშვიდად გრძნობს და აღარ ეშინია, რომ მისი ტუჩებიდან დაეიწყებული სიტყვების ნაკადი ამოსკდება. მოკამათეებს ისე აკვირდება, თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს ტელევიზორში  საპნის ოპერას", ან ბრძოლის სცენას, ან კიდევ - პროფესიონალურ ფეხბურთს უყურებდეს.

ჩვენი ენა ჯერ კიდევ იქაა, მოედნის კუთხეში, ბერიკაცის სკამისგან ძალზე შორს. ახლა მას ხშირად გარს ახვევიან მეგობარი ჭაბუკები, და მეგობრები ყოველთვის მასზე ბევრად ახალგაზრდები არიან - ფიზიკურად ლამაზი, თითქმის უხამსობამდე ლამაზი ჭაბუკები. ეს ბაირონისებრი არსებები სულით და ხორცით ეთაყვანებიან ენას, ან, შესაძლოა (ბერიკაცი ასე ფიქრობს), ენა ამ ახალგაზრდებს მასზე ძალადობის უფლებას აძლევს, როდესაც ენა, მათთან ერთად, დროებით ტოვებს ხოლმე მოედანს. სულ ახალ-ახალ მეგობრებს იძენს. შესაძლოა, ჩვენი ენა ფეხმსუბუქია. შესაძლოა, ის თავისუფალი ყოფაქცევისაა. როდესაც ბერიკაცი ამას ფიქრობს, ეჩვენება, რომ ეშმაკი ჩასჩურჩულებს ყურებში. მაგრამ ენასთან დაკავშირებით ეს, მგონი, არავის უვარაუდია, ან, თუ ეშმაკმა სხვა ყურებსაც ჩასჩურჩულა, ამ ყურების პატრონები არაფერს ფიქრობენ ამ საკითხზე და მხოლოდ ქედმაღლურად იჩეჩენ მხრებს. როგორიც უნდა, ისეთი იყოს! როგორც უნდა, ისე მოიქცეს! ამჟამად ეს საერთო დამოკიდებულებაა. ბერიკაცი ხედავს, რომ უმცირესობაშია. და დუმს.

ამ წლების განმავლობაში ბერიკაცი და ჩვენი ენა არც კი მისალმებიან ერთმანეთს. ისინი ერთმანეთის პირდაპირ სხედან მოედანზე: ბერიკაცი თავის ხის სკამზე. ენა კი - პატარა რბილ ტაბურეტზე. ეს ტაბურეტი ენას ერთ-ერთმა უხამსობამდე ლამაზმა ახალგაზრდა კაცმა აჩუქა, რომელიც ენამ მალევე აითვალწუნა და დაივიწყა. ამ კაცისგან არაფერი დარჩა, ტაბურეტის გარდა. ახლახან ბერიკაცს მოეჩვენა, რომ ჩვენმა ენამ მას ერთხელ თუ ორჯერ თავი დაუქნია. თუმცა, შესაძლოა, უბრალოდ, მზის ათინათები დასთამაშებდა სახეზე.

მოედანი დახვეწილი არქიტექტურის საუცხოო ნიმუშია. შესანიშნავია ბაროკოს სტილის ძველი ეკლესიის ფასადი და ბევრი - სხვადასხვაგვარი დანიშნულების - შენობა, რომელთა პირველ სართულებზე მომცრო მაღაზიებია, ზედა სართულებზე კი - ბინები. ესაა ოქროსფერი ქვისგან აშენებული ლამაზი ნაგებობები, შინდისფერი დარაბებითა და წითელი კრამიტის სახურავებით. ზოგიერთი მათგანი უკვე გაცრეცილია, მაგრამ მაინც დარბაისლურად, მიმზიდველად გამოიყურება და მოედნის გარდასულ დიდებულებას გვახსენებს. ასე გამოიყურებიან გალატაკებული დიდგვაროვნები, რომლებიც მთელ თავის ქონებას გაფლანგავენ. სიმართლე რომ ვთქვათ, მოედანი ისე გამოიყურება, თითქოს უფრო დახვეწილი გარემოს ნაწილი იყოს, ვიდრე - ამ პატარა ქალაქისა. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ის აქ მთლიანად გადმოიტანეს ჩვენი ერთ-ერთი მშვენიერი ქალაქიდან, შესაძლოა, დედაქალაქიდანაც კი, რომელიც ჩვენგან სულ რაღაც თხუთმეტი კილომეტრითაა დაშორებული.

ეკლესიის პირდაპირ, ქვაფენილიანი ვიწრო ქუჩის ორივე მხარეს, დაინახავთ ორ ნაგებობას, რომლებსაც - იტალიაში რომ ვიყოთ - ლოჯიებს ვუწოდებდით. ესაა გადახურული ღია გალერეები, კოხტა სვეტებითა და თაღებით. მათში მუნიციპალიტეტმა განათავსა მარმარილოს ქანდაკებები, რომლებიც სხვაგან მდგარი, გაცილებით უფრო ცნობილი ქანდაკებების ასლებია და ბაძავენ მათ, იმდენად, რამდენადაც ეს ხელეწიფებათ მათ შემქმნელებს. ჩვენ ვტკბებით ამ ასლებით ისე, თითქოს ისინი ორიგინალები იყვნენ. უნიჭოთათვის მიბაძვა სავსებით მისაღები რამაა. ამ ასლებით ჩვენ მოწიწებას გამოვხატავთ შედევრების მიმართ, რომელთაც ვერასოდეს ვიხილავთ. ზოგიერთი ჩვენგანი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ორიგინალები არ არსებობენ და არც არასოდეს არსებობდნენ, რომ ეს სავარაუდო ასლები სინამდვილეში ხელოვნების დიადი ქმნილებებია და ამის გამო მოწიწებას იმსახურებენ. ეს ერთ-ერთი პოპულარული თემაა, რომლის შესახებაც მოედანზე მსჯელობენ. ის გადაუწყვეტელი რჩება.

(განვმარტავთ: ჩვენ იტალიაში როდი ვიმყოფებით. იტალიაში რომ ვიყოთ, ჩვენი ენა, რომელიც იქ ზის, იტალიური იქნებოდა და ანა მანიანის ან სოფი ლორენს დაემსგავსებოდა. მაგრამ ჩვენი ენა მათ არ ჰგავს, რადგან (ვიმეორებ) ის იტალიური არაა, იტალიური კი - ის ენა არაა, რომელზეც ვმეტყველებთ. ეს ჩვენი ენაა, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, და ჩვენ აქ ვიმყოფებით და არა - იტალიაში. ბერიკაცს, რომელიც მოედანზე ზის, ბერეტი ახურავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ბერიკაცი ფრანგია. ის ერთ-ერთი ჩვენგანია). ახლა, როდესაც მას აღარ ენატრება  დიახ"-ის პერიოდის სიჩუმე და მყუდროება, ბერიკაცი უკვე ტკბება თავისი თანამოქალაქეების ჭირვეულობით. თავდაჯერება და ამპარტავნება, რომელთა კარნახითაც მოკარნახეები ხელებს იქნევენ და თავისას იჟინებენ, ბერიკაცს კომედიის fons et origo-დ მიაჩნია. გაკაპასებული ადამიანები მოედანზე იცავენ თავიანთ თვალსაზრისებს, რომლებიც აშკარად მცდარია - მზე, ქალბატონო, დასავლეთიდან არ ამოდის, და, მთვარე გორგონცოლას ყველისგან არაა დამზადებული, ბატონო. ზოგიერთი მათგანი ამტკიცებს, რომ ცაზე პაპიე-მაშესგან ოსტატურად დამზადებული საგნებია მიჭედებული და რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა პლანეტების, ვარსკვლავებისა და თანამგზავრების სამგანზომილებიან სამყაროში, არამედ თეფშზე, რომლის ვეება, დახვრეტილი, თუშფალანგის მსგავსი ხუფის ნახვრეტებიდან ღამით კაშკაშა შუქი იფრქვევა და მას შეცდომით ვარსკვლავთა შუქს უწოდებენ. აღგზნებული ადამიანები მოედანზე უამრავ ასეთ სისულელეს გაჰყვირიან. ბერიკაცი ფიქრობს, რომ ამაში, ბოლოს და ბოლოს, ცუდი არაფერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხარედ კამათობენ იმაზეც, თუ რა ზიანი მოაქვს მცდარ წარმოდგენებს აზროვნებისთვის, საზოგადოებისთვის, პოლიტიკისთვის? იქნებ, ისინი, უბრალოდ, შეცდომებია, რომლებიც უნდა შევიწყნაროთ, როგორც განუვითარებელი გონების პროდუქტები? ის ფაქტი, რომ ყველას, ვინც საკითხის განხილვაში მონაწილეობს, ტვინი სისულელით აქვს გამოტენილი, ხელს არ უწყობს ნაყოფიერ დისკუსიას. ბერიკაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყოველი დღის ბოლოს, როდესაც ღვინითა და სხვადასხვაგვარი წვრილმანებით გაბრუებული ადამიანები შინ მიდიან, მათ ნაკლები იციან, ვიდრე დილით იცოდნენ. და მაინც - ეუბნება ის საკუთარ თავს - განთავისუფლებული ენა ჩინებული რამაა. ჩვენი ენა, რომელიც თავის რბილ სკამზე ზის მოედნის შორეულ კუთხეში, და მის ფეხებთან ღვთაებრივად ლამაზი ჭაბუკები სხედან, ნამდვილად უფრო ბედნიერია, ვიდრე  დიახ"-ის უშფოთველ დღეებში იყო.

მაგრამ დგება დღე, როდესაც მავანი მოკამათე წყვილი - თურმე, ეს ცოლ-ქმარი ოცდაათი წელია, ერთად ცხოვრობს - მიდის ბერიკაცთან, რომელიც ხის სკამზე ზის. და ერთხმად ყვირის:  აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით! მიიღე გადაწყვეტილება ჩვენ მაგიერ!" თურმე, მათ ვერ გადაუწყვეტიათ უმნიშვნელო საკითხი: სად უნდა გაემგზავრონ დასასვენებლად ზაფხულში? მზით გაცისკროვნებულ კუნძულ A-ზე, რომელიც არც ისე შორსაა, თუ შორეულ ქვეყანა B-ში, რაც უფრო გაბედული, მაგრამ ნაკლებად უხიფათო ნაბიჯი იქნება.  ვერ შევთანხმდით", - ერთხმად ამბობენ ისინი,-  ამიტომ ისე მოვიქცევით, როგორც გვირჩევ".

ძალიან კარგი", - ამბობს ბერიკაცი, რომელიც ამ ორი სიტყვით უგულებელყოფს მთელი თავისი ცხოვრების ნეიტრალიტეტს. და ხის პატარა სკამი, რომელზე ბერიკაცმა ათწლეულები გაატარა ისე, რომ მხოლოდ უბრალო დამკვირვებელი იყო, გადაიქცევა - დიახ, დიახ - მსაჯულის სავარძლად.  ძალიან კარგი" - იმეორებს ის.  ამ მღელვარე და შფოთიან ეპოქაში ჯობია დაისვენოთ და გაირუჯოთ მზით გაცისკროვნებულ კუნძულ A -ზე".

ცოლი და ქმარი უძრავად დგანან. შემდეგ ერთმანეთს უყურებენ.  რა სისულელეა!" ყვირიან ისინი ერთხმად. —  შფოთიანი, მღელვარე ცხოვრება გვირჩევნია!". და იმ შორეულ B ქვეყანაში მიემგზავრებიან. რამდენიმე კვირის შემდეგ კი ბრუნდებიან და ბერიკაცს მადლობას უხდიან მისი რჩევისთვის. მათ ნახეს ჭაობების მკვიდრი უზარმაზარი ნიანგები, რომლებიც წელიწადში რამდენიმე ბავშვს იტაცებენ და ნთქავენ, და არნახული სიმაღლის ჟირაფები, და გიგანტური აქსოლოტლები. მათ გაიგონეს ენები, რომლებიც ადრე არ გაეგონათ, და დაესწრნენ ყველაზე შთამბეჭდავ სანახაობებს - ზვავს, რომელმაც მთელი სოფელი იმსხვერპლა, და სამხედრო გადატრიალებას, რომლის შედეგად ქუჩები მკვდრებით მოიფინა. რამდენიმე დღის განმავლობაში, საფარიზე, ისინი ბეჰემოთებად გადაიქცნენ, მაგრამ მალევე გამოჯანსაღდნენ. თურმე წინასწარ უნდა გასცნობოდნენ მოგზაურთათვის განკუთვნილ ინსტრუქციებს და გაეკეთებინათ აცრები ადგილობრივი კოღოებისგან თავის დასაცავად. ეს მწერები ცნობილი არიან მრავალრიცხოვანი ვირულენტური შტამებით. ისინი ამბობენ:  მერე რა მოხდა, გამოცდილება შევიძინეთ. ძალიან კარგია! შესანიშნავია! ტალახში გორაობას კი კაცი ადვილად ეჩვევა!" მოკლედ, ეს იყო საუკეთესო დასვენება მათ ცხოვრებაში.

გმადლობთ, გმადლობთ!", ყვირიან ისინი და მათი მადლიერება გულწრფელია. ბერიკაცი თავშეკავებით პასუხობს, რომ მან სხვა ადგილას გამგზავრება ურჩია - იქ, სადაც დროს უშფოთველად გაატარებდნენ. მოგზაურები მომხიბვლელად იცინიან:  ჩვენ ყოველთვის რჩევების საპირისპიროდ ვიქცევით! ყველას ვეკითხებით, რას ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხის შესახებ, შემდეგ კი საპირისპიროდ ვიქცევით. თუ გსურთ, ახირებულ ადამიანებად მიგვიჩნიეთ! რას იზამ, ასეთები ვართ და ამიტომაც ოცდაათი წელია, ბედნიერად ვცხოვრობთ!"

მოედანზე ამბობენ, რომ  შადრევნის კაფეში" ხის სკამზე მჯდომი ბერიკაცი სოლომონ მეფესავით ბრძენია. ხალხის ბრბო გარს ეხვევა ბერიკაცს და სთხოვს, რომ განსაჯოს ისინი. მთელი თავისი ხანგრძლივი, უშფოთველი ცხოვრების განმავლობაში ბერიკაცი ასეთი პოპულარული არ ყოფილა, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს. ბერიკაცი თანხმდება.

ის მოითხოვს, რომ განსასჯელები რიგში ჩადგნენ და ამის შემდეგ ყოველდღე, ოთხიდან ექვს საათამდე (როდესაც სიცხე იკლებს) განაჩენები გამოაქვს. ის შეუვალი კილოთი აცხადებს, რომ დედამიწა ბრტყელი არაა, რომ იმიგრანტების უმრავლესობა სექსუალური ურჩხულები არ არიან, ისევე, როგორც თქვენ ან მე, და რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს ისევე, როგორც - სამოთხე და ჯოჯოხეთი.

ბერიკაცის სახელი უფრო შორსაც უვარდება. მეზობელ ქალაქში იგებენ, რომ ამ პატარა მოედანზე უდიდესი ბრძენია, რომ მას შეუძლია გადაჭრას თქვენი ყველა პრობლემა. ბრბო მოედანზე ყოველდღე სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება. წესრიგის შენარჩუნებაზე პოლიცია ზრუნავს. მოედანზე უამრავ სატელევიზიო კამერას განათავსებენ. ბერიკაცი ახანგრძლივებს დროს ნაშუადღევის 7 საათამდე, რათა უფრო მეტი ადამიანი განსაჯოს. და ასე ხდება ყოველდღე (კვირადღის გარდა). შვიდი საათის შემდეგ ის წყვეტს თავის საქმიანობას და კითხვებს აღარ პასუხობს. ამბობს, რომ ერთი საათი სიჩუმესა და მარტოო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში უნდა გაატაროს , ლუდითა და სენდვიჩით. ზუსტად რვა საათზე შადრევნის კაფედან" გამოდის და გაურკვეველი მიმართულებით მიეშურება.

ამბობენ, რომ მთავრობისა და ოპოზიციის ლიდერები თათბირობენ, ხომ არ ეწვიონ ბერიკაცს, რომ მათ შორის არსებული უთანხმოების მოგვარება შესთავაზონ. თუმცა, ამ ლიდერებს (განურჩევლად იმისა, მემარცხენეები არიან თუ მემარჯვენეები) უჭირთ იმის წარმოდგენა, რომ ისინი შეიძლება ცდებოდნენ. და პოლიტიკოსები პატარა ქალაქში არ ჩამოდიან.

ბერიკაცი მოედანზე რაღაც სრულად უჩვეულოს განიცდის: სახელსა და დიდებას. იმ ბავშვებსა და მოზრდილებს შორის, რომლებიც მის ფეხებთან, პატარა ხის სკამთან სხედან და რომელთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება, ნაცნობ სახეებს ამჩნევს და იხსენებს, რომ ზოგიერთი მათგანი იმ ოქროს ახალგაზრდების" წარმომადგენელია, რომლებიც ბოლო ხანებამდე ჩვენი ენის ყველაზე ერთგული მოწაფეები იყვნენ. ჩვენი ენა მოულოდნელად სრულიად მარტოა თავის კუთხეში, მაშინ, როდესაც მისი მრევლი შადრევნის კაფეში" ბერიკაცის მახლობლად შეგროვილა. ჩვენი ენა უკმაყოფილოა შექმნილი ვითარებით და მასთან დარჩენილ ორ ერთგულ მოწაფეს აფრთხილებს, რომ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება. მოწაფეები მოწიწებით უსმენენ, მაგრამ ჩვენი ენის ხმაში შური იგრძნობა. დროება შეიცვალა. ადამიანებს უფრო ნაკლებად აინტერესებთ ჩვენი ლამაზი და რთული ენა, ვიდრე - გულუბრყვილო შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა - არასწორი. პოეზიას ისე აღარ ვცემთ პატივს, როგორც - უწინ. თავს ვარიდებთ ორაზროვნებას და ეჭვებს. შეზღუდულ მორალს ვანიჭებთ უპირატესობას. ბერიკაცი ცერს მაღლა სწევს თუ დაბლა? ის ჩვენს მსაჯულად იქცა, მისი ცერი კი - ეროვნული ინტერესის საგნად. ახლა ჩვენ ყველანი გლადიატორები გახლავართ ცერის კოლიზეუმში.

ჩვენს ენას არ აინტერესებს ბერიკაცის ცერის მოძრაობით გამოტანილი განაჩენი. მისი ზრუნვის საგანია მხოლოდ რთული და მშვენიერი სიტყვები, დახვეწილი ფორმა, სიტყვების უთქმელი ქვეტექსტი და მათი მნიშვნელობების გაშუქება, რაც მხოლოდ მისი (ენის) უდიდეს მოწაფეებს ხელეწიფებათ. ჩვენი ენის აზრით, ბერიკაცის მარტივი მეტყველება უკადრისია, და კიდევ უფრო უკადრისია ბერიკაცის სიამოვნება იმის გამო, რომ მას ანდობენ იმის განსჯას, თუ რა არის ჯეროვანი და რა - არა. ბერიკაცი ხშირად დასცინის თავდაჯერებას, ამპარტავნებას, ბრიყვთა სიჯიუტეს და გზააბნეულთა გაბედულ განცხადებებს. ახლა ის ყველას უნერგავს თავდაჯერებას, რომლისთვისაც უცხოა ეჭვი. და ბერიკაცი ყოველდღე სულ უფრო ამპარტავანი ხდება.

დიდი ხანია, საზღვრების [illegible] ნო თემად იქცა. ჩვენს ბოლოდროინდელ ისტო- რიაში უმეცარ უცხოტომელთა მიერ საზღვრე- ბის გაყვანამ ბევრი გულისტკივილი და ადამია- ნური მსხვერპლი გამოიწვია. ჩვენს ცნობიერება- ში სიტყვები საზღვრის ხაზი" და უმეცარი" გა- ნუყოფლად უკავშირდება ერთმანეთს. იმ იშვია- შემთხვევებში, როდესაც ვცდილობდით გადაგ- ვეკვეთა ერთ-ერთი (მცირერიცხოვანთაგან) სა- საზღვრო-გამშვები პუნქტი, რომლებიც ახლა არ- სებობენ ჩვენს სისხლით მორწყულ საზღვარზე, უცხოტომელები ან გვეწინააღმდეგებოდნენ, ან- თუკი საზღვარზე გაგვატარებდნენ - ყალბ ვა- ლუტას გვთავაზობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ყალბ ვალუტას ჭეშმარიტისგან ვერ განვასხვა- ვებდით. ჩვენს ცნობიერებაში საზღვარი" და ყალბი ვალუტა" მყარად უკავშირდება ერთმა- ნეთს.

რა თქმა უნდა, იმ საზღვრების გარდა, რომ- ლებიც მეზობლებს ჩვენს მტრებად აქცევს, მრა- ვალი უხილავი საზღვარი არსებობს. ისინი ერ- თმანეთისგან მიჯნავს იმას, რაც ჩვენთვის, რო- გორც ცალკეული პიროვნებებისთვის ან როგორც ჯგუფისთვის, მისაღებია და იმას, რაც ამ საზღვრის მიღმა, მიუღებლის სფეროში ძევს. ამ საზღვარზე საშიში ნაღმებია განთავსებული და ჩვენი უმრავლესობა ამჯობინებს, არ მიუახლოვ- დეს მას. ასევე, არსებობს უხილავი საზღვარი მოქმედებასა და დაკვირვებას შორის. არიან ისი- ნი, ვინც მოქმედებს და ისინი, ვინც აკვირდება მ მოქმედებას. აქ მაყურებლები სხედან; იქ სცენაა მეოთხე კედელი - ძალზე მნიშვნელოვანი რამაა

ბერიკაცი უწინ ტკბებოდა ხოლმე სპექტაკ- ლებით, მაგრამ არასოდეს მოსვლია აზრად, სცე- ნაზე ასულიყო. აოცებდა და სიამოვნებას ანი- ჭებდა ის მომენტები ავანგარდისტულ დადგმებ- ში, როდესაც მსახიობები მაყურებელთა დარბაზ- ში ჩამოდიოდნენ. დიდი ხნის წინ, ახალგაზრდო- ბისას, მან ნახა სპექტაკლი, რომელშიც ერთ-ერთ მსახიობს მაყურებლად მოჰქონდა თავი და მთე- ლი პირველი მოქმედების განმავლობაში პირველ რიგში იჯდა. ანტრაქტის დროს სცენაზე ტელე- ფონი აწკრიალდა. დიდხანს წკრიალებდა. ბოლო მსახიობმა მოთმინება დაკარგა და ყურმილის ასა- ღებად სცენაზე ავიდა (მისი ცოლი რეკავდა). ამა- სობაში მეორე მოქმედება დაიწყო და ის პიესის ხაფანგში გაება. ეს სანახაობა უჩვეულო, მაგრამ სასიამოვნო გახლდათ. ბერიკაცს არასოდეს უფიქ- რია, რომ ოდესმე მოუხდებოდა ტელეფონით სა- უბარი ანტრაქტის დროს. ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა პიესის ხაფანგში გაბმულ მა- ყურებლად ქცეულიყო.

მაგრამ ახლა მან გადაკვეთა ეს საზღვარი და სიამოვნებით ასრულებს თავის როლს. საზღვრე- ბის როგორც ასეთების საწინააღმდეგო არაფე- რი აქვს. პირიქით, თავის მოვალეობად მიაჩნ- მართებული ქცევის ახალი წესების განსაზღვრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუღებელი თვალსაზრისების უგულებელყოფა და მათი აკრძალვა. აღარ სურს, უბრალოდ, „დიახ" ან „არა" უპასუხოს კითხვებზე და ცდილობს გაარკვიოს, მოკამათეთაგან რომელი მხარეა უფრო ზნეობრივი და უპირატესობა მიანიჭოს იმათ, ვინც უფრო ქველ ცხოვრებას ეწევა. ხშირად ის უფრო მეტ კეთილგანწყობას იჩენს მოსარჩელის მიმართ, თუნდაც ის დამნაშავე იყოს, უბრალოდ, იმის გამო, რომ მისი მოპასუხე უფრო ნაკლებად ზნეობრივ ცხოვრებას ეწევა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბერიკაცი განსჯის არა მხოლოდ დანაშაულსა და უდანაშაულობას, არამედ - ზნეობრიობასაც. ეს ზოგიერთ ჩვენგანს აწუხებს, მაგრამ ბერიკაცის პოპულარობას ითვალისწინებენ და დუმან.

ჩვენი ენა, რომელიც კუთხეშია მიყუჟული, აღშფოთებულია. მისი აზრით, ბერიკაცის საქმიანობის შედეგად შეიძლება დამკვიდრდეს „დიახ"-ის პერიოდის ახალი ვარიანტი, როდესაც კიდევ უფრო მეტი სიტყვა აიკრძალება. „ეს საზღვრული მართლმსაჯულებაა", - გვაფრთხილებს ჩვენი ენა. გაიხსენეთ ნალმები. გაფრთხილდით.

ენა, აგრეთვე, ამბობს, რომ აწუხებს საკუთარი მდგომარეობა. ის ყოველთვის მხნე, მძლავრი, ბრწყინვალე, საუკეთესო ენა იყო, მაგრამ ბოლო ხანებში თავს შეუძლოდ გრძნობს. ზოგჯერ სიცხეც აქვს. სხვა დღეებში ტკივილებით იტანჯება. იმედოვნებს, რომ სერიოზული არაფერი სჭირს. შესაძლოა, ეს ყველაფერი მისი ხანდაზმულობის ბრალია, რადგან - თუმცა მას შეუძლია ახალგაზრდულად და ლამაზად გამოიყურებოდეს, და მადლობას გვიხდის ქათინაურების გამო მის გარეგნობასთან დაკავშირებით - ის, მართლაც, ძალზე ძველი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მდიდარი ენაა, თუმცა ამჯობინებს სააშკარაოზე არ გამოფინოს თავისი სიმდიდრე, არ მოითხოვს სამეფო ტახტს და კმაყოფილია თავისი პატარა რბილი ტაბურეტით. ამასთან, ის ხომ ჩვენი ენაა და ამიტომ თავს მოვალედ მიიჩნევს, შეგვატყობინოს თავისი მდგომარეობის შესახებ. ისიც კი შესაძლებელია - თუმცა, ენას უჭირს ამის აღიარება საკუთარი თავის წინაშეც კი - რომ ის მოკვდეს.

არავინ უსმენს.

არავინ წუხს.

ბოლოს ენა ფეხზე დგება - ისე, როგორც ერთხელ წამოდგა - და კივის.

ის უფრო მაღალი ხმით კივის, ვიდრე ადრე კიოდა. მისი ხმა სულ უფრო და უფრო მაღალი ხდება, ისე, რომ ადამიანთა ყურთასმენა მას ვეღარ აღიქვამს. იმავ წამს მოედანზე გამომავალი შენობების ყველა ფანჯარა იმსხვრევა, მინის წვიმა ცვივა და ხალხმრავალ მოედანზე ბევრი ადამიანი შავდება, რაც საპასუხო ყვირილს იწვევს. ეს ყვირილი უფრო დაბალი ტონისაა, ვიდრე ჩვენი ენის კივილი, რომელიც უდიდეს ტკივილს გამოხატავს. და ის არაფერს აზიანებს.

ჩვენი ენა ნელში გამართული დგას, პირი დაღია, მაგრამ არ გვესმის მისი კივილი, რომელიც ისეთ ძალას აღწევს, რომ სკდება სახურავების წითელი კრამიტები და თვით ქვებიც, რომლებისგანაც შენობებია აგებული. ერთ-ერთ ლოჯიაში ტროელი ქურუმის, ლაოკოონის ქანდაკება, რომელიც ვატიკანში დაცული ქანდაკების კარგად შესრულებული ასლია, ასი ათას ნაწილად იშლება.

დაინგრა თუ არა სხვადასხვაგვარი დანიშნულების მქონე ოქროსფერი შენობები და ლოჯიები? განადგურდა თუ არა მოედანი?

არა, ეს არ მოხდა. ჩვენი მრავალრიცხოვანი ნაკლოვანებების მიუხედავად, მელოდრამის პერსონაჟები არ გახლავართ. დრამას ვამჯობინებთ.

ამდენად, მოედანი გადარჩა, მაგრამ აქა-იქ დასკდა. შენობები სახურავიდან საძირკვლამდე დაიბზარა. კრამიტი დაცვივდა. შინდისფერი დარაბები დაიბრიცა. ეს მართალია. მოედანი დაზიანებულია. შეიძლება, ჩვენც დაზიანებულნი ვართ.

ამასობაში ჩვენი ენა კვლავ დგას და უხმოდ კივის. „შადრევნის კაფეში" ბერიკაცი გრძნობს, რომ მის სიტყვებს რაღაც უცნაური ემართება. ისინი უკან მიძვრებიან მის პირში და ცვივიან ხახაში, რათა საჭმლის მომნელებელ სხვადასხვა სითხეში განზავდნენ. ბრბო იცდის, რომ გაიგონოს, რას იტყვის ბერიკაცი. მაგრამ ის სიტყვებს ვერ პოულობს.

მოედანზე შეჭუჩული ადამიანები უკმაყოფილონი არიან. სურთ, რომ ბერიკაცმა ისინი განსაჯოს და პირს აღებენ, რათა გააპროტესტონ თავიანთი მსაჯულის უმოქმედობა. მაგრამ პროტესტის გამომხატველი სიტყვები აღარ არსებობს. ადამიანები უყურებენ კუთხეს, რომელიც ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში ეკავა ჩვენს ენას - ჩვენს ენას, რომელსაც ბოლო ხანებში ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, და ხედავენ, რომ ჩვენი ენა ქვედატანის კალთებს იკრეფს და მოედნიდან გადის - სამუდამოდ ტოვებს იმ კუთხეს, სადაც იმ დროის განმავლობაში იმყოფებოდა, რომელიც ადამიანების მეხსიერების ხანგრძლივობას აღემატება. თავანეული მიდის, შემდეგ კი უჩინარდება. ენის წასვლის შემდეგ მოედანზე ვერავინ ველარაფერს ამბობს. ადამიანები გამოსცემენ ბგერებს, მაგრამ ეს უაზრო ბგერებია. ბერიკაცი უმწეოდ დგება თავისი ხის სკამიდან. ცალ ხელში ლუდი უკავია, მეორეში კი - სენდვიჩი. ის ხელებს იწვდის ადამიანებისკენ, ისე, თითქოს მათ სენდვიჩს და ლუდს სთავაზობდეს. ადამიანები მას ზურგს აქცევენ და მიდიან. ახლა ის ისეთია, როგორიც ყოველთვის იყო - ერთი ჩვეულებრივი ბერიკაცი.

გაუგებარია, როგორ უნდა მოვიქცეთ. რა დაგვემართება? არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები.

ჩვენი სიტყვები გვღალატობენ.

© The New Yorker

# ამერიკელი პოეტების მცირე ანთოლოგია

*ინგლისურიდან თარგმნა ზაალ ჩხეიძე*

## ედგარ-ლი-მასტერსი

### *მწვერვალი*

სად მივაკვლიო ელმერს და ჰერმანს, ან ბერტსა და ტომს, ანდაც ჩარლის, სად მივაკვლიო.
სად მივაკვლიო იმას უნდილს, იმას მკლავმაგარს, იმას ხუმარას, იმას ლოთს ან იმას ჩხუბისთავს? -
აქ, აქ არიან, ყველანი ერთად მწვერვალზე წვანან.
იმას ცხელებამ მოუღო ბოლო,
ის გამოიწვა, მაღაროში გამოიბუგა,
ის ჩხუბში მოკვდა,
ის - საკანში,
ის კი ხიდიდან გადმოვარდა მუშაობით ქანცგაწყვეტილი, ვერ აუთავდა ცოლ-შვილის რჩენას -
აქ, აქ არიან, სძინავთ, სძინავთ სალათას ძილით, მწვერვალზე წვანან.
სად მივაკვლიო ელას ან ქეითს, მეგის ან ლიზის, ანდაც ედითს, სად მივაკვლიო.
სად მივავლიო იმას გულჩვილს, იმას გულალალს, იმას კისკისას, იმას ამაყს, იმას ბედნიერს? -
აქ, აქ არიან, ყველანი ერთად მწვერვალზე წვანან.
ის თან გადაყვა ნაბიჭვრის შობას,
ის აკძალულმა სიყვარულმა ჩადო მიწაში,
იმას ბორდელში მოუღეს ბოლო, ვიღაც პირუტყვმა დაკლა დანით,
ის სიამაყემ მოინელა, დამსხვერულმა, გაცრუებულმა, გულისწადილის ძებნაში მოკვდა,
იმან იცხოვრა ჯერ ლონდონში, მერე პარიზში,
თავისი წილი სამარე კი ჩვენთან იპოვა, გოგოებმა ჩამოასვენეს, ელამ და მეგიმ და ქეითმაც -
აქ, აქ არიან, სძინავთ, სძინავთ სალათას ძილით, მწვერეალზე წვანან.
სად მივაკვლიო ძია ისააკს ან დეიდა ემილის მაინც,
სად მივაკვლიო ანდაც კინკეიდს - ბებერ ტაუნის, სევინ ჰუტონს,
სად მივაკვლიო მაიორ ვოლკერს - როგორ უყვარდა დარბაისლებთან დინჯი განბჭობა რევოლუციის? -
აქ, აქ არიან, ყველანი ერთად მწვერვალზე წვანან.
აქ დაუმარხავთ თვალცრემლიანებს ომში მკვდარი ვაჟიშვილები,
ქალიშვილებიც, ცხოვრებისაგან გათელილნი,
მათი ობლებიც. -
აქ, აქ არიან, სძინავთ, სძინავთ სალათას ძილით, მწვერვალზე წვანან.
სად მივაკვლიო, მაინც სად არის ნეტავ ჯოუნსი, ჩვენი ბებერი მევიოლინე,
საწუთისოფლოდ გაჩენილი,
იმ ოთხმოცდაათ წელიწადში დღეცისმარედ დაუდეგარი,
შიშველი მკერდით რომ მიარღვევდა ქარბუქს და თოვლჭყაპს,
მსმელი, დამრტყმელი, თავქეიფა, არც ცოლი რომ არ გახსენებია არასოდეს, არც ნათესავი,
არც რომ ოქროსთვის გაუკლავს თავი, არც სამოთხისთვის?

ჰეი, აქ არის, ზის და ყბედობს,
ძველ დროს იხსენებს, დიდი ხნის წინათ ჩამქრალს და ჩავლილს -
რა გემო ჰქონდა ოდესღაც სადღაც მოხრაკულ თევზებს,
როგორ მიქროდნენ კლერის წარაფთან გამართულ დოღში ბედაურები,
რა თქვა სპრინგფილდში მაშინ ლინკოლნმა.

## ამანდა ბარკერი

უკვე ფეხმძიმე მიმილო ჰენრიმ,
კარგად იცოდა, ვერ გავაჩენდი - გავაჩენდი და გადავყვებოდი მშობიარობას.
სწორედ მაგიტომ
ყმაწვილმა ქალმა გადავიარე ალაყაფები არარაობის.
ო, მოგზაურო, ჩემთან სოფელში, სადაც ვცხოვრობდი,
ასე სჯეროდათ, უყვარსო ჰენრის,
როგორც ქმრებს უყვართ ცოლები ისე,
მაგრამ მისმინე,
მე, მტვრადქცეული, გეუბნები,
რომ ვძულდი მაგას და მაგიტომაც მომიღო ბოლო
და სიძულვილი დაიპურა ჩემი სიკვდილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### *ოლი მაკგი*

არ შეგხვედრიათ სოფლის შარას ადევნებული
კაცი მწუხარე და მოტეხილი, თვალდარდიანი?
ჩემი ქმარია. ეს მან წარმტაცა სილამაზე, ყმაწვილქალობა;
პოდა, დამჭკნარი, კან და კბილებჩაყვითლებული,
დამდაბლებული და სამარცხვინოდ ქედნახრილი
მიმაყვანა სამარის კართან.
როგორ გგონიათ, გულს რა ულრღნის? ახლა მაინც რა არ ასვენებს?
სახება ჩემი - რა ვიყავი და რად მაქცია.
სწორედ ეგ სახე ეზიდება ჩემკენ, აქეთკენ, საფლავისაკენ.
სიკვდილის მერეც რა ტკბილია შურისძიება!

### *პოდ პუტი*

პო, მეც აქა ვარ, ბებერ ბილ პირსოლს ვუწევარ გვერდით,
ინდიელებთან ვაჭრობით რომ გამდიდრდა, იმას,
იმას, მერე რომ გაკოტრდა ვითომ
და კიდევ მეტი მოიხვეჭა მაგ გაკოტრებით.
რაც თავი მახსოვს, სულ წელებზე ვიდგამდი ფეხებს და ლუკმა პური მენატრებოდა.
ვუცქერდი, როგორ ისქელებდნენ ჯიბეებს სხვები, ბებერი ბილისნაირები.
პოდა, ერთ ღამით პროკურორის წარაფთან დავხვდი გამვლელს ვილაცას,
გავძარცვავ-მეთქი. არ შემომაკვდა?!
გამასამართლეს, ჩამომახრჩეს.
ეგ იყო და ეგ, გავუქონელდი.
ახლა გვერდიგვერდ განვისვენებთ მეცა და ბილიც,
გაკოტრებულნი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად.

### *ნოულტ ჰოჰეიმერი*

მისიონერთა ქედთან მომკლეს, ეგრევე მომკლეს, სროლა რომ ატყდა
და როცა გული გამიპო ტყვიამ,
ვინატრე, ნეტავ, არ მომეცვალა სახლიდან ფეხი,
თუ დამიჭერდნენ, დავეჭირე, ღირსიც ვიყავი,
მე არ მოვპარე კარლ ტრენარის მისი ტახები?
სად გამოვრბოდი, რა მინდოდა, რა ჩემი საქმე იყო ჯარი?
ათას წილად სჯობს ციხეში ჯდომა აქ წოლას ახლა.
თავზე ფრთოსანი ძეგლი მადგას მარმარილოსი,
პიედესტალზე კი ნაუწერიათ - Pro Patria-ო.
ნეტა რას ნიშნავს?

## კარლ სენდბერგი

### *მეძველმანე*

გმადლობ, უფალო, სიკვდილისათვის,
რომ შეამჩნიე, რომ გაუჩინე საქმე მასაც
და ჩვენი თავი ჩააბარე, სიცოცხლისგან დაქანცულების.
ხომ ხდება ხოლმე, მობერდება როცა საათი,
მოუცვდებიან ჭანჭიკები, გორგოლაჭები,
ის კი წიკწიკებს კვლავაც ჯიუტად და ფეხათრევით მიყვება აწმყოს.
მომსვლელ-წამსვლელნი გახედავენ საათს ღიმილით, გაიხუმრებენ,
რის მაქნისია, გამოშტერდაო.
და სწორედ მაშინ, მადლიერების რაგვარი გრძნობით,
ევსება გული საათს, როდესაც
შემოაყენებს მეძველმანე დანჯღრეულ ფურგონს,
შემოვა შინ და შემოხვევს მკლავებს, ჩაუჩურჩულებს:
„აქ აღარ არის შენი ადგილი,
წამოდი ჩემთან“.
მადლიერების რაგვარი გრძნობით ევსება გული საათს, როდესაც...
რა შეედრება მაშინ ამ ჩურჩულს.
რა შეედრება მეძველმანის მოხვეულ მკლავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### *ღამეული მოძრაობები - ნიუ იორკი*

ღამით, როდესაც ზღვიდან მოსული, მოეჭდობიან ქარები ქალაქს,
მიაყუჩებენ როდესაც ქუჩებს, გამოთანგულებს შუადღის ბუღით.
ღამით, როდესაც ნეონის შუქებს
ექივქივება ჩიტების ურდო,
შუქებს, რომლებიც ღამეულ ცაში აციმციმებენ
ქალაქის სახელს.
ღამით, როდესაც მატარებლები ქალაქისაკენ მოიჩქარიან,
მოიჩქარიან საიდან აღარ, ხალხთან,
რომელიც ითხოვს ლუკმას და ელის წერილებს.
ქალაქი დღის წესს
არ მისდევს მხოლოდ,
ღამითაც ცოცხლობს, სუნთქავს და ფეთქავს.
ცეკვავენ, ვისაც...
მღერიან, ვისაც...
მეზღვაურები, ჯარისკაცები ეძებენ კარზე მიწერილ ნომრებს.
ღამით, როდესაც ზღვიდან მოსული მოეჭდობიან ქარები ქალაქს.

### *ბუფალოები*

წავიდნენ, გაქრნენ ბუფალოები, გადაიხვეწნენ.
ისინიც გაქრნენ, ვისაც უხილავს ბუფალოები,
ლეგიონები ბუფალოების.
ვისაც უხილავს, როგორ დათქერეს უკიდეგანო პრერიები,
როგორ აქციეს მტვრის გრიგალებად სიმწვანე მინის,
როგორ აპობდნენ ვეებერთელა შუბლებით მწუხრებს.
წავიდნენ, გაქრნენ, ვისაც უხილავს.
წავიდნენ, გაქრნენ ბუფალოებიც.

### *ასურნარსიფალ III*

(ნანყვეტი ბაბილონური თიხის ფირფიტიდან, 4 000 წელი ჩვენს ერამდე)

სამი გალავნით მოეზღუდათ ქალაქი ტელა, როცა მივედ და შემოვადექი,
და მთელ იმედებს ამ გალავნებზე ამყარებდნენ იქაურები,
ამიტომ არცვინ გამომეგება, არ მომეახლა მუხლისჩოქით, თაყვანისცემით.
მეც ავდექი და დავაქციე ყველა კედელი,
სამი ათასი ჯარისკაცი შევყარე სიკვდილს,
წამოვასხი ცხვარი და ძროხა,
რასაც კი მზერა მისწვდა ჩემი, დავინადავლე,
ცეცხლში ჩავნაცრე დიდგვაროვან ტყვეთა რიგები.
ზოგს დავასხიპე ფეხი და მკლავი,
სხვებს ყურები და თითები ჩამოვათალე,
სხვებს წამოვთხარე ორთავე თვალი, წავართვი ჩინი,
წამოვახვავე პირამიდად მკვდრების თავები,
დავყევი ხეებს სათითაოდ, რაც მომრჩა თავი,
ქალაქს გარშემო ყელსაბამად შემოვუკიდე.
და მერე, როცა განვასრულე საქმე საჩემო,
ბევრს აღარაფერს ერქვა უკვე ქალაქი ტელა.

### *ამერიკის რკინიგზა*

ჰანტინგტონს სძინავს, ექვსი ფუტი აქვს მის სახლს სიგრძე.
ჰანტინგტონს სძინავს და ესიზმრება რკინიგზები, მან რომ აშენა და ფლობდა მერე.
ჰანტინგტონს სძინავს და ესიზმრება ათი ათასი კაცისაგან მისთვის ნათქვამი, მისთვის და ერთხმად - „დიახ, სერ!"
ბლითერის სძინავს, ექვსი ფუტი აქვს მის სახლს სიგრძე.
ბლითერის სძინავს და ესიზმრება როგორ აწყობდა რელსებს და შპალებს.
ბლითერის სძინავს და ესიზმრება ჰანტინგტონისათვის მისგან ნათქვამი, მისგან და ერთხმად - „დიახ, სერ!"
იძინეთ მშვიდად, შენც ჰანტინგტონ და შენც ბლითერი,
მაგ ექვსფუტიან მყუდრო სახლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლობე

დასრულდა სახლი ტბის ნაპირას, ახალი სახლი, ქვით ნაშენი, და მუშები ლობეს იწყებენ.
რკინის ძელები, წვერწამახული მარგილები გამოფატრავენ ნებისმიერს, ვინც გაბედავს და წამოეგება.
ლობე? რა ლობე? ლობე კი არა, შედევრია. არ გაიკარებს ახლოს არვის. არ გაიკარებს მაწანწალებს, ბოგანოებს, უსახლკაროებს, ლუკმის მონატრულთ. არ გაიკარებს ახლოს არც ბავშვებს, წამონთებული თვალებით რომ ეძებენ ადგილს თამაშობის გასამართავად.
რკინის ამ ძელებს, ფოლადის ამ წამახულ ხიშტებს, აფხავებულებს,
ვერ შეუპალტებათ ვერაფერი, ვერც ვერავინ გადაევლებათ, გარდა სიკვდილის, წვიმისა და ხვალინდელი დღის.

## ბალახი

შემოალაგეთ, შემოაწყვეთ ერთიმეორეს,
აუსტერლიცთან, ვატერლოოსთან ცხედრები მთებად წამოახვავეთ.
ჩამარხეთ მერე და მე მიმიშვით.
მე ბალახი ვარ.
მოვაბიბინებ.
წამოახვავეთ გეტისბურგთან მთებად ცხედრები,
იპრთან, ვერდენთან წამოახვავეთ.
ჩამარხეთ მერე და მე მიმიშვით.
ორი წლის შემდეგ, ანდა ათის, რა ბედენაა,
აქ მგზავრი ვინმე კონდუქტორს ჰკითხავს:
- რა ადგილია ეს, ბატონო?
სადა ვართ ახლა?
მე ბალახი ვარ.
მიმიშვით-მეთქი.



## ანნა იმროთ

ჰო, აი ეგრე - დაუკრიფეთ გულზე ხელები.
ჰო, აი ეგრე - გაუწვართეთ ფეხებიც ოდნავ.
გამოუძახეთ ოთხთვალას, რომ შინ წაასვენოს.
მან დედამისი დაიტირებს,
დებიც და ძმებიც იქვითინებენ.
რადგანაც ყველამ ჩამოაღწია,
ყველა გოგომ,
ყველამ უვნებლად
- ალმოდებული ფანჯრებიდან ვინც კი ისკუპა.
რადგან იღბალმა მას ერთადერთს აქცია ზურგი.
ჰო, ყველაფერი უფლის ნებაა
და კიდევ ალბათ სახანძრო კიბის უქონლობისა.

## ბილბეა

(ძველი ფირფიტიდან, ბაბილონის გათხრები, ძვ.წ. მე-4 ათასწლეული)

ბილბეა, ბაბილონს ვიყავი შაბათს ღამით
და ვერსად მოვკარი თვალი.
შემოვიარე ძველი ადგილები,
ყველანი ვნახე, გოგოები, ბილბეა ვერა.

სად დამეკარგე? სად ნახვედი?
სად გადაცხოვრდი?
რატომ აღარ მწერ?
დაედარდიანდი, გული ჩამწყდა, დავბრუნდი უკან.

ნეტა როგორ ხარ?
მომწერე რამე.
თავს გაუფრთხილდი.

ბედნიერება
ჩამოვუარე პროფესორებს, სიცოცხლის აზრს რომ ასწავლიან,
ვეხვეწე ყველას,
მითხარით-მეთქი, მაინც რა არის ბედნიერება.
ჩამოვუარე ძლიერებსაც ამასოფლისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ, ვინც უდგას სათავეში ათასთა შრომას.
თავებს მიქნევდნენ, მილიმოდნენ - მოგცლია ერთი, გვასულელებო.
მერე ერთ კვირას, ნაშუადღევს,
ფიქრში გართული მივდევდი როცა ჭადრისწყლის ნაპირს,
თვალი მოვკარი, გამოსულიყვნენ უნგრელები,
ცოლშვილიანად შეფენილიყვნენ ხეების ჩრდილში,
მოედგათ ლუდი, მთელი კასრი,
აკორდეონიც გამოეტანათ.



## ემი ლოუელი

* * *

წაკიდებოდა ალისფერად
ნეკერჩხლის ფოთლებს
ცვარი დილისა,
თუმც იგივ ცვარი ლოტოსის ყვავილს
უმჭვირვალებდა სიკამკამეს
დადენილ ცრემლთა.

### *გაზაფხულის დილა*

ეცვა მოსასხამი
მომიმოქარგული ნეკერჩხლის ფოთლებით,
წითლით და ოქროსფრით.
ორი ორლესულიც ესხა.
მოჰქონდა ლამპარიც იორდასალიმის.
დილით გაღვიძებულს
დამიხვდა ჩრდილილა დაბინდულ ქლიავის
მომდგარი შოჯიზე.

## პატრისია დონეგანი

* * *

ესმის ნეკერჩხალს,
ყიდის კაცი შემწვარ კარტოფილს,
მის ხმაში ნოტი საფსალმუნო,
სასაგალობლო.

### *ინდოეთი*

*1987 წლის ნოემბერი, ვარანასიდან გაიასაკენ*
*(მე-3 კლასის ვაგონი)*

დილის ბურუსი
გაწოლილი ინდურ ველებზე.

მატარებელში ბრმა მათხოვარი,
ბინდისფერი,
მღერის სიმღერას მონადირისას

და აჩხაკუნებს ვერცხლის მონეტებს.
ულარიბესი გლეხკაცები ჯიბეებში იქექებიან.

დალიცლიცებენ
ამომავალი მზის სხივები
ათავთავებულ ოქროსფერ ველებს.

* * *

ვზივარ სარკმელთან.
ვჭამ ფორთოხალს.
შენ მოდიხარ და მაშიშვლებ და
სიტყვის უთქმლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### *საგანგებო გზავნილი*

მინახავს მრავლად სიკვდილის გზაზე ახალშემდგარი,
შესიებული სხეულები განგს რომ მიჰქონდა

და სიგარეტის კვამლით სავსე ბარებიც ვიცი ჩიკაგოსი, ეგეც მინახავს

ჩამიფურცვლია ათასობით - ფოლიანტები ზერებისაგან დაწერილი, გადაწერილი

ზაფხულის ხვატში შევფარებივარ კორეულ ბაზრებს და მიძინია გასაშრობად გამოდებული თევზების გვერდით
        და ზამთრის სუსხშიც მიძინია იმავ ბაზრებში ოთხად მოკეცილს სიცივისაგან

და მიცქერია მთვარისათვის ნისლშიც, წვიმაშიც

დავნაყრებულვარ, პურის ნაფხვენი მილოკია ჩემივ პეშვიდან; ისეც ყოფილა, სულ სათითაოდ მილოკია და
        ვერც ვერაფერს გამოვრჩენილვარ საკუთარ თითებს, დამტვრეულებს, დაკოჟრებულებს

გამომივლია სიცოცხლეები, გამოვქანცულვარ ტალღებში ვნების, ბოროტების და უმეცრებისა

უთვალავგვარად დამიგრიხავს ჩემი სხეული - მოეკაკვულვარ და გავჭიმულვარ, დავგორგლილვარ და
        დამინძრევია, მივბრუნებულ-მოვბრუნებულვარ, მომიჯვამს კიდეც და მივცემივარ სიყვარულსაც,
        დამიჩენია ქვეყნად ბავშვებიც და მიქროლია, როგორც ირემი გადაქუსლავს ხოლმე გზაშარებს,
        გავრინდებულვარ, როგორც რომ ჩხიკვმა იცის ხოლმე გარინდება ხეზე ჯდომისას

მტრის თვალებსაც ვცნობ - ირლანდიელთა, მექსიკელთა, ჩინელთა თვალებს - ჩამიხედავს და სიკვდილისწინა
        წამიც ვიცი

მივფერებივარ ახალშობილთა ვარდისფერ თითებს და გაოცებულს მიცქერია მათი პაწია ფრჩხილებისათვის,
        სიკვდილშეყრილის ხელიც მჭერია

თავად ვიხილე ყველაფერი, რაც რომ გიამბე, თავად ვიხილე ისიც, რაც რომ არ მიამბნია

ვიხილე, რათა მოვსულიყავ და მომეტანა ეს ვარდი შენთვის.

* * *

თაესხმა წვიმაში
გამომდგარა მეძავი გოგო,
საცვალს ირეცხავს.

* * *

როყრაყი ზამთრის,
ტოტი რაა, არ იძვრის ისიც,
ჩემივე ძვლების ვაყურადებ მხოლოდღა ჩხრიალს.

### *პოეტური ნებართვა*

ილაპარაკეთ, განიხილეთ,
რაც რომ თქვენ გსურდეთ
ანჯელოზები მილტონისა
დანტეს ეშმაკნი
ბლეკის ვეფხვნი
გზა-ვარები კერუაკისა

მე ის უფრო მაინტერესებს,
ვინ დაწირეცხავს ამ დათხერილ თეფშებს?

* * *

ზომზავენ ქაბულს
დაბომბვებს შორის
ქრიჭაწობელებს გააქეთ გნიასი.

* * *

ცა - ნოსარკული.
ვაგასაკი.
ირმის ნახტომი.

* * *

ელავდა ნუხელ
ამლილანდელი თეთრი ზამბახი
ნუხანდელ ელვას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მარიო ვარგას ლიოსა

# სტუმრად ბუნიუელთან

*თარგმნა დათა ხარაიშვილი*



მესიე ბუნიუელი? - არც თუ მეგობრული მზერით შეგვათვალიერა სასტუმრო L'Aiglon-ის შესასვლელში დახლს იქით მდგომმა ხნიერმა ქალბატონმა - ის აქ არ ცხოვრობს".

მეგობარმა აუხსნა, რომ შეხვედრა გვქონდა დანიშნული; ქალი კვლავ ეჭვნარევი სახით დაწვდა ტელეფონს, ნომერი აკრიფა და ვიღაცას რაღაც ჰკითხა. დიახ, შეგვეძლო, ავსულიყავით. მესიე ბუნიუელი მეოთხე სართულზე გველოდებოდა. ლიფტში ჩემმა მეგობარმა მკითხა, როგორი წარმომედგინა ბუნიუელი, მივუგე, რომ იგი სამი წლის წინ, ერთადერთხელ, სულ ერთი წუთით ვნახე. მთხოვეს, რაფაელ ალბერტი მიმეცილებინა Radio Paris-ში და როცა ამავე სასტუმროში მის მოსაკითხად მოვედი, ბუნიუელიც მაშინ შევნიშნე. იგი თავისივე ხნის მამაკაცს ემშვიდობებოდა და ჩახუტებულს უმეორებდა: გაციებას უფრთხილდი, რაფაელ". ალბერტი კი როყიო ხმით პასუხობდა: მალე გნახავ, ლუის". მოგვიანებით შევიტყვე, რომ სწორედ ეს ლუისი იყო ლუის ბუნიუელი. ცოტა დაყრუვდა, მარჯვენა ყურში თითქმის არ ესმის" - მითხრა მეგობარმა. ეცადე, მისგან მარცხნივ დაჯდე და ხმამაღლა ილაპარაკო".

კარი გააღო მაღალმა, ქერა, ათლეტურმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც ესპანურად მკვეთრი ინგლისური აქცენტით საუბრობდა. მეგობარმა ამიხსნა, რომ ეს იყო ბუნიუელის უმცროსი ვაჟი, რამდენიმე პ-ესის ავტორი, რომელმაც განათლება შეერთებუ- შტატებში მიიღო. ახალხან დაბრუნებულიყო თურ- თიდან, სადაც მოტოციკლეტით ემოგზაურა.

სანამ ბუნიუელის ვაჟი და ჩემი მეგობარი რამდე- ნიმე სიტყვას გაცვლიდნენ, თვალი ინტერიერს მოვავ- ლე: პატარა, თანამედროვე და მოხდენილ მისაღებში შავ-თეთრ ზოლებიანი ხალიჩა დაეგოთ ( პანტერ- ტყავია" - აღნიშნავს მოგვიანებით ბუნიუელი), ვიწრო გასასვლელით გავედი მეორე ოთახში, რომელიც სას- ნებელს წარმოადგენდა, ოთახის მეორე მხარეს კ- თეთრი კედლებითა და მოელვარე ფილებით დამშვ- ნებული სამზარეულო იწონებდა თავს. იქ, ზურგი- მდგარ კაცს ვკიდე თვალი, ნიჟარაზე დახრილიყო და- ხელთ ყინულებიანი ლანგარი ეპყრა. ჩვენი შემოსვლ- არც კი გაუგია. რომ შევემჩნიეთ, მთელი ოთახის გა- ლა და დაყვირება მოგვხიდა: გამარჯობა, დონ ლუის". პასუხად გაიღიმა, ყინულს თავი ანება და ხელებ- მშრალებით ჩვენკენ გამოემართა. ნამდვილი სამხრე- ამერიკული მისალმებით შემოგვეგება: მოურიდებელ- მოთათუნება ზურგზე, ხელის ენერგიული ჩამორთმე- ვა. აი, ისიც". - თქვა მეგობარმა. ნახავ, რომ არც ის- თი აუტანელია, როგორც მისი ფილმები წარმოაჩენს". ეს იყო საშუალო სიმაღლის მამაკაცი, განიერი მხრ- ბით, შეთხელებული ჭაღარა თმით, უზარმაზარი ბრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალა თვალებითა და მსხვილი, ნერვიულად და მოწლოდინედ მთრთოლვარე ხელებით. ოდესღაც გაგონილი მქონდა, რომ იერით ბუნიუელი ჭეშმარიტ ესპანელ გლეხს ჰგავს. ალბათ, მისი მკვეთრი და უხეში ნაკვთების, მის მზერასა და ხმაში ამოკითხული ჯიუტი რწმენის, ყავისფერი და ამინდით შელახული სახის გამო... ალბათ.

შემოდით, შემოდით, დაბრძანდით" - გვითხრა მან.

შემოვუსხედით შუშის მაგიდას, რომელზეც ძვირფასად გაფორმებული წიგნი იდო: სიბრიყვის უნივერსალური ლექსიკონი". რას დალევთ? ვისკის, გაზიან სასმელს თუ □□□□□□-ს? იკითხა ბუნიუელმა და იქვე განმარტა: ეს ჩემი გამოგონებაა, ძალზე ძლიერია, გასინჯეთ". სამზარეულოში გავიდა, ჭიქები და ყინული მოიტანა, სასმელი გააზავა, მოგვართვა და სანამ პირველ ყლუპს ვსვამდით, მოუსვენრად დაგვაცქერდა. როგორია? კარგია, არა? გაიღიმა და მოეშვა. მიხარია, რომ მოგწონთ". შემდეგ დაჯდა და სკამი ჩვენკენ მოაჩოჩა.

ყოველთვის მინდოდა პერუ მომენახულებინა - თქვა მან. სამწუხაროა, რომ უკვე ძალზე გვიანაა. ამ ქვეყანას ველარასოდეს გავიცნობ, არც კი იცით, ამის გამო როგორ ვნუხვარ". ვკითხე, გვიან რატომაა-მეთქი, მან კი მწუხარედ აიჩეჩა მხრები: ეჯავრებოდა მოგზაურობა, ეჯაერებოდა სახლის დატოვება. ამას მხოლოდ მაშინ ვაკეთებ, როცა აუცილებლობითაა გამოწვეული, ვთქვათ, სამსახურის გამო, როგორც ახლა. თუმცა ეს უკანასკნელად ხდება, ეს უკანასკნელი მოგზაურობა, უკანასკნელი ფილმია. მორჩა, დასრულდა, ამიერიდან მშვიდად ვიცხოვრებ, შინიდან გაუსვლელად. ჩემს მეგობარს სიცილი აუტყდა. ათი წელინადია ამას გაიძახით, დონ ლუის, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ იმოგზაურეთ? რამდენი ფილმი გადაიღეთ"? თუმცა ბუნიუელმა თავი გააქნია და ხელის მოძრაობით უარყო: ამჯერად მართალი იყო, არც ერთი ფილმით მეტი. რატომ უნდა გავართულოთ ეს ცხოვრება, თუკი სიმშვიდის მოპოვება ძალგვიძს. მას ცხოვრების თავისებური რიტმი ჰქონდა, ჩინებულად მოწესრიგებული სისტემა და თუ ამას შეინარჩუნებდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა: ექვს საათზე ადგომა, საუზმის მომზადება, ლანჩი - თორმეტ საათზე, სადილი - შვიდზე, ცხრაზე - სანოლი, მცირე ხნით კითხვა, ნათურის გამორთვა და ძილი. მოგზაურობა და ფილმები კი ყოველთვის განრიგის შეცვლასა და დარღვევას უკავშირდებოდა. თუმცა როცა ამ ყველაფრისაგან თავის დახსნას ცდილობდა, ზოგჯერ მაინც უხდებოდა გვიან დაძინება, ხალხთან შეხვედრა, ალკოჰოლის მიღება, ძილის გატეხვა. ცხადია, ადამიანები არ ეჯავრებოდა, მათთან მეგობრობა უყვარდა. საქმე ისაა - თქვა და ხელი ლაღი მელანქოლიით მიიტანა ყურთან - როცა ცუდად გესმის, სამზე მეტ ადამიანთან ყოფნა საშინელი წამებაა. ვერაფერსაც ვერ გაიგებ, ყოველივე ბუნდოვანია, ირგვლივ ჯოჯოხეთური ხმაურია, ისეთი შეგრძნება გეუფლება, ფიქრობ, საცაა ავფეთქდებიო".

არა, ალარავითარი მოგზაურობები, ალარავითარი ფილმები, მისთვის ყველაფერი დასრულებულიყო. ვუთხარი, რომ ჩინებული სასტუმრო უპოვია, რაღაცით სატუსალოს რომ წააგავდა, აქ ხომ რასპაის ბულვარიდან ავტომობილების ხმაურიც ვერ აღწევს. სწორედ ამიტომ მოვედი აქ - თოთხმეტი წლის წინ" -

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიპასუხა მან. ...სწორედ ამ ოთახში. აქაურობა მთელი გულით, დეტალურად შემიძლია აღგიწერო. იმ ხეს ხედავ ფანჯარაში?" - ფანჯრიდან ზაფხულის დაისში აელვარებული, ფოთლებით დამძიმებული ნაბლის ხის დიდებული ვარჯი მოჩანდა. მასაც გულით ვიცნობ" - თქვა ბუნიუელმა. შემიძლია გითხრა, რამდენი ტოტი, რამდენი ფოთოლი აქვს. ახალგაზრდობაში ცნობისმოყვარე ვიყავი, სიახლეები მიზიდავდა. ახლა კი მხოლოდ ის მომწონს, რაც ნაცნობია, სხვა არაფერი". მერე კი ამბობს, რომ სარტრის დედაც, ამ სასტუმროში ცხოვრობს, თავად სარტრს კი აქვე ახლოს თავისი საიდუმლო თავშესაფარი აქვს - პატარა ბინა, სადაც ჟურნალისტებსა და მნახველებს განრიდებული მშვიდად მუშაობს. ზოგჯერ ხვდება კიდეც, აქვე, ბისტროში, სადილობის ჟამს.

ამბობს, რომ ამ სამეზობლოსთან უამრავი მოგონება აკავშირებს. აქ, მონპარნასზე, საუკეთესო წლები გაატარა და არაერთი მეგობარიც შეიძინა. მოსწონს ის, რომ ლა დომი და ლა კუპოლი ხელის განვდენაზეა, აქაა ყველა ის კაფე, სადაც, ომებს შორის, იმ სიგიჟის წლებში", ხვდებოდა თავის სიურეალისტ მეგობრებს, ესპანელებსა და ლათინოამერიკელებს, რომლებიც იმხანად პარიზში ცხოვრობდნენ. ალბერტის, ასტურიასს, ვალეხოს, კარპენტიერს. თუმცა ახლა კაფეებში სიარულს შეეშვა. ვეკითხები, იცის თუ არა, რომ მთელი ეს სამეზობლო გარდაუვალი სიკვდილისთვისაა განწირული, თუ სმენია, რომ სულ რამდენიმე ხელიწადში ამ ვიწრო ქუჩებსა და ძველ საროსკიპოებს ცათამბჯენები, პარკები და ფართო ხეივნები შთანთქავს, ის კი იღიმის; ცხადია, ჰგონია, რომ ვხუმრობ. იმ ქალაქთაგან, რომლებშიც ვყოფილვარ, პარიზი საუკეთესოა" - აგრძელებს, - არა მხოლოდ უმშვენიერესი, არამედ ყველაზე გულღია და სტუმართმოყვარეც". ამდენი მეგობარი სხვაგან არსად შემიძენია." ჩვენ კი ვეუბნებით, რომ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, რომ ახლა პარიზი ერთი დიდი სკაა, სადაც ყველანი ისე ცხოვრობენ, თითქოს საკუთარ გონისმიერ ციხეში იყვნენ გამომწყვდეულნი, სადაც ძალზე რთულია კომუნიკაცია და საუბარი. დონ ლუის, ახლა, აქ არავინ ცხოვრობს თვითნებურად, ისე, როგორც - იმ გიჟურ წლებში, ახლა აღარ არის ადგილი შემოქმედებითი მოცალეობისთვის და აღარავინ ფიქრობს, რომ პოეზია ჭეშმარიტ რევოლუციას შობს. ახლა ლიტერატურული და არტისტული ავანგარდი ხელისუფლების მიერაა დაფინანსებული და ბოჰემური ცხოვრება ამბოხს კი არა, ყველაზე საზიზღარ კონფორმიზმს გამოხატავს. გახსოვს, როგორ შეძრწუნდა პარიზის ბურჟუაზია, როცა იმ გამომწვევ წარმოდგენებს აწყობდი? გახსოვს, სკანდალი Un Chien Andalou[1]"-ს ჩვენებით გამოწვეული? ან ბრაზი, L'Age d'or[2]-ს რომ მოჰყვა? ახლა ხომ ამ ფილმებს პარიზის საუკეთესო კინოთეატრებში უჩვენებენ და, მოგწონს ეს თუ არა, ბურჟუები პატივს გცემენ და გეთაყვანებიან. გადაშალე ნებისმიერი ჟურნალი და ნახავ, როგორ საუბრობენ კრიტიკოსები ბუნიუელის ფესტივალზე" ლათინურ კვარტალში: ულტრა მემარჯვენე L'aurore[3]-ც კი გულიანად გალიარებს. როცა გადასახადები არ იზრდება და მათ კომფორტსაც არაფერი ემუქრება, როცა სახლები, ბიზნესები და მიწები არ მცირდება, ბურჟუაზია ლიტერატურული და არტისტული აგრესიის ნებისმიერ ფორმას ეგუება. ბუნიუელის ვაჟი ამბობს, რომ ახლახან l'age d'or-ის ჩვენებას დაესწრო ლინკოლნის ცენტრში, ნიუ იორკში; აუდიტორია უაღრესად კმაყოფილი დარჩა და არც შეძრწუნება დასტყობია. ბუნიუელი ნამით ჩაფიქრდა, მარჯვენა ხელის ვეება მტევანი სახესთან ისე აიქნია, თითქოს ბუზს იგერიებსო: პირველ თავის მოტყუება არც უცდია, დრო შეიცვალა. ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინ, საფრანგეთში მოახლის დღიურის" გადაღებისას, კლიშის ქუჩაზე ანდრე ბრეტონს შეხვდა. კარგა ხანია, ერთმანეთი არ ენახათ, და სალევად და გარდასულ დღეთა მოსაგონებლად კაფის ტერასას მიაშურეს. რა საზარელი დროა", - უთქვამს ბრეტონს ნოსტალგიით, ხალხს აღარაფერი აძრწუნებს". შემდეგ კი იმედგაცურებითა და სინანულით დასძინა, რომ საუკეთესოებიც გაიყიდნენ - მაქს ერნსტი, ვთქვათ, ისიც კი დათანხმდა ვენეციის ბიენალის პრიზს. მაგრამ ბრეტონის მოსყიდვა კვლავ შეუძლებელია" - თქვა ბუნიუელმა. იგი დათმობაზე არ წავა, გაცოფდება, რომ იცოდეს, Blanco Y Negro[4]-სთვის მადრიდში ინტერვიუს რომ დავეთანხმდი". ვუთხარით, რომ ასე არაა, ბრეტონი ხომ უკვე წერდა Le Figaro[5]-სთვის და france Soir[6]"-საც შეჰპირდა სტატიას. თუმცა ბუნიუელი კვლავ პარიზზე ჩამოაგდებს სიტყვას: ქალაქი გაიზარდა, მაგრამ ზოგიერთი სამეზობლო კვლავ ხელუხლებელია. ეს დღეებია დილაობით ქუჩებში სეირნობს, რიჟრაჟიდან შუადღემდე, ადგილებს არჩევს იმ ფილმისთვის, რომლის გადაღებასაც ოქტომბერში იწყებს. ფილმი ჟოზეფ კესელის რომანის მიხედვით იქნება. ცუდი რომანია" - ამბობს ბუნიუელი. არასდროს გადავიღებ ფილმს კარგი რომანის მიხედვით. მწამს, რომ საკუთარ შესაძლებლობებს უნდა შეეთამაშო, ცუდი რომანისგან ყოველთვის შეიძლება კარგი ფილმის გამოდნობა, შეგიძლია თავისუფლად იგრძნო თავი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე". ვეკითხები, ნახა თუ არა ომი და მშვიდობის" რუსული ვერსია, რომელსაც ახლა პარიზში უჩვენებენ, ის კი განცვიფრებული მიმზერს: ცხადია, არა - ის ხომ არასდროს დადის კინოში. ან, უფრო სწორად, მხოლოდ მაშინ დადის, როცა სხვა გზა არ აქვს. რომელია უკანასკნელი ფილმი, რომელიც ახსოვს? უნდა დავფიქრდეთ... ჰო, როგორ არა, ვისკონტის Vaghe Stelle Dell'orsa[7]. რამდენიმე თვის წინ ნახა, მექსიკაში. ამ ფილმში იყო რაღაც ძალიან კარგი, ნაზი ინცესტური ურთიერთობა დასა და ძმას შორის, რამაც დააინტერ-

1 ანდალუსიური ძაღლი" (ფრან.) - ბუნიუელის პირველი ფილმი. პრემიერა შედგა პარიზში 1929 წელს.

2 ოქროს ხანა" (ფრან.) - ბუნიუელის მესამე ფილმი (1930). პარიზში გადაღებულ ხმოვან ფილმთაგან ერთ-ერთი პირველი. ფილმის სცენარი ეკუთვნით ლუის ბუნიუელსა და სალვადორ დალის.

3 ფრანგული გაზეთი, დაარსა ფრანგმა მრეწველმა, მარსელ ბუსაკმა. გამოდიოდა 1944-1985 წლებში.

4 ესპანური ჟურნალი, გამოდიოდა მადრიდში 1891-1988 წლებში. ჟურნალი მკაცრად კონტროლდებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ.

5 Le Figaro - ყოველდღიური ფრანგული გაზეთი, რომელიც გამოიცემა 1826 წლიდან.

6 France Soir" - პოპულარული ფრანგული გაზეთი, დაარსდა 1944 წელს.

7 იგივე სანდრა" - იტალიელი რეჟისორის, ლუკინო ვისკონტის ფილმი (1965).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სა, მეანუხა, დანარჩენი კი გადაავიწყდა. მაგრამ ახლა, სალამოობით, ფილმების ფრაგმენტებს ადევნებს თვალს, ესეც მხოლოდ მუშაობის ნაწილია: თავისი მომდევნო ფილმისთვის კატრინ დენევის კომპანიონის პოვნას ლამობს. ჯერ არავისზე შეჯერებულა, ალბათ მაინც ჟან სორელს შეარჩევს, იგი ხომ ისეთი იდუმალია ვისკონტის ფილმში. სულაც არაა ურიგო მსახიობი, მაგრამ უნდა ვთხოვო, რომ წვერი მოიზარდოს, ჩემი სახე ამ პერსონაჟისთვის მეტისმეტად მშვენიერია".

ჩემმა მეგობარმა ამბის მოყოლა გადაწყვიტა. რამდენიმე წლის წინ, მან ბუნიუელი ერთ პოპულარულ მექსიკურ ფილმზე შეიტყუა, სადაც The life, Passion, and Death of Our Lord Jesus Christ-ს უჩვენებდნენ. თავდაპირველად, ბუნიუელი კმაყოფილი ჩანდა, დროდადრო ხუმრობდა კიდეც, მერე კი ბრაზი მოერია და აქაურობის დატოვება მოითხოვა; ნელ-ნელა დრტვინვას უმატა, გაგულისდა და შეურაცხმყოფელი სიტყვებიც წამოისროლა. იქაურობას სასწრაფოდ გაეცალნენ, მხოლოდ ასე თუ აირიდებდნენ ლინჩის წესით გასამართლებას. ბუნიუელი თავის საათს დააცქერდა, საღამოს შვიდი იყო, სადილად გასვლაზე რას ვფიქრობთ? უნდა მივუტევოთ, მაგრამ ადრე დაძინებასაა ჩვეული. აქვე კუთხეში ერთი მშვენიერი ბისტროა, ოჯახური სამზარეულო, მყუდრო ადგილი, მარტივი კერძები, კარგი ღვინო...

სასტუმრო L'Aiglon-დან გამოვედით, რასპაის ბულვარზე აღმართული წაბლის ხე კვლავ მზის ათინათშია გახვეული; კაფეს ტერასა სავსეა საღამოს გაზეთების კითხვით გართული ხალხით, Le Monde და France Soir, ტურისტებით სავსე ავტობუსები აქეთ-იქით მოძრაობს - ამ ქუჩებში ჯიაკომეტიმ თავისი უკანასკნელი წლები გალია" - ჰყვება, ალბათ, რომელიმე გიდი, ის კი მისი სტუდია იყო" - ტურისტებიც ხარბად მიიხედავენ იქით, მათი სახეები შუშებს ეკვრიან, აქა-იქ ინგლისური და გერმანული საუბარიც მოისმის. ბუნიუელის ვაჟი სასტუმროს წინ მდგარ შავი მოტოციკლისაკენ გვანიშნებს: სწორედ ესაა ის მოტოციკლი, რომლითაც თურქეთში იმოგზაურა. დიდებული მხეცია, მოვალეობას ჩინებულად გაართვა თავი.

რესტორანი საკმაოდ ელეგანტური იყო, შესასვლელი თითქოს ბისტროდ ინიღბებოდა, შიგ დიდი

ოთახი მოეწყოთ, სადაც მაგიდებს მოხდენილი ლამფები ანათებდა, კედლები კი პეიზაჟებითა და ზღვის ხედებით იყო მორთული.

ბუნიუელს აქ კარგად იცნობენ, მას ქალბატონი ეგებება და პატივისცემით ესალმება, ამბობს, რომ მეპატრონე აქ არ არის, შემდეგ ეკითხება, რომელ მაგიდასთან ინებებს დაჯდომას და მენიუს აწვდის. ბუნიუელი სკალოპსა და წითელ ღვინოს უკვეთავს და ქალბატონის გადამეტებულ ყურადღებასაც, ცოტა არ იყოს, უხეშად ირიდებს. ჭამის დროს მშვენიერ განწყობაზეა, ლაპარაკის საღერღელიც აშლია. ამჯერად სიტყვა მადრიდზე ჩამოაგდო, სამოქალაქო ომსა და იმ ჩაშლილ გეგმაზე, რომლებიც ლორკას სცენარის მიხედვით ფილმის გადაღებას უკავშირდებოდა. ჰყვება, 1962 წელს, მრავალწლიანი ყარიბობის შემდეგ, რარიგ ამაღელვებელი იყო ესპანეთში დაბრუნება („ვირიდიანას" გადაღებისას). შემდეგ კი მოულოდნელად დასძენს: მწერლები იღბლიანი ხალხია, შეუძლიათ ის დაწერონ, რაც მოესურვებათ; რეჟისორებს კი პროდიუსერების ინსტრუქციების გათვალისწინება აქვთ მისჯილი, მათ თავისუფლება არ გააჩნიათ". ჩვენ ვამბობთ, რომ მის შემთხვევაში ეს სიმართლე არაა, რადგან იგი ყოველთვის თვითნებურად მოქმედებს და რომ მისი „ცუდი ფილმებიც" კი აკვიატებებითა და გატაცებებითაა სავსე. იგი ენერგიულად გვეწინააღმდეგება: ასე არ არის, მას ხომ სრულყოფილი თავისუფლება არასდროს ღირსებია. მაგრამ არა, აზვიადებს, მისმა პირველმა სამმა პროდიუსერმა Carte Blanche და კომფორტულად მუშაობის შესაძლებლობა მისცა. ვინ იყვნენ ეს პროდიუსერები? სახეს ფართო, დიდებული, მზაკვრული ღიმილი უნათებს: მისი პირველი პროდიუსერი დედამისი იყო, მეორე - ფრანგი არისტოკრატი, მესამე კი - ესპანელი ანარქისტი. სწორედ დედამისმა მისცა ფული Un Chien andalou-ს გადასაღებად, საბრალო ქალმა, ცხადია, ისიც კი არ იცოდა, რაზე იყო ფილმი. შემდეგ ერთ ღამეს, აქ, პარიზში, ჟან კოქტო ეწვია და უთხრა რომ Noailles-ის გრაფს ენახა მისი Un Chien andalou, ენთუზიასტი იყო და კიდევ ერთი ფილმის გადაღების შემოთავაზება სურდა. „თუმცა იმჟამად უკომპრომისო ვიყავი", - ამბობს ბუნიუელი, „კოქტოს ვთხოვე, გრაფი ჯანდაბაში გაეგზავნა. საქმის არისტოკრატთან დაჭერას ნაღდად არ ვაპირებდი", თუმცა გრაფი უკან დახევას არ აპირებდა და დაჟინებამ შედეგიც გამოიღო: ბუნიუელი შეხვედრაზე დაითანხმა. „დიდებული ადამიანი აღმოჩნდა, დავმეგობრდით" - აგრძელებს ბუნიუელი. „მან მე სრულყოფილი თავისუფლება მიბოძა, წამითაც არ ჩარეულა. ის რომ არა, არასოდეს გადავიღებდი L'Age d'or-ს. საბრალო გრაფი, ფილმით ძალზე ნასიამოვნები დარჩა, მითხრეს, რომ ჩვენებაზე თავისი მეგობრები მოიპატიჟა. „ისინი კი დარბაზიდან გაცვივდნენ, შეურაცხყოფილნი, არც კი დაემშვიდობნენ". ესპანელი ანარქისტიც გულისხმიერი და თავაზიანი გამოდგა, Las Hurde-ის გადაღებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დათანხმდა. შედარებისთვის, რომ იცოდეთ, რა ბრძოლები გადაიტანა მომდევნო ფილმებზე მუშაობისას. იხსენებს, რომ ერთხელ La Fievre monte a El Pao[8]-ს პროდიუსერებმა უთხრეს: „მისტერ ბუნიუელ, ფილმის გადაღება გვინდა ლათინურ ამერიკაზე, ოღონდ არა იმ ლათინურ ამერიკაზე, ფრანგების წარმოსახვაში რომ არსებობს". ცხადია, რომ დათმობაზე არც ამჯერად წასულა და საკუთარი იდეების ჩანერგვა მაინც მოახერხა. ამას ყოველ ჯერზე ახერხებდა, იმ შემთხვევაშიც, თუკი მალულად მოქმედება უხდებოდა. მაგალითისთვის, მისი ფილმები - უკლებლივ ყველა - morcillismo-ს შეიცავს; იგი ქიქას წევს, სასმელ ეწაფება და წამით ბედნიერი, ეშმაკური ნაპერწკალი უკრთის თვალებში - ამას ვერც ერთი პროდიუსერი აირიდებს თავიდან. Morcillismo რა არის, დონ ლუის? ოცდაათი წლის წინ ესპანეთში ერთი მდარე მხატვარი ცხოვრობდა, მორჩილა ერქვა, მუდამ აქეთ-იქით დაეხეტებოდა და ცნობილ ადამიანებს თავს აბეზრებდა. სახელოსნოში მენვიეთ, ჩემს ნამუშევრებს გადახედეთ. ერთ საღამოსაც მანუელ დე ფალია ეწვია. ნახატებს შორის საზეიმოდ, მაამებლად და მეგობრულად მოარული მუსიკოსი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა: „რა მშვენიერი პეიზაჟია"; „ჩინებულად შერჩეული ტონებია"; „ეს დეტალი შეუდარებელია", მორჩილაც თან დაჰყვებოდა, კრძალვითა და მაზოხიზმით განმსჭვალული ეწინააღმდეგებოდა: „კარგი, რას ამბობთ, დონ მანუელ, ეს პეიზაჟი ხომ წარუმატებლადაა შესრულებული, აქ კომპოზიციაა დარღვეული, ეს ფერი კი არასწორადაა შერჩეული". ასე და ამგვარად, მიუახლოვდნენ ნახატს, რომელიც მხატვარმა ყველაზე მძაფრი ექსპრესიით წარმოადგინა: „ეს ყველაზე უვარგისია ჩემს ნამუშევრებს შორის, დონ მანუელ". „დიახ, ეს ჩანაფიქრი არც თუ ისე წარმატებული ჩანს... თქვენ ცდებით" - დაიღრიალა გაგულისებულმა მორჩილამ - „ნახატის ერთადერთი წარმატებული ნაწილი სწორედ მისი ჩანაფიქრია". ახლა ხვდებით, რას ვგულისხმობ morcillismo-ში? იკითხა ბუნიუელმა.

იხსენებს, რომ სატანური ექვიანობის ამბავში, რომელიც მან „Э"-ში ასახა, არტურო დე კორდოვასა და დელია გარცესს შორის გამართულ საუბარს სწორედ მორჩილასა და ფალიას დიალოგი დაედო საფუძვლად. ბობოქარი ქორწინების მშვიდ პერიოდში წყვილს მეგობრული მუსაიფი გაუბამს. როგორ გგონია? რა ნაკლი მაქვს? - ეკითხება მამაკაცი. არავითარი, უპასუხებს ცოლი. რაღაც ნაკლი უცილობლად მექნება, კვლავ მაცდურად, სიყვარულით უყვავებს მამაკაცი. „კეთილი, ალბათ ცოტათი ეგოისტი ხარ" - მხნედ ამბობს ქალი. „თუ კი რამ არ მახასიათებს, სწორედ ეგოიზმია" - მოულოდნელად გაჰყვირის ქმარი. „აი ჭეშმარიტი morcillismo" - ამბობს ბუნიუელი. „ჩემს ყველა ფილმში იპოვით მსგავს სცენას."

ყავა საუბარს გვიხანგრძლივებს, თუმცა რესტორანს სადილად მოსული ხალხის ნაკადი ავსებს და ბუნიუელიც გველნაკბენივით წამოხტება. მოლარეს ანგარიშს სთხოვს, ძლივს უმკლავდება მეპატრონის და მიმტანების მადლობა-დამშვიდობების ნიაღვარს და სწრაფად მიეშურება კარისკენ. გარეთ უკვე ბინდბუნდია, ავტომობილების ნაკადი ნელინელ უახლოვდება დენფერ-როშერის მოედანს. უკვე ელვარებს მონპარნასის კაბარეებისა და ბისტროების განათებული აბრები. სასტუმრო L'aglon-ის წინკართან ბუნიუელი მხურვალედ გვართმევს ხელს, თავაზიანად გვემშვიდობება და ვხედავ, როგორ შედის მარდად - ლამის სირბილით - შენობაში. მე საათს დავყურებ, ლამის ცხრას სამი წუთი უკლია. დიახ, ის მტკიცედ იცავს მკაცრ განრიგს... მერე რა, რომ ახლა პარიზშია.

*პარიზი, 1966 წლის სექტემბერი*

8 ციებ-ცხელება ელ-პაოში" (ესპ.) - ლუის ბუნიუელის ფილმი (1959).

# ვკითხულობ ქართულს

ეროვნული ბიბლიოთეკა




**სულაკაურის გამომცემლობა**

www.sulakauri.ge
(+995) 32 291 11 65

**წარადგინეთ ფასდაკლების ვაუჩერი „სულაკაურის წიგნის მაღაზიებში“ და მიი
20%-იანი ფასდაკლება ქართულ პროზაზ**

*„სულაკაურის წიგნის მაღაზიის“ მისამართებია:*

- „გლდანი მოლი“, G სართული
- „სითი მოლი საბურთალო“, 1-ლი სართული
- ჭავჭავაძის გამზირი №15
- ცინცაძის ქუჩა №2
- „გალერია თბილისი“, -1 სართული
- „ისთ ფოინთი“ - **მალე**

გამოყენების ვადა: 30.06.2021